




ბუნება

№ 4 1987





მარბარეტ ბებერი-თბილისის სტუდია



საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი. საპატიო სტუმარი ეწვია საქართველოს დედაქალაქ თბილისს.

1979 წლის პარლამენტის არჩევნებში კონსერვატორთა გამარჯვების შემდეგ, პრემიერ-მინისტრის რეზიდენციის დათვალიერების დროს, ერთ მაღალ ხტუმარს, რომელმაც იხილა ამ პოსტზე მასხინძლის წინამორბედთა პორტრეტების გალერეა რეზიდენციის მთავარ კიბეებთან, შეუნიშნავს, კი მაგრამ, თავად ტეტჩერის პორტრეტისთვის ადგილი რომ აღარ დარჩენილა. „დამწვიდით, — დიმილით უპასუხა პრემიერ-მინისტრმა. — ყველას ქვემოთ ჩაწევს“. ოთხი წლის შემდეგ მისი პარტიის გამარჯვებამ მორიგ არჩევნებზე ყველა განაცვიფრა. XX საუკუნის ბრიტანეთის ისტორიაში ტეტჩერი აღმოჩნდა ის პირველი პრემიერ-კონსერვატორი, ზედღეოდ მეორედ რომ აირჩიეს.

* * *

დაუნივ სთრიტ, 10. მკაცრი ვანრივი. პრემიერ-მინისტრს დღე-ღამეში მხოლოდ ოთხი-ხუთი საათი ძინავს. ღამის პირველ საათზე წვება და დღის ექვს საათზე უკვე უხმებს ბი-ბი-სის საინფორმაციო გამომშვებებს მეოთხე რადიოარხით. უქმე დღეებში ხშირად არც კი საუზმობს და კმაყოფილება მხოლოდ ჭიქა ხილის წვენივ, ვიტამინის აბით და ფინჯანი ყავით.

8.30. პრემიერი ეცნობა გვიან ღამით კაბინეტში მოსულ სიასლეთა ცნობებს. შემდეგ, ყურადღებით კითხულობს ბრიტანეთის საქმიანი წრეების ორგანოს „ფაინანსულ თაიშს“. სხვა გაზეთებს უბრალოდ ათვალთვლებს. 9.30. — მთავრობის ძირითად მინისტრთა მიღება. 10.30 — ხუთშაბათობით, მთელი კაბინეტის სხდომა, სადაც ტეტჩერი უმკაცრესად ადევნებს თვალს, რომ არ დაირღვეს დღის წესრიგი.

„იგი თვლის, რომ „მისი“ მინისტრები სამინისტროებს უნდა ხელმძღვანელობდნენ და არა ეხმარებოდნენ მთავრობას საერთო საქმეთა წარმართვაში“. — წერს ამასთან დაკავშირებით ყურნალი „ეკონომისტი“. „მის სტილს არ ახასიათებს კოლეგებთან საკამათო საკითხების თავისუფალი განხილვის პრინციპი. მას შემდეგ, რაც „რკინის ლედი“ კაბინეტს სათავეში ჩაუდგა, — განაგრძობს ყოველკვირეული გამოცემა, — „ავეჩისა და ფანჯრების მტკრების ხმა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა დაუნივ სთრიტზე. ოღონდ, ეს ციტატა უხტად ახვევს კი არ უნდა გავიგოთ: მხედველობაში გვაქვს მოურიდებელი დამოკიდებულება არა ნივთებთან, არამედ კაბინეტის კოლეგებთან. 1979 წლიდან მოყოლებული, მთელი არასრული რვა წლის მანძილზე, სამსახურიდან გადადგა 20 მინისტრი. სხვათა შორის, ტეტჩერთან მუშაობა ადვილი არ არის, იმიტომაც, რომ იგი შეცდომებს არავის აპატიებს ერთგულ ხალხს აფახებს, თუმცა ვერ იტანს მლიქვნელებს, სძულს ისინი და მუდამ თავ-თავის ადგილს მიუჩენს ხოლმე.

ინგლისელი სოციოლოგები აღნიშნავენ, ტეტჩერი ამომრჩეველთა უდავო პატივისცემით და, არა სიყვარულით, ხარგებლობს. წამყვან პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებში ყველაზე არასიყვარულ მოღვაწედ მიიჩნევენ. უსაყვადურებენ გულცივობას, უბრალო ადამიანთა ხვედრში წვდომის უუნარობას, მაგრამ სამაგიეროდ, დიდად სცემენ პატივს შეუპოვრობისა და კომპეტენტურობისთვის. 1987 წლის იანვარში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა: ბრიტანელთა 54 პროცენტის აზრით, სწორედ იგი შეხმლებს მართოს ქვეყანა „ძალიან კარგად“ ან „საკმაოდ კარგად“, თუკი დაუშვებთ, რომ კონსერვატორები ზედღეოდ მესამედ მოიპოვებნენ გამარჯვებას.

„საიდუმლო ის არის, — თქვა ერთხელ ტეტჩერმა მაღალ წრეში მოსმენილი კომპლიმენტის პასუხად, — რომ მე მიყვარს ჩემი სამუშაო, ძალიან მაწყობს და სტამულსაც მძლევს. არც ოდესმე მიფიქრია, ღმერთო ჩემო, ნეტავი ახლა აქ არ მამყოფა-მეთქი...“

მიუხედავად ამისა, რამდენჯერმე მაინც მოუხდა საკმაოდ არასახსიამოვნო მომენტის გადატანა. 1984 წელს პარტიულ კონფერენციაზე მუშაობისას, ბრაიტონში, ხასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. ტერორისტებმა ააფეთქეს ხასტუმრო, სადაც ტორის მთელი ხელმძღვანელობა დაბინავდა. სააბაზანო ოთახში, სადაც ტეტჩერი წუთის შემდეგ უნდა შესულიყო, ნაცარტუტად იქცა. 1988 წლის ხექტემბერს, როდესაც ნორვეგიაში ოფიციალური ხტუმრობიდან ბრუნდებოდა, ჰაერში აფრენიდან ათი წუთის შემდეგ აცნობეს, ექვი გვაქვს, რომ თვითმფრინავში ყუმბარა ჩაკვიდესო. „ფრენას არ შევწყვეტო“, — გადაწყვიტა ტეტჩერმა და მხოლოდ ლონდონში, პითროუს აეროდრომზე გაირკვა: განგაში იყო უაღბო.

ბრიტანეთის მთავრობის სათავეში ყოფნის მანძილზე „რკინის ლედის“ თვალბეზე მხოლოდ ორჯერ იხილეს ცრემლი. ერთხელ, როდესაც ტელეინტერვიუს დროს მამა გაიხსენა და მეორედ — სპარის უდაბნოში მოწყობილ ავტორალში მონაწილე შვილ მარკის შესახებ ექვსი დღის განმავლობაში არავითარი ცნობა რომ არ მიიღო. საერთოდ, მარკმა, რომელიც ამჟამად 38 წლისაა, დედას ცოტა ნერვიულობა როდი მიაყენა. ადანაშაულებდნენ, მონკონგის ფირმებიდან მონორარების, ხელფასისა და საკომისიო თანხების სახით 180 ათას დოლარს ყაპავსო ყოველწლიურად, ბრალს დებდნენ, პრემიერ-მინისტრის შვილობის გამოყენებით მრავალმილიონიან კონტრაქტებს დებსო ზოგიერთ ქვეყანაში, მაგრამ თავად მარკი და დედა მისივ აღშფოთებით უარყოფენ ყველაფერს.

ავტორალი, როდესაც მარკი ექვსი დღით დაიკარგა, ფოლკლენდის (მადლინის) კუნძულების გამო ატეხილ ინგლის-არგენტინულ კონფლიქტს დაემთხვა. „მამინ შივხვდი, — იგონებდა მოგვიანებით ტეტჩერი, — თუ რა გადაიტანეს ფოლკლენდის ომში მონაწილეთა დედებმა... რა საშინელება! მე ბედმა გამიღიმა, იმით — უმუხტოლა“.

ყურნალი გამოდის 1923 წლიდან
ყოველთვიური საზოგადოებრივ-
კოლიტიკური და სალიტერატურ-
სამხატვრო ჟურნალი

ნომერი:

სერგეი ანტონოვი. უხხვედრა კრემ-
ლი.

ამირან არაბული. თეთრი ქარავანი.
გიორგი მახარაძე. საჭადრაკო და-
ფასთან.

სერგი ღურმიშიძე. ნასახლარი.
კორა წიგნთელი. მწარე სიგარტელი.
იცით, როგორი იყო გიორგი ახვ-
ლედიანი? (ბახხენება).

მიხეილ ჯიბუჭი, ელგუჯა მემკაბი-
ვილი. საწარმოო ქალეპი და წარ-
მოებითი ურთიერთობები.

ვახტანგ ბერიძე. ვახტანგის ტაძარი.
ლეილა მღებრივილი. რეგბი გუ-
შინ, დღეს, ხვალ...

რევაზ მიწველაძე. ფრთები.
გაბო ხვედელიძე. ურომის წყურ-
ვილი.

მალხაზ რაღინი. „ნიუ-იორკ ტაი-
სის“ იმპარი.

სიხლეთა კანორაბა.
ვასილ მგვდლივილი. გულგულის
ენით.

გკითხველთა თხოვნით.
არჩილ ახმეტელი. ძალლი სადარბა-
ზოში.

უალვა ძირია. ფხხუტის ჯანტლე-
მენი.
კროსკორდი.

საქართველოს კ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1987 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ძინელაძე

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ვახტაძე (პ/მგ. მღვიანი), ოთარ
ზირივილი, ვასილ გვაბაძე, ნათელა
გიორგოზიანი, თანვივ გოგოლაძე, ოთარ ღე-
მბტარვილი, სერგო ღურმიშიძე, ვახტანგ მს-
ვანჯია, დინარა ნოღია (მხატვარ-რედაქტორი),
ლადო სულაპირია, ილია ტაბაღლა, ნუგზარ
ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



„თქვენ ხომ მიცნობთ ბრძანებულს... ჩვენი მოგვალე: დაფასეთ თქვენი თავი.“
3. ი. ლენინი.

ლენინი ფანჯარასთან იდგა, შარვლის ჯიბეებში ღრმად ჩაეწყო ხელეები. კაბინეტში, რომელსაც ორი ფანჯარა და კამაროვანი ჰქონდა, იდგა სინესტე და სიცივე. ზამთრის ბოლო დღეებშიც ძლიერ ყინავდა. ვლადიმერ ილიას ძე ყუმბარების ნამსხვრევებით დაცხრილულ არსენალს უყურებდა; ტროიციკს კოშკი, ნაცრიფერ ცის ფონზე მკვეთრად გამოკვეთილი უზარმაზარი არწივით, აქედან უფრო მაღალი მოჩანდა, ვიდრე მანეჟის მხრიდან; ჩანდა, აგრეთვე, კრემლის კედლის ნაწილი და ყაზარმების შენობა. მოედანზე, ჩაწოლილ ქვაფენილში, სადაც ორმოები გაჩენილიყო, არსენალის გასწვრივ ნიკოლსკის კოშკისკენ წვრილი ფანჯრების რიგი მისდევდა, ბალახის ღეროებს რომ წაგავიდნენ აღუწერილი კაკვებით.

ტროიციკს კოშკისკენ და არსენალისკენ მიმავალ გზებზე, ფანჯრიან, ფართო მოედანზე, თოვლი გაქედილი და დანაგვიანებული იყო. მხოლოდ სახურავებზე და კრემლის ვედელზე ეფინა თანაბრად, ხელუხლებლად და სუფთად.

კრემლის. იქით ყინვისგან შებოჭილი ქვის სახლები ითოშებოდნენ. აგერ იქით, მუზეუმისა და რუმინანცევის ბიბლიოთეკის გადაღმა, ძლივს მოჩანან საკვამურები, მაგრამ, რამდენიც არ უნდა უცქირო, კვამლს ვერ შენიშნავ: ვერაფრით ახურებენ ლუმენებს! ზამთარმა ყინვის რკალი შემოარტყა მოსკოვს. სამოქალაქო ომით სისხლისგან დაკლილი, განაწამები ქვეყნის მტრებს — შიმშილსა და ნგრევას, მიემატა კიდევ ერთი — სიცივე.

ტიფი მძვინვარებდა. ლენინმა ღრმად ამოისუნთქა. მერმე სხარტად ამოიღო მარჯვენა ხელი ჯიბიდან და მაგიდას მიუჯდა. უბრალო, მოწაფური კალამი სწრაფად გარბოდა ქაღალდზე, არ ამთავრებდა და კვეცდა სიტყვებს, ტოვებდა გაურკვეველ ფრაზებს. აზრი აზრს უსწრებდა, და ლენინი გამალებით იწერდა: შემოწმდეს, უზრუნველყოფილი არიან თუ არა საბავშვო სახლები შეშით. არ არის — მომარადდეს... გაუდიდდეთ შაქრისა და სახარინის ულუფა მეტალურგიული მრეწველობის მუშებს... გამსახკომმა შეაყოვნა წიგნების გამოცემა სოფლებისათვის. უნდა მოველაპარაკო ანატოლი ვასილიევიჩს და გამოვლანძლო... დეკრეტი გავაცნოთ ამხანაგებს და დავამტკიცოთ... კამენევს — ბარათი... სახლვარგარეთი, რომელიც გვთავაზობს თავის სამსახურს. თვითონ შეეძლებოთ თუ არა?..

კალამი წამით შეეყოვნდა. ფრთხილად გაიღო თეთრი მუშაბით აკრული კარი, რომელიც სხდომათა დარბაზში გადიოდა. გამოჩნდა პირადი მდივანი. — ვლადიმერ ილიას ძე, — ხმადაბლა გამოეხმაურა იგი. მაგრამ ლენინმა არ უპასუხა, სამუშაოთი იყო გატაცებული. — ვლადიმერ ილიას ძე!... ლენინმა თავი წამოსწია და უპასუხა: — დიან, დიან, — და ჩასაწერად მეორე ფურცელს გადასწვდა. — ვლადიმერ ილიას ძე, თქვენთან ამხანაგი კორშუნოვი მობრძანდა. — სთხოვეთ, — თქვა ლენინმა.

პირადი მდივანი გავიდა და კარი გაიხურა. ვლადიმერ ილიას ძე ჩაწერა განაგრძობდა, ჩქარობდა სერგეი სერგეის ძე კამენევისადმი გასაგზავნი ბარათის დამთავრებას. ლენინმა განსაზღვრა დრო, რასაც მისი პირადი მდივანი სხდომათა დარბაზის გავლას მოანდომებდა; გავიდა მისაღებში და მოსულს მოახსენებდა: „ვლადიმერ ილიას ძე გთხოვთ“, შემდეგ მოსული წამოდგებოდა, თავზე ხელს გადაისვამდა, ანდა ტანსაცმელზე რაიმეს შეისწორებდა. სანამ იგი სხდომათა დარბაზს გამოივლიდა, ამ რალაც წუთნახევარშიც შეიძლება წერილის გადაკითხვა, საგაზეთო შენიშვნებზე თვალის გადავლება და ბოლოს, ბარათის დამთავრებაც. მრავალი რამის გაკეთება შეიძლება. ვლადიმერ ილიას ძე წერდა. მაგრამ, როგორც კი კარებში გამოჩნდა მისი დიდი ხნის ნაცნობის, მორიდებული და ახლა, ცოტა არ იყოს, დარცხვენ-

ლი მეცნიერის გამხდარი, მაღალი ტანი, ლენინი მაგიდიდან წამოდგა და შესაგებებლად გასწია.

— მობრძანდით, ლეონიდ ალექსის ძე, მობრძანდით, — ვლადიმერ ილიას ძემ ერთ-ერთ რბილ სავარძელზე მიუთითა, — დაბრძანდით, გეთყვია...

ლეონიდ ალექსის ძე კორშუნოვი უხერხულად, სწრაფად გაეშურა სავარძლისაკენ, დაჯდა თუ არა, ფეხები იმ მაგიდის ქვეშ შემალა, რომელიც ლენინის სამუშაო მაგიდასთან იყო მიდგმული. ეს ყველაფერი ისე სწრაფად გააკეთა კორშუნოვმა, რომ უხერხულობა იგრძნო და შერცხვა. მაგრამ, როცა ლენინს შეხედა, რომელიც თავის მოწულ სავარძელში ჩაჯდა, დამშვიდდა და მხოლოდ მაშინ შებრუნდა მისკენ.

— როგორ ბრძანდებით, ლეონიდ ალექსის ძე? — ჰკითხა ლენინმა, — ხომ არაფერს უჩივით?

— გმადლობთ, ვლადიმერ ილიას ძე. არაფერი მაწუხებს.

— კარგია. ძალიან მძიმე დროა, ლეონიდ ალექსის ძე, როგორმე უნდა ვძლიოთ...

როცა ლენინი დადუმდა, კორშუნოვმა დაიწყო.

— მე ციმბირში შესაძლო ექსპედიციის თაობაზე გეახელი, ვლადიმერ ილიას ძე. თქვენ, რასაკვირველია, გეცოდინებათ, რომ ათას ცხრაას რვა წლის ოცდაათ ივნისს სწავლულთა სამყაროსათვის ფრიად საინტერესო რამ მოხდა, მოვლენა ძალზე იშვიათია, თავისი მასშტაბით უჩვეულო და შესაძლოა, მნიშვნელოვანიც. ციმბირის ტაიგაში ჩამოვარდა მეტეორიტი, — კორშუნოვმა ლენინს შეხედა და დარწმუნდა, რომ იგი ყურადღებით უსმენდა.

კორშუნოვს ეგონა, ლენინმა მეტეორიტის შესახებ ყველაფერი კარგად იცოდა, იმასაც მიხვდა, რა ფიქრი და სურვილი აწუხებდა მეცნიერს. ამ დროს თავისი მოხსენებით კი დროს ართმევს ძალზე დატვირთულ ადამიანს. კორშუნოვს ენა დაება.

— ეს მეტეორიტი... თუმცა, თქვენ ეს ყველაფერი იცით...

— ტყუილად ფიქრობთ ასე, ლეონიდ ალექსის ძე, — შენიშნა ლენინმა, — გარდა იმისა, რომ მეტეორიტი სადღაც ჩამოვარდა, მე სხვა არაფერი ვიცი. დიან, დიან... — თავი გვერდზე გადასწია, მეცნიერისკენ გადაიხარა და ჩუმად, ღიმილით წარმოთქვა. — წელიც კი არ მახსოვდა.

კორშუნოვსაც გაეღიმა.


— საოცარი ამბავია! — უკვე სერიოზულად განაგრძო ლენინმა, — ბევრს მიაჩნია, რომ სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ, კომისრებმა ყველაფერი იციან, სისულელეა. ამავე დროს — მკენე! ჩვენ ცოტა, ძალიან ცოტა, სამარცხვინოდ ცოტა ვიცით! რაც უფრო ხშირად შეგვხვდებით თქვენ, მით უკეთესი!... განაგრძეთ ლეონიდ ალექსის ძე და ნუ იჩქარებთ.

გამხსენებულმა და გამხიარულებულმა კორშუნოვმა განაგრძო წინასწარ მოფიქრებული აზრი:

— თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ ყველაზე მონრდილად ითვლება ოცდათექვსმეტნახევარი ტონის მეტეორიტი, რომელსაც მოსდევს ეგრეთ წოდებული მექსიკური ოცდაშვიდტონიანი, მაშინ ჩვენი, ციმბირული მეტეორიტი, პირადად მე, ყველა ჩვენთვის ცნობილ მეტეორიტებს შორის გიგანტად მესახება, მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ დღემდე ამ მეტეორიტის ადგილსამყოფელი არ ვიცით...

— და თქვენ გინდათ მის საძებრად გაემგზავროთ? — ჰკითხა ვლადიმერ ილიას ძემ, როცა კორშუნოვი წამით დადუმდა.

— დიან, — მიუგო მან, — სწორედ ასეა, მინდა მის მოსაძებნად წავიდე, — და სწრაფად დაუმატა, — მესმის, რომ ამჯერად საამისო დრო არ არის... მე ძალიან ცოტას გთხოვთ. საწყენია,



როცა საზღვარგარეთ ყალიბდება ჩვენი, რუსული, მეტეორიტის შემსწავლელი საზოგადოება, ჩვენ კი...

— არა, არა, არა, — ზედინედ წარმოთქვა ლენინმა, — საზღვარგარეთი აქ რა შუაშია! დე, ნურც იოცნებებენ ამაზე. რა გჭირდებათ თქვენი ექსპედიციისათვის?

— მე უკვე მოვამზადე, — კორშუნოვმა პიჯაკის შიდა ჯიბიდან ორად გაკეცილი ქალაქი ამოიღო, — ვეცადე, თავდაპირველად, ვლადიმერ ილიას ძევ...

ლენინი სიის კითხვას შეუდგა. და რაც უფრო ჩაუღრმავდა, მით უფრო ეჭმუნებოდა სახე. კორშუნოვმა შენიშნა, რომ დარდი, რომელიც აქამდე არ შეუნიშნავს ლენინის სახეზე, ახლა მკვეთრად გამოეხატა. მერე ვლადიმერ ილიას ძემ დააწყო ეს ფურცლები მაგიდაზე, მარცხენა ხელისგული გადაუსვა და თავისი მკაცრი, დარდიანი სახე მეცნიერს მიაპყრო.

კორშუნოვმა შეხედა ლენინს და უიმედოდ მიმართა: — თუნდაც... სია შეიძლება შევამციროთ. პური ცოტა... და მოწყობილობანიც... თედოლიტი საერთოდ ამოვიღოთ... ამას გარდა...

ლენინი კაბინეტის კუთხისაკენ ისე იყურებოდა, თითქოს სტუმარს არც კი უსმენდა და საერთოდ არ ამჩნევდა მას.

— თედოლიტი ამოვიღოთ, — გაიმეორა მან. მოჭუტული თვალებით შეხედა კორშუნოვს, მკვეთრად გასწია თავისი მოწინული სავარძელი, თითქოს უკმაყოფილომ და გაკვირვებულმა თითები ქალაქზე ათამაშა და მაგიდას გაშორდა.

ვეცადა, არ შეეხედა კორშუნოვისათვის, ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაიწყო და კაბინეტში ბოლოა დასცა.

— იქ ხომ ტაიგაა, — მოჭრილად და მტკიცედ თქვა ლენინმა, თითქოს ცდილობდა, გაერკვია მეცნიერი საგნის არსში, — ათასი ვერსი გაუვალი და უთავბოლო ტაიგისა. ბობოქარი მდინარეები. მხეცები. უგზობობა და ათასობით ვერსზე არც ერთი სულღირი... თქვენ გესმით ეს?

ლენინი შეჩერდა.

— თქვენ ეს ყველაფერი იცით, — თქვა ვლადიმერ ილიას ძემ უფრო რბილად, ისევ ჩახედა სიას და განაგრძო: — „გირვანქა პური დღეში, ხუთი გირვანქა შაქარი ექსპედიციის ყველა წევრზე, თამბაქო...“ — კითხულობდა იგი და ხმაში ეტყობოდა ხან სუსხი, ხან უკმაყოფილება, ხან გაკვირვება, ხანაც, უცებ, ამას ყველაფერს სევდა ფარავდა.

— შაქარი შეიძლება ამოვიღოთ, თამბაქო კი, ბოდიშს ვიხდით, აუცილებელია: კოლონებისგან კარგად იცავს კაცს, — მკაცრად შენიშნა მეცნიერმა.

ალბათ ვერ გაიგო მისი სიტყვები, ვლადიმერ ილიას ძე განაგრძობდა:

— „ბეწვეული ხელსაწყოების ბუდისათვის“. ხელსაწყოების? — გაიმეორა მან.

კორშუნოვი წამოიშარტა, გაიღვარეს მისი სათვალის შუშეებმა, რომლებშიც ფანჯრების ანარეკლი აისახა.

— ვლადიმერ ილიას ძევ! — ხმამაღლა და მტკიცედ მიმართა მან, — ამხანაგო ლენინ! წასვლა შეიძლება! გაიგეთ, ჩვენ ბედნიერება გველირსა. სადმე კი არა, სწორედ ჩვენს მიწა-წყალზე დაეცა ეს მეტეორიტი! იშვიათი შემთხვევაა. ჩვენ კი? ის რომ საფრანგეთში, ან ამერიკაში ჩამოვარდნილიყო — წარმოიდგინეთ, რამდენი და რანაირი ექსპედიციები არ დაიძვრებოდა მისკენ! დიან, ჩვენ ღარიბები, მშვირები ვართ, ინტერვენტებს სურთ, დაგვანჩონ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს იშვიათი შესაძლებლობა მოგვეცა მხოლოდ ჩვენ. მსოფლიო მეცნიერება დამნაშავე არ არის, რომ ჩვენ ღარიბები ვართ. უნდა წავიდეთ, ვლადიმერ ილიას ძევ!

და კორშუნოვი ისევ სავარძელში ჩაჯდა.

— რანაირი ხართ... ღმერთო ჩემო! — წამოიძახა ლენინმა და მეცნიერს მიუახლოვდა, — რასაკვირველია, წასვლა შესაძლებელია, არაჩვეულებრივად ადამიანო, ლეონიდ ალექსის ძევ. ის, რასაც თქვენ ითხოვთ, მოგცემთ. მაგრამ ეს ხომ ცოტა! განა ასეთი ალჭურვილობით მიდიან ციმბირში?! ეს ხომ მოსკოვის გარეუბანში წასასვლელად ეყოფა კაცს! ეს ხომ ნამცეცები! საწყენია, საწყენი! — იმეორებდა ლენინი დაჟინებითა და შეურიგებლად: — გეთაყვა, ნუ ჩათვლით თავს მთხოვნელებად. თქვენ ხომ მეცნიერები ბრძანდებით, იშვიათი, საოცარი ხალხი, ჩვენი მომავალი! დიდი რუსული მეცნიერების მემკვიდრენი! და აფასეთ თქვენი თავი და კი არ უნდა გვთხოვოთ, უნდა მკაცრად მოითხოვოთ! დასანანია, რომ ასეთ ხალხს, როგორც თქვენ ბრძანდებით, არ შეგვიძლია მივცეთ ყველა აუცილებელი რამ, რასაც იმსახურებენ! მაგრამ არა უშავს ვეცადროვით!

— ა... ა... — დაბნეულად წარმოთქვა კორშუნოვმა. შეჭყურებდა ლენინს და უნდოდა კიდევ რაღაცის თქმა, მაგრამ მხოლოდ შეებით ამოისუნთქა, ხელი შუბლზე მოისვა და ოფლი მოიწმინდა.

— ლენინი მეცნიერს მიუახლოვდა და თანაგრძობით ჰკითხა:

— ლეონიდ ალექსის ძევ, ჩვენ რომ მოგცეთ მხოლოდ ის, რაც აქ წერია, აი, ამ არქიმოქრძალეზული სიით? — წაჩუქდა კორშუნოვის ფურცლებზე, — წახვალთ?

— ვლადიმერ ილიას ძევ, მე მეტზე არც მოიცნებია! აი, გადნება თოვლი, მოვემზადებით და გზას გავუდგებით. ღმერთმანი, სხვა მეტი არაფერი გვინდა. თქვენ ისედაც რამდენ რამეს გთხოვენ... ყველა, ყველა ექაჩება... საიდან, როგორ?

— გაემგზავრებით? — ისევ ჰკითხა ლენინმა.

— დიან, გავემგზავრებით.

— და სხვა არაფერს მოგვთხოვთ?

— სხვა არაფერს.

— არაფერს, ლეონიდ ალექსის ძევ?

— არაფერს.

ლენინმა უკმაყოფილოდ ჩაახველა. მერე სადღაც ქვემოთ დაიხედა. მაგიდის ქვეშ გააპარა თვალი და სევდიანად გაიღიმა.

— აბა ერთი, ბიძია ლეონიდ ალექსის ძევ, მიდით იმ ფანჯარასთან!

— რატომ, ვლადიმერ ილიას ძევ?

— გთხოვთ, ლეონიდ ალექსის ძევ, მიდით იმ ფანჯარასთან. პატივი დამდეთ, — და ლენინმა ანცად დაუქნია თითი მუქარით, — გიცნობთ, გიცნობთ!

— არა, ვლადიმერ ილიას ძევ. თუ თქვენ თანახმა ბრძანდებით, მე აღარ წავართმევთ დროს...

— არა, — გულთბილად თქვა ლენინმა — მე ჯერ კიდევ არა ვარ თანახმა. კეთილი ინებეთ, მიდით იმ ფანჯარასთან, ლეონიდ ალექსის ძევ.

კორშუნოვი უხალისოდ წამოდგა და ყოყმანით, რაღაცის მოლოდინში, უყურებდა ლენინს.

ლენინიც არ აშორებდა თვალს.

— აბა, — ჩააცვივდა იგი, — აქეთ გამოდით.

— აბა, გამოვედი, — კორშუნოვი მაგიდას მოშორდა.

ლენინმა ფეხებზე დახედა მეცნიერს და თქვა:

— ხედავთ? სწორედ ასეა! ბიძია, რით გავემგზავრები ტაიგაში? ამ ძველი ფეხსაცმლით, რომელიც მოსკოვიდან ხუთ ვერსზე მთლიანად დაგვეშლება?

— შეიძლება ამითაც, — თქვა კორშუნოვმა, — მე თოკით... შიგნით შვიგსახვევით, ზემოდან კი — ბაწრით...

— შეიძლება, — გაიმეორა ლენინმა ჩაფიქრებით, — თქვენ ხომ სხვა არაფერი გაქვთ.

— მქონდა და გაცვივით. ამათ კი ვუფრთხილდები...

— შეიძლება ამითაც, — თქვა ისევ ლენინმა, — ბოდიშს ვიხდით, ლეონიდ ალექსის ძევ. ბოდიშს ვიხდით.

ლენინი ხელით შეეხო კორშუნოვის მხარს და დასვა იგი. თვალებში ჩახედა, ხომ არ ეწყინაო და როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ არ იყო ნაწყენი, დამშვიდდა, ოთახში გაიარა.

— არაჩვეულებრივი ხალხი გვეყავს, — თქვა მან, — აი, ციოლკოვსკი... წარმოიდგინეთ პროვინციული რუსული ქალაქი. სადღაც ხის ძველ სახლში, ალბათ, აბალახებულ ქუჩაზე, სადაც ღორები და ბატები დაეხეტებიან, ცხოვრობს მოხუცი მათემატიკის მასწავლებელი, კმაყოფილდება მცირე ულუფით — პური-თა და ქაშაყით — და საპლანეტაშორისი გაფრენების საკითხებსა წყვეტს. ამ დროს, ალბათ, გაყინულ ოთახში ზის! და თქვენც, ბიძია, იგივე გზას ადგახართ: ათას ვერსიან გზას ციმბირის ტაიგაში, დაფრეწილი შტიბლეტებით!

— „თქვენ კი, — გარფიქრა კორშუნოვმა, — თქვენ ასე არა ხართ, ვლადიმერ ილიას ძევ? ქვეყანაში, სადაც ყველას არ შეუძლია თვით სიტყვა „სოციალიზმის“ წაკითხვა, სოციალიზმს აშენებენ!“

კორშუნოვმა უცებ თვალნათლივ წარმოიდგინა, რომ ლენინს და მას რაღაც აახლოებს, აერთიანებს, რომ ლენინი და იგი, კორშუნოვი, აკეთებენ ერთსა და იმავე დიდ საქმეს — ციოლკოვსკის ცხოვრებაში მთავარს, ციოლკოვსკისა, რომელიც ცხოვრობს კალუგაში და ითვისებს სამყაროს; მშვიერი მუშებისა, რომლებიც ალაღვენენ ქარხნებს, და გლეხების ცხოვრებაში, მიწას რომ ხნავენ კავით...

მეცნიერი წავიდა, აღგზნებული და რაღაცნაირად მსუბუქი. მან გაირბინა კრემლი, გავიდა წითელ მოედანზე. მიდიდა ხეაღმართულ დღეზე ჩაფიქრებული, ოცნებაში წასული, ოცნებაში, რომელიც აუცილებლად ახდებოდა.



ამირან არაბული

ხევში ხშირად იხსენებენ ახლო წარსულის ერთ უბრეცენდენტო შემთხვევას. რომლის მსგავსი, ვეჭვობთ, ოდესმე კიდევ განმეორდეს მეცხვარეთა შრომით ისტორიაში.

თებერვლის ნახევრებში, როცა, მწყემსთა სიტყვით რომ ვთქვათ, „გახურებული“ დოლია, ნოღათიდან შემოთვალეს: ამინდი არ გეწყალობს, ძალზე მძიმე პირობებში ვიმყოფებით, თუ ასე გაგრძელდა, ცხვარ-ნამატის საქმე ვერ წავა კარგად, გვირჩიეთ, როგორ მოვიქცეთ, რა მოვიმოქმედოთ.

პასუხისმგებელმა პირმა, ვისაც პირუტყვის გამოზამთრებისთვის ზრუნვა ეხებოდა, დაუყოვნებლივ გასცა განკარგულება: შეაჩერეთ დოლი!

მაგრამ დოლს ვინ და რანაირად შეაჩერებდა?!

სამწუხაროა თუ სასაცილო ეს უცნაური, თითქოსდა დაუჭერებელი ამბავი, მკითხველმა განსაჯოს...

ყველა კარგი და კეთილი საქმის ქვაკუთხედი რწმენაა. თანადგომის, რწმენისა და იმედის გარეშე ფასეული და ხეირიანი არაფერი შექმნილა, არაფერი გაკეთებულა.

ცხადად შეიძლება წარმოიდგინო კაცმა პატივცემული უფროსის „მახვილგონიერული“ გადაწყვეტილების გამო გაკვირვებული, გაოგნებული, პირზე ღიმილშემშრალი მწყემსების სუსხისგან ატკრეცილი სახეები.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ მრავალნაწილი მეცხვარე, საბედნიეროდ, არ დაბნეულა, განგების წყალობას არ დალოდებია და, როგორც შეეძლო, შეებრძოლა უამინდობას, თოვლსა და ქარაშოტს, ტრიალი ველების უსახურ ერთფეროვნებას. შეებრძოლა, შეუტია და დაღუპვას გადაარჩინა ასეულობით სული უმწეო, პატრონის ხელსა და ნებას მინდობილი პირუტყვი.

როგორც ზღაპარში ხდება ხოლმე, ყოველივე მშვიდობიანად დამთავრდა, ტრაგედია არ დატრიალებულა: თუმცა ზარალსაც ჰქონდა ადგილი. ზამთარმა გულდა-ნაბადი აიკრა და ფეხაკრეფით გაეცალა გამრჩე ადამიანთა შრომით ასპარეზს. უკან დარჩა თეთრად გათეული დამეგების უსასრულო რიგი, თოში და შიმშილი, მარცხ-განსაცდელის უცარი ელდა, ყო-

ველწამიერი ხიფათის მომწყველი სუნთქვა, დარჩა და ნაადრევი გაზაფხულის მზემ მაცოცხლებელი სხივი აკურა ცხვრის ფეხით გაგლიშ ნამძინარე ტრამალებს.

— დარიალის ხეობა...

დღენიდაგ ბობოქარი და გულჯავრიანი თერვის დაყოლებაზე გაკლავნილი საქართველოს სამხედრო გზა.

ტურისტული მოგზაურობის მოყვარულთათვის დარიალის ვიწრო, მკაცრი და სულწუხი ხეობა ლამაზ, თვალწამლებსა-ნახაობას წარმოადგენს. ფიჭვნარით შემოსილი ბუნებრივი სიმაგრეები, სპეტაკი ფიფქით მოვერცხლილი შორი მწვერვალები და, პოეტის ნათქვამს რომ დავესესხოთ, „ქუფრ ქარაფში“ მობიბინე „ქუჩის ქოჩორი“, სამუდამოდ აღიბეჭდება მნახველის მეხსიერებაში, როგორც ამადლებული, შეუღახავი სამყაროს თავისებური ხატი და სიმბოლო.


ხოლო მეცხვარეებისთვის, მათთვის, ვისაც ყოველ სთველსა და გაზაფხულზე უწევს ამ გზის გავლა, დარიალი ნაკლებ რომანტიკულია. მათი თვალისთვის აქ ყველაფერი ხელის-გულივით ნაცნობი, „შინაური“ და ჩვეულებრივია, შესაძლოა,

მობეზრებულად კი. მეცხვარეებს წუთიც არ რჩებათ ამ მართლაცდა მომაჯადოებელი სიმშვენიერის სანახაობით ტკბობისთვის.

თეთრი ფარებით გაძევილ ავტოტრასაზე ტრანსპორტის მოძრაობა ფერბდება. ისევე მწყემსებმა უნდა გაუკვილონ გზა განუწყვეტლივ მოგუგუნე, აღმა-დაღმა მიმჭროლავ მანქანებს. აწყდებიან გზის თავსა და ბოლოს, ურიალებენ აბლაგლებულ პირუტყვს და ასე, რის ვაი-ვაგლანით „ხსნიან“ საველს ავტოკოლონების მორიგ „შემოტევაში“. ამ დროს ავი, ცხვარ-მწყემსის ერთგული ვეება ნაგაზები, თითქოს თავიანთი მოვალეობა დავიწყებით, ზანტად და მორჩილად, მძიმე ძუნძულით მიუყვებიან ასფალტის ნაპირზე დატოვებულ მოხრეშილ ბილიკს.

გასაქანი არსაითაა. გზის ერთ მხარეს თვალუწვდენელი, კედელივით სწორად ჩამოთლილი პიტალოები აღმართულან, ხოლო მეორე მხარეს ლობრიან ლოდებზე ხეთქებისაგან გავეშებული „თერვი რბის, თერვი ღრიალეს“.

მწვერ ცხვარს ცვარდაკრული, ყვავილიანი საძოვარი ენატრება, მთელი ღლის ჯაჯანით ჯანდალეულ მწყემსს — სულის მოთქმა, ცოტა ხნით მუხლის ჩანრა. ძილზე ხომ ფიქრაც არ



შეიძლება, მგზავრობისას ძილი ვის გაუგია. წამით წაგთვლემს, ჩაგეძინება და ძაღლების ყეფა გაფხიზლებს უმაღლეს.

გააღწევ დარიალის ვიწროებიდან, სივრცე გაიხსნება, გახალვითდება, მიაღვები ლარსს და შვებას იგრძნობ. აქედან ცხვრის ვადასარევი ტრასა რიყის მიუყვება, მდინარის მეორე ნაპირზე გადადის და იწყება ბოლოუჩინარი, ფართოდ გაშლილი მინდვრები და ნათესები.

ყაზბეგის რაიონს სერიოზული ჩავარდნები ჰქონდა მეცხოველეობის მთელ რიგ უბნებზე. ვერ სრულდებოდა ხორცისა და მატყლის დამზადების გეგმები, უხეშად ირღვეოდა შრომის დისციპლინა, რაც თავის მხრივ, უნაყოფობასა და წარუმატებლობას იწვევდა.

ვერ ვიტყვი, რომ რაიონში ამჟამად ყველაფერი რიგზეა და მწყემსთა საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებული ყველა პრობლემა დაძლეულია. ერთი რამ კი ცხადია: წინა წლებთან შედარებით აშკარად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

სასიამოვნო სიახლედ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ წლობით უსამართლოდ საქმის გაიოლების კარნახით ხელნაკრავი და მივიწყებული ცხვრის წველა და ყველის დამზადება, კვლავ დაიწყეს ყაზბეგელმა მეცხოველეებმა. ყველა პირობა უნდა შეიქმნას იმისათვის, რომ ამ უაღრესად საჭირო და სასარგებლო წამოწყებას, რაც შეიძლება მეტმა ბრიგადამ აუბნას მხარი, მეტადრე მაშინ, როცა ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობათა განკარგულებაში მყოფი საზაფხულო საძოვრები საამისოდ სრულ შესაძლებლობას იძლევიან.

სტიმულირების მიზნით რაიონში შეიქმნა რამდენიმე საიჯარო ბრიგადა. წინასწარ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ბრიგადის წევრებს ეძლევათ გეგმის ზევით მიღებული ნამატის ოცდაათი პროცენტი. დროს მოთხოვნათა შესაბამისი ამ მოსაწონი მოვლების, პოზიტიური შედეგები, შეიძლება ითქვას, უკვე სახეზეა.

შარშანწინ საზოგადოებრივ სექტორში გეგმით გათვალისწინებული იყო ოთხმოცი ათასი სული წვრილფეხა პირუტყვი. გეგმა შესრულდა ასი პროცენტით. ასევე შესრულდა ხორცისა და მატყლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების წლიური გეგმები. შარშან რაიონმა სახელმწიფოს მიჰყიდა ხუთასი ტონა ხორცი.

ამასთან, შეინარჩუნეს სულადობის სავალდებულო რაოდენობა.

რაც შეეხება უახლოესი მომავლის პერსპექტივებს, წინასწარი ვარაუდით, მიმდინარე ხუთწლიანი ბოლოს წვრილფეხა პირუტყვის რიცხვმა რაიონის კოლმეურნეობებში ოთხმოცდაათი ათას სულს უნდა მიაღწიოს. ეს არის ზღვრული ნორმა, რომლის დარღვევა საძოვრების უზომო გადატვირთვის და იალაღების ეროზირებას გამოიწვევს. ბუნებრივი სავარგულების მოსალოდნელი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ოპტიმალური გზების ძიება, ყველა დეტალის წინასწარ დაზუსტება.

მეცხვარეობის ძველსა და მდიდარ ტრადიციას ღირსეული გამგრძელებელი სჭირდება. რაც დრო გადის, საკუთარი ხელობის საფუძვლიანად მცოდნე მეცხვარეთა რიცხვი, სავალალოდ, თანდათანობით მცირდება. „მცნობებზე“ ხომ ლაპარაკი უკვე ზედმეტია! თითო-ორთა კაციღა თუ მოიძებნება მეცხოველეობის რაიონებში, ვინც „მცნობის“ საპატიო და აგრერიგად საჭირო „საიდუმლოს“ ფლობს და ინახავს. არადა, მათი მრავალწლიანი გამოცდილების გაზიარება უთუოდ მართებთ ახალგაზრდა მწყემსებს.

აღრე რაიონის ახალგაზრდობა ხალისით მიდიოდა ცხვარში. სადღეისოდ ამ მხრივ გაცილებით რთული და მძიმე მდგომარეობაა.

ამის მიზეზი, ნაწილობრივ, უმძლესი განათლების კენსწრაფვაში უნდა ვეძიოთ. ეს მისასაღებელი ფაქტია და, ამავე დროს, დამაფიქრებელიც. მისაღებ გამოცდებზე ხელმოცარული აბითურიენტი ლობეყორეს ედება, ყოველნაირად ცდილობს, ქალაქად დარჩეს და დამკვიდრდეს, მზადაა, მისთვის შეუფერებელ საქმესაც კი მოჰკიდოს ხელი, ოღონდაც უკან ნუ დააბრუნებ!

ანდა, რამდენი კიციტით, ისევე მშობლიურ რაიონში რომ ბრუნდება და უსაგნო, უსარგებლო ხეტიალში კარგავს საშურ დროს, უაზროდ და ანგარიშმიუცემლად ფლანგავს ჰაბუკურ ღონესა და ენერჯიას.

ყაზბეგის რაიონში მისაბად ტრადიციად დამკვიდრდა მწყემსის დღე, რომელიც შემოდგომაზე ტარდება. მთელი რაიონის მოსახლეობა იყრის თავს. ახხოტის მიწდორზე იმართება დოლი, ტარდება მხატვრული ღონისძიებანი.

ამ ზემოთხედა ახალგაზრდების მწყემსებად კურთხევა. მათ გზას ულოცავენ უფროსი

თაობის წარმომადგენლები. ჰარმაგ მეცხვარეთა რიგებს ყოველწლიურად ემატება ათითხუთმეტი ახალსკოლადამთავრებული ჰაბუკი. ეს კი ცოტას არ ნიშნავს. მათ შორის ბევრია არჩეული პროფესიისადმი ერთგული და პერსპექტიული ახალგაზრდა.

წლებანდელი ზამთრის უჩვეულო დიდთოვლობამ, ერთიანად რომ მოიცვა იმიერ და ამიერ საქართველოს მაღალმთიანი კუთხეები, სერიოზული საფიქრალი გაუჩინა მეცხვარეებს. მთებში თოვლი გვიანობამდე დევს ხოლმე და ბალახიც, რასაკვირველია, გვიან ამოდის. გარდა ამისა, მოსალოდნელი წყალდიდობები, წვიმა და მეწყერი გარკვეულ საფრთხეს უქმნიან კასპიისპირეთიდან აყრილსა და საზაფხულო იალაღებისკენ გეზოებულ ცხვრის ფარებს. ამიტომაც მართებთ მეტი საზრიალობის, სიფრთხილისა და წინდახედულების გამოჩენა კოლმეურნეობების თავკაცებს, ბრიგადის ხელმძღვანელებს, რიგით მწყემსებს.

ვინმეს დაუდებენ ტოლს იჯარული ბრიგადის ხელმძღვანელი ბიძინა სუჯაშვილი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი თამაზ ჩოფიკაშვილი, თავის პროფესიაზე აგრერიგად შეყვარებული ახალგაზრდა კაცი ვანო გომიშვილი?

ბევრნი, ძალიან ბევრნი არიან ასეთები აქ, და ჩვენ მათი მისამართით კარგის მეტი არაფერი გვეთქმის.

„... დარიალის ვიწროებში, სადაც ეხლა მშვენიერი გზატკეცილი მიდის და შავ კლდეებს შუა გველსავით იკლავება, უწინ მხოლოდ ბლიკები იყო, რომელზედაც ცხენების ქარავნები ძლივს დადიოდა. ეს გზა მოდიოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში ჭერ ლარსის ვიწრო ხეობაზე, მაგრამ რაკი დარიალის უზარმაზარ მთებს მოადგებოდა, იქ კლდე იყო განვრთილი და გზა ქანქანით გაყვანილი, რომლის სათაურშიაც მოხვევით ყარაულეები იდგნენ და საქართველოს დაუპატიჟებელ სტუმრებისაგან იცავდნენ.“

ასე იწყება ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯა“. ამ დასაწყისს, გარდა ლიტერატურული ღირებულებისა, დოკუმენტის მნიშვნელობაც აქვს. „მთიელთა ფარისა“ და „ქართველების პომეროსის“ სიტყვებში იმდროინდელი სინამდვილის მართალი სურათია აღბეჭდილი. „ქანქა-

ნით“ ანუ კლდის ქანებზე გაყვანილი გზა, იოლი წარმოსადგენია, რაოდენ საშიში და საჭირო ფათო იქნებოდა ქვეყნისათვის ცხენოსანი მგზავრობისთვის.

დარიალის ხეობაში, სამხედრო გზის მაღლა, ცადაწვილი ფრიალოვებზე დღესაც მოჩანს ძველი ნაგზაურის ნაწყვეტები. უყურებ და ფიქრობ: ამ საცალფეხო-სასაბალნე გზაწვრილზე მოსიარულე ხალხს ქორის თვალი და მგლის მუხლი უნდა ჰქონოდა. სიფხვრის ოდნავი მოღუნება, ერთი წაბორძიკება და მქუხარე, ქაფმორეული თერგის არჩივად იქცეოდა ადამიანი...

მაღე მოადგებიან დარიალის კარიბჭეს თეთრი ქარავნები. ცხვარ-ნამატის ბლავილი, მწყემსთა ძახილი და ძაღლების ყეფა გამოაცოცხლებს ლილო-ჭრილო შერჩენილ, თოვლის ნაღობით დაღობილ, მორუხო ფერის მთათაფერდობებს, მღვრე ნაკადულებს ენაზე აჩქამებულ კლდეებს ხევ-ხუვებს, ციცაბოებზე მიმოკარგულ ვიწრო ბლიკებს.

მეცხვარეთა მთაბარობას ყოველთვის საგულდაგულო სამხედრო უძღვის ხოლმე წინ. ზედმიწევნით იციან ნაცემმა მწყემსებმა, რა სჭირდებათ და რა არა გრძელი და დამლელი მგზავრობისათვის. იციან და წინდაწინ იმარაგებენ საგზალს, საწვიმრებს, ფეხსამოსს, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც აუცილებელზე აუცილებელია მათი მშვიდობიანი „ოღისეისთვის“.

სიტყვამ მოიტანა და აქვე დაეძინო: დღემდე ვერ მოხერხდა რაიონის მეცხვარეთა უზრუნველყოფა მათი ყოველდღიური ყოფისთვის ჰაერითი საჭირო ისეთი ნივთებით, როგორცაა ხარისხიანი, წყალგაუმტარი ნაბლები და საწვიმრები. ისევ და ისევ მოუგვარებელია სამგზავრო თუ მეზარგული ცხენებისათვის გამოსადეგი კაზმულთის დამზადების საკითხი. ამასაც რომ თავი დაეხანებოთ, მწყემსები ხშირად წუხან ნალ-ლურსმნის უქონლობის გამო.

ელოდებიან ყაზბეგის რაიონის ცხვარ-მწყემსს ხევის თვეობით ნასვენო მთებში, ელოდებიან გერგეტის, ფანშეტის, არშა-ახხოტის, ტყარშეტის, ფხელშე-გორისციხის, ხურთისის, ყანობის, სიონის, გარბანის, სნოს, ახალციხის, ართხმოს, ქოსელთის, კარკუჩისა და ჭუთის ლალიანი, გრილი წყაროებით უხვი და მდიდარი, სიმწვანემორეული საზაფხულო საძოვრები.

კეთილი იყოს მათი დაბრუნება მშობლიურ იალაღებზე!



საქართველო კომუნისტური პარტია დავას- თან

ბავშვობაში ეზიარა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი უძველეს და ბრძნულ თამაშს — ჭადრაკს, მთელი არსებით შეიყვარა და ბოლომდე ერთგული დარჩა მისი.

გასაოცარი ნიჭისა და უნარის მქონე ბავშვმა მალე აულო ალ-ლო მანამდე მისთვის უცხო თამაშს. გამოხდა ცოტა ხანი და იგი თვითონ გახდა მასწავლებელი უმცროსი ძმის მიტისასი. „ჩემთვის ის მასწავლებელი იყო და ძალზე მკაცრიც, — წერს მოგონებებში დიმიტრი ილიას ძე, — ამიტომაც უფრო მამასთან მიყვარდა თამაში, რადგან ნებას მაძლევდა სვლები დამებრუნებინა“.

ჭაბუკობაშივე ჩამოყალიბდა ლენინის საჭადრაკო კრელო. მას უკვე აღარ იტაცებდა შეხვედრების მშრალი, არითმეტიკული ანგარიში. მისი სტიქია შეუპოვარი ბრძოლა და მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი გზა-ხერხების ძიება იყო. ამიტომაც, თავისზე სუსტ მოთამაშეს იგი არასოდეს ეთამაშებოდა თანაბარი ძალებით. როცა პარტნიორის სუსტი თამაშის გამო მოიგებდა პარტიას, უკმაყოფილოდ ეტყოდა ხოლმე: ეს მე კი არ მომიგია, შენ წააგეო.

...ჭადრაკმა ვლადიმერ ილიას ძე კიდევ უფრო მეტად 18-19 წლის ასაკში გაიტაცა. მარკ ელიზაროვის ინიციატივით ვლადიმერ ილიას ძე მიმოწერით ორთაბრძოლაში ებმება რუსეთის ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკესთან ა. ხარდინთან, რომელიც სამარაში ცხოვრობდა და ნაფიც ვეჭილად მსახურობდა.

ცნობილი არ არის, თუ რამდენი პარტია ითამაშეს მიმოწერით ხარდინმა და ვლადიმერ ილიას ძემ, მაგრამ ის კი ვიცით, რომ შეჯიბრება მათ შორის გრძელდებოდა 1888-1889 და მცირე შესვენების შემდეგ — 1889-1893 წლებში.

ტურნირშიც შეხვდა ხარდინს ვლადიმერ ილიას ძე. ეს შეჯიბრება სამარაში მოეწყო 1890 წლის ზაფხულში. ტურნირის მონაწილენი (სულ 10 კაცი), რომლებიც არათანაბარი ძალისანი იყვნენ, დაყვეს თანრიგებად, ხოლო თანრიგები გამოიყენეს შეხვედრებში ფორის დასადგენად. პირველ თანრიგში მხოლოდ ა. ხარდინი მოხვდა, მეორეში — ოცი წლის ვლადიმერ ილიას ძე და კიდევ ერთი მონაწილე, ხოლო მესამე და მეოთხე თანრიგებში — დანარჩენები.

ეს საინტერესო ტურნირი ახალგაზრდა ლენინის გამარჯვებით დასრულდა. მან დაიმსახურა დაწესებული პრიზი — 15 მანეთი, მაგრამ ჯილდოს მიღებაზე უარი განაცხადა და მისივე წინადადებით თანხა საქველმოქმედო ორგანიზაციას გადაეცა.

...ლენინი გულმოდგინედ ეცნობოდა საჭადრაკო კომპოზიციას, ხშირად ჩაჰკირკიტებდა ხოლმე საჭადრაკო ეტიუდებსა და ამოცანებს, სიამოვნებით ხსნიდა მათ.

დიმიტრი ულიანოვისადმი 1910 წელს გაგზავნილ წერილში ვლადიმერ ილიას ძე წერდა: „შენმა ამოცანამ ცოტა გამაღიზიანა. გამახსენა ჭადრაკი, თორემ თითქმის დავიწყებული მქონდა. ერთი წელი იქნება რაც არ მითამაშია... შენი ამოცანა იოლად გადავწყვიტე“ (დიმიტრი ულიანოვის ეს ამოცანა გამოქვეყნდა 1909 წელს ჟურნალ „ნივას“ ლიტერატურულ დანართში).

...ევროპის თორმეტ სახელმწიფოში მოუხდა ვ. ი. ლენინს ემიგრანტული ცხოვრება, ან მოკლე დროით ყოფნა თავისი მგზნებარე, დაძაბული, ხიფათით სავსე რევოლუციური მოღვაწეობის მთელ მანძილზე, მაგრამ საჭადრაკო ინფორმაცია მემუარული თუ ეპისტოლური ხასიათისა, მეტწილად კუნძულ კაპრიზე, პრალაში, კრაკოვში, პარიზსა და ქენევაში ყოფნის პერიოდებზე მოდის.

...ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ილიას ჭადრაკისათვის აღარ ეცალა. „რუსეთში დაბრუნების შემდეგ, — წერს ნ. კრუპსკაია, — ვლადიმერ ილიამ თავი მიანება ჭადრაკს, ჭადრაკმა მეტისმეტი გატაცება იცის, მუშაობაში ხელი მემულებოდა“.

პ. ლეპეშინსკი თავის მოგონებებში „ილიას შესახებ“, რომელიც 1926 წელს გამოქვეყნდა, მოგვითხრობს: „1917 წლის ნოემბრის ბოლოს რის ვაი-ვაგლახით მოვხვდი პეტერბურგში... ჩემს უახლოეს მიზანს შეადგენდა, ჩასვლისთანავე შეხახა ილია, მივდივარ სმოლნში...“

— რას იტყვით, ილია, — ვეკითხები ხუმრობით, — ხომ არ გვეთამაშა ჭადრაკი? ა? ვახსოვთ ძველი დრო?

ღმერთო ჩემო, როგორ გამხიარულდა, რა გულიანად იცხია ჩემს სიტყვებზე! მისი თვალები შორს კი აღარ იხედებოდნენ, ჩვეულებისამებრ, ეშმაკურად შემომცქეროდნენ როგორც საოცრებას, რომელმაც ასე დროულად გაიხსენა ჭადრაკი.


— არა, — სერიოზულად თქვა ილიამ ბოლოს, როცა სიცილით გული იჯერა, — ახლა ჭადრაკისთვის აღარ მცალია. ამერიდან თამაში, ალბათ, აღარ მომიხდება“.

1918 წლის ოქტომბერში, კომკავშირის პირველი ყრილობის დღეებში, ვლადიმერ ილიას ძე შეხვდა ყრილობის პრეზიდიუმის წევრებს და მამაშვილურად ესაუბრა მათ. სხვა საკითხებთან ერთად დაინტერესდა, თამაშობდნენ თუ არა კომკავშირელები ჭადრაკს. ორი წლის შემდეგ, როცა ვ. ი. ლენინთან განიხილებოდა ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საკითხები, მას მოახსენეს სრულიად რუსეთის პირველი საჭადრაკო ტურნირის (ოლიმპიადის) ჩატარების თაობაზეც. წინადადება ბელადის აქტიური მხარდაჭერა დაიმსახურა. „ეგრე იყოს! საინტერესო წინადადებაა, ჭადრაკი ხომ გონების ვარჯიშია“.

საგულისხმო ფაქტს მიაგნო ჭადრაკის ცნობილმა მკვლევარმა ი. ლინდერმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივის ფონდებში. სახელდობრ, მორიგე მდივნების ერთ-ერთ ჩანაწერში აღმოჩნდა, რომ 1923 წლის 14 იანვარს ვლადიმერ ილიას ძემ სხვა წიგნებთან და პერიოდულ გამოცემებთან ერთად მოითხოვა ჟურნალი „შახმატიც“, რომელმაც ის-ის იყო დაიწყო გამოსვლა მოსკოვში.

ჭადრაკისადმი ვ. ი. ლენინის დამოკიდებულება ასახულია არაერთ ოფიციალურ დოკუმენტში, მრავალრიცხოვან მოგონებაში, ეპისტოლურ ფონდსა და ხალხურ თქმულებებში, ექსპონატებსა და საჩუქრებში, პუბლიცისტურ და მხატვრულ ლიტერატურაში, მხატვრობაში, კინოფოტოხელოვნებაში.

ვიორგი მახარაძე



საგარეო ურთიერთობები

საგარეო ურთიერთობები, პაპაძევიკოსი.

ახსნიდან შვიდ კილომეტრზეა სოფელი გორისა. აქ დაიბადა და გაიზარდა გიორგი წერეთელი. რუსეთიდან დაბრუნებულმა მწერალმა, ერთხანს თავის მშობლიურ სოფელში იცხოვრა. შემდეგ კი თბილისში დამკვიდრდა, მაგრამ ზაფხულს ყოველთვის გორისაში ატარებდა.

ცნობილია ისიც, რომ ზემო იმერეთში, სოფელ ჭალაში, ნავთობის საბადოების ძიებაში, კიდევ უფრო შეუწყობ ხელი მწერლის სიანლოვეს აღმზრდელ სოფელთან. ლიტერატურული ფსევდონი მისი „გორისელი“ თავისი სოფლის

სიყვარულმა - აარჩევინა. გორისას მან მთელი სიცოცხლე დაუკავშირა და არასოდეს ამოუღია გულიდან გამზრდელი ბუდე.

გიორგის შვილებიც ირაკლი (აკი), ელენე და ლევანი, რომლებიც მას პირველ მეუღლესთან — ნიკო ნიკოლაძის დასთან, ოლიმპიადასთან შეეძინა, ამ სოფლის ხშირი სტუმრები იყვნენ. გორისასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ანასტასია თუმანიშვილს — გიორგის მეუღლეს.

გიორგი წერეთელს გორისაში ლამაზი ქვეთიკირის სახლი ედგა დიდი ეზოთი. ამჟამად სახლ-კარი აღარ არსებობს, მხოლოდ ეზოა შემორჩენილი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომ 1990 წელს აღინიშნოს დიდი ქართველი მწერლის აკაკი წერეთლის დაბადების 150 წელი. აღძრულია შუამდგომლობა აკაკი წერეთლის იუბილეს იუნესკოს კალენდარში შეტანის შესახებ.

საიუბილეო ღონისძიებებში ოცზე მეტი სამინისტრო და უწყება მონაწილეობს. შედგენილია ვრცელი და შინაარსიანი სამუშაო გეგმა. ბევრი რამის გაკეთებაა ვათვალისწინებული უშუალოდ აკაკის კუთხეში — საჩხერის რაიონში. დასანანია, რომ გიორგი წერეთლის სახლ-კარის აღდგენა ამ გეგმაში შეტანილი არაა.

ახლა ვიკითხოთ, ვინ არის აკაკისთან დაკავშირებული უფრო მნიშვნელოვანი საზოგადო მოღვაწე საჩხერის რაიონში, თუ არა გიორგი წერეთელი! და საერთოდ, ის „ერთი პირველთაგანია მესამოცე წლების მოღვაწეებში“. ეს ხომ თვითონ აკაკიმ თქვა.

1890 წელს, როდესაც გიორგი წერეთლის ცხედარი დიდუბის მიწას მიიბარეს, აკაკიმ მიცვალებულს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ძვირფასო ამხანაგო, თანშეზრდილო და თანვე შებერებულ გიორგი! ამ ხანგვარი საუკუნის განმავლობაში მე და შენი ნაცნობობის კავშირი არ გაწყვეტილა და იმთავიდან ამ ბოლომდე ერთმანეთთან საუბარი არ დაგვეკვია“. მგოსანმა იქვე იწმინასწარმეტყველა: „მოვადრო, როდესაც საზოგადო მოღვაწეებს საკუთარი შეგნებით და არა სხვების ხმის აყოლოთ დაფასებენ, და მაშინ გიორგის ნაწერების სიდიადე და სიკეთე გააკვირვებს ყველას, მაგრამ მარტო ნაწერებით ჩვენი მესამოცე წლების მოღვაწეთა დაფასება დიდი შეცდომა და უსამართლობა იქნება!“

ქართველი საზოგადოებრიობა იმის იმას, რაც მისმა შვილებმა სამართლიანად დაიმსახურეს. ამის სამაგალითოდ ისიც კმარა, რომ მარტო უკანასკნელი დროის მანძილზე, თუნდაც აი აგერ, 1982 წელს წალენჯიხის რაიონში გაიხსნა ლეო ქიაჩელის მუზეუმი, ხოლო 1984 წელს — ნიკო ლორთქიფანიძის მუზეუმი წყალტუბოს რაიონში.

ისევ გიორგი წერეთლის დასაფლავებას დაუბრუნდეთ. ვინ არ გამოხატა მაშინ თავისი გულისტკივილი გიორგი წერეთლის დაკარგვის გამო. მოსახლეობის ყველა ფენა იზიარებდა ერის მწუხარებას. ბათუმიდან დავით კლიაშვილმა „კვალის“ რედაქციას მიწერა: „სწამინდა მოვალეობათ ვთვლი უღრმესი მადლობა შეეწირო ცხედარს ძვირფასი მიცვალებულისას, რომელსაც ამოდენი უმოღვაწია ჩვენი საზოგადოებრივი თვითცნობიერების განსავითარებლად“.

ოდესიდან „კვალის“ რედაქციამ მიიღო პროფესორ ვასილ პეტრიაშვილის სამძიმარი: „ჩვენი გამოჩენილი მოღვაწის, დაუვიწყარი და ძვირფასი გიორგის უღროდ გარდაცვალებას ფრიალ ვწუხვარ. წრფელი თანაგრძნობით ვუერთდები თქვენს მწუხარებას, რომელიც ამავე დროს მთელი ჩვენი ინტელიგენციის მწუხარებას შეადგენს“.

„კვალის“ რედაქციასა და ანასტასია წერეთელს საჩხერის სკოლების მოსწავლეები ატყობინებდნენ: „მანაშვიდს ვუხვდით ჩვენს ძვირფას გიორგის და უზენაესს ვევედრებით, რომ მის სულ განესვენოს, თქვენ კი ამ მძიმე მწუხარების გადატანა შეგძლებით“.

არ დარჩენილა საქართველოს არც ერთი კუთხე, რომ გიორგი წერეთლის ცხედრობისათვის პატივი არ ეცეს.

ეს იყო ოთხმოცდაექვსი წლის წინათ. ახლა, ახლა როგორ აფასებენ მის ძვირფას მემკვიდრეობას?

სკოლებში, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემდეგ, გიორგი წერეთლის შემოქმედებას ასწავლიან. მის ცხოვრებასა და შემოქმედებას მიეძღვნა ს. ხუნდაძის, გ. ჯიბლაძის, შ. რადიანის, დ. გამეზარდაშვილის, მ. ვაფრინაშვილის, ა. ჭილაის, შ. სალუქვაძის, ს. ავალიანის, მ. დუღუჩავას და მრავალ სხვათა შრომები. მათი გამოკვლევების საფუძველზე დღეს საყოველთაოდაა აღიარებული, რომ გ. წერეთელი იყო პედაგოგი, ჟურნალისტი, მხატვრული სიტყვის ოსტატი — პროზაიკოსი, პოეტი, დრამატურგი, რე-

ალისტური ესთეტიკის და კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი დამამკვიდრებელი, ლოლოგი, ლიტერატურის კრიტიკოსი, კრიტიკოსი, თეატრალური მოღვაწე, ისტორიკოსი, ეკონომისტი, არქეოლოგი, ფოლკლორისტი, ბუნებისმეტყველი, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებისათვის თავდადებული მოამაგე, ხალხის გულშემოტიკიარო, პროგრესული აზრებისა და იდეების მქადაგებელი, ეროვნული და სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ დაუღალავი მებრძოლი.

გ. წერეთლის მთელ მოღვაწეობას, საერთო მიზანსწრაფვას მაღალი საზოგადოებრივი, სოციალური და ეროვნული იდეალები ასაზრდოებს.

ამ პროგრესულად მოაზროვნე მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს უსახლვოდ უყვარდა თავისი სამშობლო. იგი ჯერ კიდევ არ არის დაფასებული დამსახურებისამებრ. მისი ნაწარმოებების მთლიანი გამოცემაც კი არ გაგვანია, საჩხერის რაიონის მოსახლეობა, მოსწავლე ახალგაზრდობა, გულისტკივილით უყურებს იმას, თუ რა დღეშია სახელოვანი მწერლის კარ-მიდამო გორისაში.

შარშანწინ, ზაფხულში, მე და ნუგზარ დურშიშიძე რაიონისა და სოფლის წარმომადგენლებთან — თამაზ დლილი ლაშხებთან და ფოთოლა დონაძესთან ერთად გიორგი წერეთლის სახლ-კარზე შემორჩენილი ცნობებისა და მასალების შესაგროვებლად გორისას და ჭრვილას ვეწვიეთ.

გორისაში, გიორგის ნასახლარზე, ახლა ცხოვრობს მისი ბიძაშვილის, ვასილის შთამომავლობა. მათ შორის ყველაზე ხანდაზმული ოთხმოც წელს მიღწეული სიმონ ვასილის ძის მეუღლე — ელენე ბერიშვილი. ადრე ელენე თავისი ოჯახით გიორგი წერეთლის სახლში ცხოვრობდა. მის თვალწინ დაინგრა ეს სახლი, მოისპო ეზო და გაიფანტა მწერლის პირადი ნივთები.

მეორე სართულის აივანიდან კიბეა ჩაშვებული პირველ სართულზე. ორივე სართულის ყველა ოთახს ორ-ორი ფანჯარა აქვს. თითოეულ სართულზე ოთახების საერთო ფართობი 130 კვადრატულ მეტრამდეა. სახლს ორივე სართულზე სამეტრიანი სივანის ღია აივანი არტყია. თითოეული სართულის აივანს მრგვალი ქვის რვა სვეტი აჰყვება. სახლის აივანი ნაწილი მიქცეულია ჩრდილოეთისაკენ. ქერის სიმაღლე პირველ სართულზე სამნახევარ მეტრამდე, ხოლო

მეორე სართულზე ოთხ მეტრამდეა...

ეს სახლი ოცდაათიან წლებში კოლმეურნეობამ დაიკავა და გადააკეთა. ეზოს შემოხსნეს უქანგავი მავთული და სოფელში სხვაგან გამოიყენეს. იმ დროს ასეთი რამ არცთუ იშვიათად ხდებოდა. ის კი არაა, ილია ჭავჭავაძის სახლში, ყვარლის ახლანდელი მუზეუმის შენობაში, ერთ ხანს საქონლის საკვებ ბზეს ინახავდნენ, ხოლო ეზო სანახირედ ჰქონდათ გადაქცეული.

ანასტასია თუმანიშვილმა თხოვნით მიმართა ფილიპე მახარაძეს, რომ გიორგი წერეთლის ოჯახისათვის დაებრუნებინათ სახლ-კარი. ანასტასია თუმანიშვილმა უქანვე დაბრუნა ეზოც და სახლიც.

ამის შემდეგ, როგორც ზემოთ ვთქვით, მასში მუდმივად ცხოვრობდა სვიმონ ვასილის ძე წერეთელი და მისი ოჯახი. ორმოცდაათიან წლებში სახლი მოუვლევლობით დაინგრა. მწერლის პირადი ნივთებიც გაიფანტა. ჯერ კიდევ შეიძლება მათი შეგროვება, რაკი ცნობილია, თუ ვინ რა წაიღო.

თუ ამ კეთილშობილურ და საჭირო საქმეს გულისყურით მოვეყიდებით, საეჭვო არაა, რომ კიდევ უფრო დაზუსტდება ბევრი რამ: გორისასა და ჰორვილაში ხომ ახლაც არიან პირები, რომელსაც ახსოვთ წერეთლისეული სახლ-კარის ცალკეული დეტალები.

მე მინდა მკითხველმა ისიც იცოდეს, რომ შარშან, მარტში, ამ მასალებს გაეცნო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი. მან მხარი დაუჭირა წინადადებას სოფელ გორისაში გიორგი წერეთლის სახლ-კარის აღდგენისა და მასში მუზეუმის მოწყობის შესახებ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამის თაობაზე მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

მაშ, რალამ უნდა შეგვიშალოს ხელი? ახლა პრაქტიკულად ყველაფერი დამოკიდებულია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და მწერალთა კავშირზე. თავისი სიტყვა უნდა თქვას საჩხერის რაიონულმა აღმასკომმაც.

ჩვენ კი, ღირსეული წინაპრის გზაზე მავალმა ხალხმა, უფრო ახლო უნდა მივიტანოთ გულთან ეს საშვილიშვილო საქმე და სანამ გვიან არაა, აღვუდგინოთ გიორგი წერეთელს — ჩვენს სახელოვან მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ჰეშმარტ ერისკაცს, თავისი სახლ-კარი. აკაკის ბრძანებისა არ იყოს, შთამომავლები „გწერეთლის ნაშრომ-ხალღაწის“ ისე უნდა უყურებდნენ, როგორც ოქროს მადნეულის ძარღვს“.

„მინდა ვირწმუნო, რომ კარგი კინოსურათი გადავიღე. და თუკი კამათს იწვევს, ამაღლებულ ტონში ლაპარაკობენ მასზე და გულს ხვდება, მაშასადამე, უკვე მივღწიე იმას, რისკენაც მივიწვევი. შეიძლება მშვიდად ვიყო... „მონანიების“ კენ“ მოვიწვევი დღესანს, ძალიან დღესანს, იქნებ შთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზეც“.

„სიზამქვანში“, № 3, 1987 წლის იანვარი. ამ ქუდით იხსნება საკავშირო ფირმა „სოიუსინფორმინოზ“ სპეციალური გამოშვება, რომელიც მიმდევნა მოსკოვის ეკრანებზე თენგიზ აბულაძის ახალი კინოწარმოების გამოსვლის. ოთხგვერიანი ილუსტრირებული, სიმპათიური გაზეთი გვთავაზობს ქართველი კინორეჟისორის შემოქმედებით პორტრეტს, საკავშირო პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული რეცენზიების, წერილების, გამოსაშურებათა ნაწევრებს. აქვე წარმოდგენილია თენგიზ აბულაძის შემოქმედებითი მიღწევების ნუსხაც:

„მადანას ლურჯა“ (რ. ჩხეიძესთან ერთად) — 1956 წლის კანის საერთაშორისო კინოფესტივალის „გრან-პრი“ მოკლემეტრაჟიანი ფილმები.

„სხვისი შვილები“, 1959 წ.

„მე, ბებია, ილიკო და ილიარიანი“, 1963 წ.

„ვედრება“, 1968 წ.


„ყელსაბამი სატრფოსთვის“, 1971 წ.

„ნატვის ხე“, 1977 წ. — შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია; მთავარი პრიზი რიგის X საკავშირო კინოფესტივალზე (1977 წ.); პრიზი საუკეთესო რეჟისურისათვის თეირანის VI საერთაშორისო კინოფესტივალზე (1977 წ.); პრიზი „ეროვნული ლიტერატურული წყაროს ბრწყინვალე საერანო ფრთაშესხმისათვის“ კარლოვი ვარის XXI საერთაშორისო კინოფესტივალზე (1978 წ.); დონატელოს „დავიდის“ პრემია იტალიაში დემონსტრირებული საუკეთესო საზღვარგარეთული ფილმისთვის (1979 წ.); და...

„მონანიება“, 1986 წ.

აი, როგორ მოიწვედა თენგიზ აბულაძე თავისი შემოქმედებითი მწვერვალსკენ.

„...ამ ფილმის შექმნა შეტყულებს ჩვენი საზოგადოების სიმწიფესა და დონიერებაზე, თუ როგორ სწყურია ჩვენს ქვეყანას მშვიდობა თავისუფლებისათვის, საჯარო მზილებისათვის და არა დემოლიზაციის, და ეს ყოველივე მარჯველ მოწყობილი პოლიტიკური თამაში კი არ არის, არამედ ხალხი, დაუოკებელი ლტოლვა... — ამბობს ევგენი ევტუშენკო „სოვეტსკაია კულტურას“ ამ წლის 3 იანვრის ნომერში და ამ სტრატეგიითვე მთავრდება საბჭოეთის დედაქალაქის ეკრანებზე „მონანიების“ გამოსვლასთან დაკავშირებით დასტამბული 50.000-ანი ტირაჟის საარეკლამო მიზონილაც.“



ენგიზ აბულაძის „მონანიება“ იმ პერიოდში გამოვიდა ქვეყნის ეკრანებზე, როდესაც ჩვენი საზოგადოება ზნეობრივი განწმენის წყურვილის მოკვლას შეუდგა. ამ პროცესის უმთავრესი პირობაა ყველა პრობლემის და, მათ შორის, წარსულის შეცდომათა განხილვის საჭარობა. ვიცით, მძიმე, მტკივნეული და უსიამო პროცესია. ასე არ არის? იქნებ არც ღირდეს უფროსი თაობის მოქალაქეთა იარების გაღიზიანება წარსულის შეცდომათა გახსენებით და იმ სიტუაციების აღდგენით, როდესაც ცხოვრების წესად ან, უფრო ზუსტად, გაძღობის ძირითად ქვაკუთხედად მაინცდამაინც ფარისევლობა, სიხარბე და მამულობა? დიახაც,

წარსულის მივიწყებული ნიშნებია და, იქნებ, მართლაც არ ღირდეს ამოქექვა.

მაგრამ, მძიმე წლებს აღურაცხელი მორალური დანაკლისი მოუტანია საზოგადოებისათვის. კიდევ უფრო მძიმე ყოფილა ის, რაც შემდგომ მოჰყვა ამას. წარსული თავს არ გვახვებებს — ცვლავ გვადევნებს, გვახვებებს ან გვაშორებს, გვაშორებს ან გვალტაცებს... ჰოდა, განა შეიძლება საზოგადოების ორგანიზმის მკურნალობის დაწყება ისე, რომ წინასწარ არ გამოვიკვლიოთ, თუ რა სხეულეზანი ტანჯავდა ამ საზოგადოებას, რომელი წყულოვანი კერა ჩამქრალა საბოლოოდ ან, რომელი ფეტიკე მალულად, რათა შეისაბამისი გაღიზიანებისთანავე აენთოს ახალი ძალით. ან ხომ არ მოხდება ისე, რომ შემკვიდრებით ბოძებულ ჯანსაღ იდეათა და ტრადიციათა სამართლიანი შეფასებით, მათი მომავალი განვითარებისა და სრულქმნის ნათელი სურათის ცვრტით ჩვენ კვლავ აინუნშიც არ ჩავადგებთ იმას, რომ გენეტიკის ნაირსახეობაც ახსიათებს და ხშირად, სიკეთესთან ერთად, ბოროტებასაც გვახლდენებს?

* * *

„მონანიება“ ჰეშმარტად მალალი ხელოვნების ერთ მოგვითხრობს საინელ, თავზარდამცემ ამბავს.

პრესტიჟული სიუჟით გაწყობილ საოჯახო წვეულებაზე თვითმკვლელობა მოხდება. ოჯახის უმცროსი წევრი და ერთადერთი ჭმემკვიდრე თორნიკე არავიძე პაპის მიერ ნაწყობი თოფით მოინწრაფებს სიცოცხლეს. საბედისწერო შემთხვევამდე რამდენიმე წუთით ადრე მწარედ შელაპარაკდება მამასთან: „მძულხარტ!“ — ხრინწიანად შესძახებს მშობელს და ამით განაჩენს გამოუტანს არავიძეების მთელს მოდგმას. არადა, ორიოდ დღის წინათ, მანვე კეთილშობილური რისხვით შეპყრობილმა ოჯახის წევრმა, ოჯახის ნამუსის დაცვის მიზნით, ზუსტად იმავე პაპისეული თოფი დაახალა მისთვის ესოდენ წმინდა საფლავის წამბილწველს. მაგრამ საერანოდროის ყოველი წუთის სელსათან ერთად (საბედისწერო კვანძის გახსნის მოახლოებით) თანდათან შიშვლდება ბიჭუნის პაპა ვარლამისა და მამა აბელის ცხოვრების მთელი უშვებრი ღ საზიზღარი სიმართლე. რაკ განუზომელი ყოფილა პაპისა და მამის გამო ნაგვმი სირცხვილისა და ტკივილის კოშმარი, რომ ველარ გაუძღლო; რა საზარელი უფესკრულის პირას მიუყვებია თვალის უღმობელ ახელას, საფსურად საყუთარი სიცოცხლევ რომ გაიღო!

„ვინ ხარ შენ? რისთვის გიცხოვრია, საერთოდ?... — აი შეკითხვია, რომელსაც აწმყო ადრე თუ გვიან წარსულს დაუსვამს და გამოიხმობს სახეს ავკაციას, აღადგენს ბოროტებასა და სიყალბეში, თვალთმაქობასა და პირფერობაში გათქვეფილ ამბავს.

ვარლამ არავიძის გვამი სამჯერ ამოთხარეს საფლავიდან. ბოროტგამზრანველი ქეთევან ბარათელი დავინებით იმეორებს სასამართლოზე, საბართლიანად მოვიქეცი რადგან ტი-



Тенгиз Абуладзе

Теоретический портрет



Мне хочется верить, что я сделал хорошую... И если она рождает споры, если она борет за нас...

Тенгиз Абуладзе, известный режиссер СССР, автор фильмов "Синие и белые", "Синий человек", "Синий человек и белый человек", "Синий человек и белый человек и белый человек"...



Он, по мнению В. Гаврилова, Фридриха Курбана, А. Вранко, Хуана Рейтера, Г. Гаврилова, Корнелия Д. Понтолина, В.В. "Синий человек", Москва, 1977. Москва, 1977. Москва, 1977. Москва, 1977.

რანისა და არამზადის ნეშტს მიწაში არ დაედგომებათ! გავლენიან მეგობართა ხელის შეწყობით აბელმა მოახერხა და ქეთევანი ფსიქიურად არასრულფასოვანად, ხოლო მისი ნაამბობი „ზელამიან“ ვარლამის ჯოჯოხეთურ დანაშაულობებზე (სრულიად უდანაშაულო ადამიანები და მათ შორის, ქეთევანის მშობლებიც რომ შეიწირა) — მანიაკურ რომაულ დამოკიდებულება. არავიძინს ოჯახშიც თითქმის აღიდგინაო, შერყეული „ერენომე“, მაგრამ სამართლიანი უფროსიძების ჩამდენი ადამიანის ზნეობრივ ძალას უკვე დაუმორჩილებია თორნიკეს გონება, თორნიკეს ავზნებულები გონება გაატარებს ქეთევანის ცნობიერებაში აღბეჭდილ ბავშვობის საშინელებებს — ლალატის, ძალადობის, მუხანათობის სცენებს, მაღალ პოსტზე ვარლამის დამკვიდრების თანმდევ უცილობელ მომენტებს. დედა, მამა, პაპა — ჯერ კიდევ გუშინ ასე ახლობლებდ რომ მიიჩნდა, დღეს უაზრო, შემზარავი ფარისის პერსონაჟებად წარმოუდგარა. ელვისებურად იმსხვერვა მისთვის ესოდენ შეჩვეულ და, თითქმის, ექვიპოტანელი სამყარო.

ვარლამის ცხოვრების პროგრამა სინათლესთან ბრძოლაა. მხოლოდ წყვილია და სიცრუეს ეყრდნობა ვარლამის საუფლო. ტირანისა და ფარისეველს მტკიცედ გაუდგამს ფესვი მანკიერებისა და სისუსტის, არაკეთილმოსურნეობის ნეშომპალაში. მეტაფორების მოშველებით, კულტურის ათასწლოვან ნიშნებთან — მითოლოგიურ, ბიბლიურ სახეებთან სინამდვილის ისტორიული ჭეშმარიტების ფაქტების სინთეზირებით, თენგიზ აბულაძე ფარდას ხდის „საერთო კეთილდღეობისთვის“ ჩაღვნილ ბოროტებათა შემზარავ ლაბორატორიას.

დაიხ, მემკვიდრეობით მარტოდენ სიკეთე როდი გადაცემა... აბელი საკუთარი მამის საკადრისი შვილია. მის სინდისს დაკარგული აქვს ქენჯნის უნარი. ოღონდ, ერთი მტერი კი ვერაფრით მოუცილება — სამაგიეროს მიზღვის წინაშე ჩინელი არადადამიფურო, ცხოველური შიში. ღამ-ღამობით კომპარებისგან იხუთება. ელანდება, თითქმის, ავბედით მიცვალებულთან ერთად გამოკეტვის, ამოდ დაქმებს გამოსაძრომს. და მიინც, არ ასცდება შურისძიება — საშინელი საზღაური. თენგიზ აბულაძე კვლავ და კვლავ ჰყენს ამ ტრაგიკულ მოვლენებს მარადისობის მოსახამს, რათა აჩვენოს, რომ ცოდვათა მონანიების ყველაზე მაღალი საფასური უმანკო სისხლით გადაიხდება.

სიმწრით გადარეული, საბოლოოდ ნირწამებლარი აბელი საკუთარი ხელით ამოთხრის საფლავიდან ვარლამ არავიძინს გვამს და ბიბლიური კრულების წესის აღსრულებით, უფსკრულში გადაუტახებს.

„მონანიება“ რთული ფილმია და მაყურებლისგან უზარმაზარ სულიერ დაძაბულობას მოითხოვს. ითრებს ერთობ სასარგებლო ფიქრთ-გასართევლად ადამიანურ ყოფიერებაზე,

გულსტიკვილით გაახსენებს წარსულს, შეაფიქრინებს აწყობვაც, მომავალზეც და იწვევს მასში ხან მოუხერხებელი დისკომფორტის, ხანაც — სულის გამალაღებელი კმაყოფილების ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობებს. ფილმი მიმართული ყოფიერების ყოველი დროებისადმი და განიხილავს მათ ჩვენთვის უჩვეულო, განსაკვირვებელი რაჟურსით. აქი აქ ლაბარაკია წარსულის სიავეთა მემკვიდრეობითობაზე, რომელსაც ჯერ კიდევ არ განზორბებია აწყობა და რომელიც, შესაძლოა, უკვე მომავლისთვისაც კი უნადგურდება იათ. ფილმს აღამაღლებს ზოგადსაკაცობრიო გაგება ჩაღვნილი დანაშაულისა მომავლის წინაშე და ისტორიის, ხალხის ბედ-იბდლოთ გამძაფრებული პასუხისმგებლობა! პასუხისმგებლობა არა მარტო ბოროტმოქმედებათა გამო, არამედ წაყრუებისა და ლარობისთვისაც! უღმობელი თვითკრიტიკის ინტონაციით ქლერს ამ გამომსახველობითი ნაამბობის ყველა მონაკვეთი და ეს ინტონაცია მიმართულია. თაობებისადმი, რომელთაც შექმნეს სევებდენიერი გარემო, სადაც ვარლამმა შეძლო საკუთარი თავის გაზოგადება „იდეოლოგიურ წინასწარმეტყველება“; მიმართულია იმათ მიმართ, ვინც ასე უპასუხისმგებლოდ დაუშვა ავანტიურისტი კომედიანტის აღზევება „შუველ ღვთაებად“, „სულიერი მოღვრად“, ვინც დროულად ვერ შეათვალა ვარლამის „სინდრომისა“ და მისგან გამოწვეული შორის მიმავალი ვართულებების საზოგადოებრივი საფრთხე. ვინ მოთვლის, რაოდენი ფიზიკური და მორალური ზიანი მიაყენეს კაცობრობას მსხვილი და მცირე მასშტაბის მტაცებლებ-

მა, ტირანებმა, საკუთარ აჩაგრებით ინტერესებს რომ ანაცვალეს ხალხების ნათელი იდელები. მრავალსახოვანია ეს ბოროტება, ცხოველუნაროანია და შესწევს ძალა მომავალ თაობებში აღორძინებისა. თუმცა, ბოროტების შეგუებაზე ხომ საკმაოდ ძნულად აღსაკვეთი რამ არის.

ვარლამებით დაფეთება, პირფერული შეგუება და მამებლობა თაობებს მემკვიდრეობით გადაეცემათ. ასეთია საზოგადოების გამზარწელი ამ შეგუბული ძალის „უკუკავშირი“. გამჯდარი შიში, საკუთარი აზრისა და შეხედულების უქონლობა, სხვის ნება-სურვილზე დამოკიდებულება პირწმინდად აცლის ადამიანს პიროვნულ თვისებებს, ღირსებებს, შემოქმედების სისარულს, სობს მის ინდივიდუალობას. ვარლამების შიში უვითარებს ადამიანს „ავტორიტეტზე“ დაყრდნობის ინტუციას; აძულებს, ეძებოს არსებობის უფრო იოლი, უკონფლიქტო გზები.

მაშ, როგორღა ვიცხოვროთ მომავალში: ვიკაროთ თუ არა ვარლამის მითის გაბითურება ამ სისხლისმწოველა მაჯლაუნის არაადამიანური, მსტიური არის ჩვენებით? იქნებ საჭიროა ჩვენ თვითონაც გავთავოვდეთ „ვარლამის კომპლექსისგან“ უგვანი, თავზარდამცემი ჭეშმარიტების უღმობელ ცეცხლში გამოვლით? თვითშეგნების ეს რთული და მტკივნეული პრლცევი ხომ არ მიიჩნია მხატვარს „მონანიებად“? იქნებ სწორედ ამაში ხელდას იგი მომავალთან, ახალ თაობებთან დასამყარებელ კავშირსა და ხვალისდელი დღის რწმენას, გაბედულებას მოქმედებასა და აზროვნებაში, შინაგან განთავისუფლებას? — ასეთი და

კიდევ მრავალი სხვა კითხვა ებდება გონებაავზნებულ მაყურებელს და ამ კითხვებით აღვსილი გადის იგი კინორარბაზიდან. და განსარძობს ფილმი თავის სასარგებლო მუშაობას ეკრანზე დემონსტრაციის შემდეგაც.

გვჭირდება თუ არა, ბოლოს და ბოლოს, ეს სასტიკი სიმართლე? თორნიკე არავიძინს ოთახში მომხდარი გასროლა შთამბეჭდავად გვიპასუხებს ამ შეკითხვაზე. უკეთესი მომავლისთვის, თაობათა კეთილდღეობისთვის კეთდება ეს შემაძრწუნებელი მონანიება. სიმართლე გვეყურია — ყოველგვარი სიმართლე, რაგინდ მწარეც უნდა იყოს იგი.

თენგიზ აბულაძის „მონანიება“ ავტორის მიერ საოცარი გულისტიკვილით, მამხლებელი რისხვითა და უზარმაზარი ნიჭიერებით ნასაზრდოები ფილმია.

არსებობს ნამუსიანი, უკომპრომიო სი ნიჭის ბოლომდე აუხსნელი ინტუიციის მექანიკა, მხატვარს იმ იდეებსა და აზრებს რომ უკარანახებს, რომლებიც მარტოდენ „ჰაერში დაფარფატებენ“. სახეობრივ განსჯასა და სოციალურ ანომალიათა მხილვაშია მოქცეული პროგრესული ხელოვნების დიადი, განმჭვრელი ენერგია. და დღეს, განსაკუთრებით, სწორედ ის მხატვარია დასაფასებელი, რომელიც შეიგარნობს ამ კურთხულ მისიას ყოველგვარი „ნებადამრთველი მოწმობებისა“ და საქვეყნოდ ეკრანებზე გამოსვლის ლიცენზიის პილების მიუხედავად.

კორა წაჩაქთელი



ლოგია, გერმანისტიკა, რომანისტიკა. ირანისტიკა მისთვის ერთნაირად ხელმძისწვდომი იყო.

ნათელა ქუთელია. ენათმეცნიერების იმ მრავალრიცხოვან დარგებს შორის, რომელთაც ბატონი გიორგის მადლიანი ხელი მოხვედრია, სავანგებო ადგილი უჭირავს ფონეტიკა-ფონოლოგიას. ბატონი გიორგი ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი ფონეტიკოსი იყო. ამ დარგში მისი ალლო პირდაპირ განსაკვიფრებელია, მაგრამ არასოდეს მოუწყვევივართ თავისი აზრებისა და თეორიების ბრმა გავლენის ქვეშ. ის მორჩილებას კი არ მოითხოვდა, არამედ პაექრობას. გახსოვთ, როგორ იცოდა თქმა: „აბა, ბავშვებო, გამაკრიტიკეთ!“ და ამას ამბობდა გულწრფელად, საოცარი ინტერესით, კეთილი განწყობით. ის ყოველთვის თავისუფლების ატმოსფეროს ქმნიდა. ორმოცდაათი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის ენათმეცნიერების კათედრას. ეს იყო ურთიერთპატივისცემის, უფაქიზესი ადამიანური დამოკიდებულებების

იყო, მთელი სულით და გულით ჰქონდა შესისხლბორცვებული ამ ხალხის კულტურული ტერატურა. **ქაჩა სამ გოთა** ხანს კიდევ **კინელოგია** საველთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის კურსს უნივერსიტეტში. თარგმნიდა ვედებს. მას ეკუთვნის ავესტის გათების თარგმანი. ბატონი გიორგის შინაგანი არისტოკრატიზმი და უდიდესი განათლება ჰარმონიულად ერწყმოდა ერთმანეთს. ამაში იყო მისი სიდიადე.

იგი თავის განწყობილებას, პირად განსაცდელს არასოდეს ავრძობინებდა სხვას. ერთხელ მასთან შინ მივედი. შესვლისთანავე მივხვდი, მძიმე წუთები ჰქონდა, მაგრამ უმალ მოერიო თავს და მსიარულად მომიყვა თავორისა და მისი მსახურის ამბავი: თავორთან თურმე დიმილით შევიდა მსახური და სამი დღით გათავისუფლება სთხოვა. გამოირკვა, რომ მას დედა გარდაცვლიდა. თავორი გაკვირვებული დარჩენილა, დედა თუ გარდაეცვალა ამ კაცს, რალა აცინებსო. მაგრამ მერე მივხვდიო, წერდა თურმე მწერალი, ამით მან მითხრა: მე კი დედა გარდამეცვალა. მაგრამ შენ რა შუაში ხარო. ბატონმა გიორგიმაც ამით ყველაფერი თქვა...

თინა აბზიანიძე. მის იშვიათ დიდბუნებოვნებაზე მეტყველი ერთი ამბავი გამახსენდა. გახსოვთ, ჰანს ფოტის საენათ-

თავიანთ მასწავლებელს იხსენებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მზია ანდრონიკაშვილი და დოცენტები: ნათელა ქუთელია, თინა აბზიანიძე.

იშვიათ ჩოჭოჩი იყო

ბიოგრაფიული ასპლუზიანი?

ნათელა ქუთელია. ოთხი ათწლეული წელი მრავალმხრივი მეცნიერის, გასაოცარი პიროვნების, ნამდვილი ერისკაცის გვერდით! ქალბატონო მზია, ეს იშვიათი ხვედრია...

მზია ანდრონიკაშვილი. დიან, ხანგრძლივად მომიხდა მუშაობა ბატონი გიორგის გვერდით, მისი ხელმძღვანელობით. მართლაც დიდი ცხოვრების მოწმენი ვიყავით მე, თქვენ, ყველა ჩვენთაგანი, ვისაც კი ოდესმე ურთიერთობა ჰქონია მასთან.

ნათელა ქუთელია. გახსოვთ, ამ თვარამეტიოდე წლის წინ ჩვენი გაფართოებული კათედრის სხდომა? ბატონმა გიორგიმ თავიდანვე გაგვაფრთხილა, იცოდეთ, ეს სხდომა ისტორიულ მნიშვნელობას შეიძენსო.

თინა აბზიანიძე. თამაზ გამყრელიძის მოხსენება გლოტალოგ თეორიაზე. იგი გადატრიალებას მოასწავებდა ინდოევროპეისტიკაში.

ნათელა ქუთელია. ახლაც ყურში მესმის ბატონი გიორგის

სიტყვები: „მთელი ღამე არ მიძინია. ეს არის გენიალური აღმოჩენა“. და ეს იმ დროს, როდესაც თამაზ გამყრელიძის შრომა უპირისპირდებოდა თავად ბრწყინვალე ინდოევროპეისტის, ბატონი გიორგის თვალსაზრისს.

მზია ანდრონიკაშვილი. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა ბატონმა გიორგიმ, რომ თამაზ გამყრელიძე და ვიანესლავ ივანოვი შემდგომში წინარე ინდოევროპული ძირის სტრუქტურის საკვლევად გამოიყენებდნენ ერთ-ერთ მის კანონს დეცესიურ-აქცესიური ჯგუფების შესახებ, რომელსაც უნივერსალური ხასიათი აქვს. იგი ფაქტიურად მესაფუძვლეა ყველა სკოლის, რომელიც არსებობს ზოგად ენათმეცნიერებაში, ზოგადსა და ექსპერიმენტულ ფონეტიკაში. ინდოევროპეისტიკის სრულიად სხვადასხვა დარგში მუშაობდა და ზრდიდა მეცნიერებს...

ქართველოლოგია, ინდო-

ყველასთვის დაუვიწყარი წლები.

თინა აბზიანიძე. რომელ ერთ დარგს გავიხსენებთ. ლექსიკოლოგია, ქართული ენის ნორმები, ზრუნვა სალიტერატურო ენისათვის... ლოგოპედიური სკოლაც ხომ მან შექმნა საქართველოში...

ნათელა ქუთელია. ბევრმა შეიძლება არც იცის, რომ მან სანსკრიტის სახელმძღვანელო დაწერა 1920 წელს, მაშინ, როცა მსოფლიოში თითოთოროლა იყო ამგვარი სახელმძღვანელო.

მზია ანდრონიკაშვილი. და ამ სრულიად განსხვავებულ დისციპლინებში მან ჩამოაყალიბა კანონზომიერებები, რომლებიც ამოუწურავ შესაძლებლობებს იძლევა. მისმა მოწაფეებმა შემდეგ თავად შექმნეს სკოლები.

ნათელა ქუთელია. მთავარი მაინც ის არის, რომ ის მარტო ენათმეცნიერი ინდოლოგი, ირანისტი ან რომანისტი კი არ

მეცნიერო ნაშრომი „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“ რომ მიიღო ბატონმა გიორგიმ ავტორისაგან? მაშინვე გადაწყვიტა მისი თარგმნა ქართულ ენაზე. იგი სისტემატურად ადევნებდა თვალყურს მთარგმნელის მუშაობას და დიდი შრომაც დახარჯა თარგმანის რედაქციაზე. ჩვენ ყველანი, ვინც თვალს ვადევნებდით ამ შრომატევად საქმიანობას, გაოცებულნი ვიყავით მისი ენთუზიაზმით, როდესაც წიგნი გამოვიდა, აღმოჩნდა, რომ ამ ნაშრომში, რომელიც დაიწერა ქართული ენის ფონემატურ სტრუქტურაზე, არ იყო მოხსენიებული ქართული ენის ფონეტიკა-ფონოლოგიის ფუძემდებელი გიორგი ახვლედიანი. და ეს იმ დროს, როცა მასში შეგედლოთ ამოგვეკითხათ თითქმის ყველა ქართველი მეცნიერის გვარი...

ბატონი გიორგისათვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ

ჰქონდა. მისთვის ის იყო მთავარი, რომ რაც შეიძლება, ჩქარა მიეწოდებინა ქართული მკითხველისათვის ეს მნიშვნელოვანი წიგნი...

მზია ანდრონიკაშვილი. გახსოვთ, წიგნებით დატვირთული ბატონი ვიორგი? შემოვიდოდა კათედრაზე უზარმაზარი ჩანთით და ჩამოგვირიგებდა წიგნებს თავისი უნიკალური ბიბლიოთეკიდან. არასოდეს დაავიწყდებოდა, ვინ რა წიგნი სთხოვა...

ნათელა ქუთელია. მახსოვს სრულიად ახალგაზრდა ვიყავი. პირველად ვიბარებდი გამოცემულ პროფესორ სერგი ჟღენტის ნაცვლად. ვცდიდი მთელი ჩემი ახალგაზრდული უკომპრომისობითა და სიმკაცრით. ის იყო, დავამთავრე სამი გოგონას გამოკითხვა. ჩემი შთაბეჭდილებით, მათ ძლივს შეძლეს სამზე პასუხი, მაგრამ „ვმომბ“ და სამიანებს ვუწვირ. ამ დროს შემოვიდა ბატონი ვიორგი. ეს ხდებოდა ზოგადი ენათმეცნიერების კათედრაზე, მაშინდელ 87-ე აუდიტორიაში, სადაც ჩვეულებრივ ბატონი ვიორგი იჯდა ხოლმე. როცა გაეგო, რომ სამიანების დაწერას ვაპირებდი, ნებართვა მთხოვა, რამდენიმე შეკითხვას მივცემო. ჩემდა გასაოცრად, სტუდენტები მშვენივრად პასუხობდნენ. მერე კვლავ ნებართვა მთხოვა, და ყველანი მაღალი ნიშნით შეაფასა. ამ პროცედურამ ისეთი ტაქტიზი ჩაიარა, რომ დარწმუნებული ვიყავი, თითქოს ნიშნები მე დამეწეროს და არა მას. როცა სტუდენტები გავიდნენ, მომიბრუნდა და მითხრა: „ნათელა, დაიხსოვებ ერთხელ და სამუდამოდ: არასოდეს ეძებო ის, რაც სტუდენტმა არ იცის, ეძებე ის, თუ რა იცის“.

... და აი, მისი უნივერსიტეტში ყოფნის უკანასკნელი დღეც. იგი ერთ-ერთ ასპირანტს ცდიდა გერმანიისტიკაში. უკებ მისცა კითხვა: „აბლაუტი ვერმანულში“. მერე უმალ მიხვდა, რომ მან ეს არ იცოდა და დასძინა: „ახლა მე მოგიყვები აბლაუტის შესახებ და მერე შენ გეცოდინება“. და დაიწყო ბატონმა ვიორგიმ ლაპარაკი. ისაუბრა დაახლოებით სამი საათი. ამ ხნის მანძილზე იგი განუწყვეტლივ მიდიოდა დაფასთან და ბრუნდებოდა უკან. ჩვენს წინ იდგა დიდი მეცნიერი, სრულიად ახალგაზრდა, მოზღვავებული ენერგიითა და დიდი შინაგანი ძალით. თურმე ეს იყო მისი „გედის სიმღერა“.

დამთავრა თუ არა, მაშინვე მოითხოვა შინ წამიყვანეთო. სახლამდე მივაცილეთ. მისი სურვილით, იგი სადარბაზოს კიბეზე დავტოვეთ, მეტი აღარ მიხანავს ცოცხალი ბატონი ვიორგი...



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ნათქვამია: საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დაჩქარების აუცილებელი წინამძღვარია ის, რომ ნიადაგ სრულყოფილად წარმოებით ურთიერთობებს, უზრუნველყოფდეთ მათ სტაბილურ შესაბამისობას დინამიკურად განვითარებადი საწარმოო ძალებისადმი, დროულად ვავლენდეთ და ვწყვეტდეთ მათ შორის წარმოშობილ არაანტაგონისტურ წინააღმდეგობებს.

აღნიშნული დებულება გყრდნობა მარქსისტულ-ლენინური ისტორიული მატერიალიზმის კანონს — საწარმოო ძალების დონისა და ხასიათისადმი წარმოებითი ურთიერთობების შესაბამისობის ობიექტურ კანონს.

საკვ XXVII ყრილობამ დაგვმო საწარმოო ძალებსა და წარმოებითი ურთიერთობებს შორის დამოკიდებულებების „ავტომატიზმი“ კონცეფცია. პრაქტიკამ ცხადყო იმ წარმოდგენათა უსაფუძვლობა, — აღნიშნა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა, — რომელთა თანახმად სოციალისტურ პირობებში თითქოს ავტომატურად იყოს უზრუნველყოფილი ის, რომ წარმოებითი ურთიერთობები შეესაბამებოდნენ საწარმოო ძალების ხასიათს. სინამდვილეში ყველაფერი უფრო რთულია. დიან, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობები ფართო ასპარეზს უქმნიან საწარმოო ძალების განვითარებას. მაგრამ ამისათვის დღეისადაც უნდა ხდებოდეს მათი დახვეწა. ეს კი ნიშნავს, რომ დროულად უნდა ვამჩნევდეთ მეურნეობის მოძველებულ მეთოდებს და ახალი მეთოდებით ვცვლიდეთ მათ.

საპროგრამო დებულებაში

ხაზგასმულია, რომ საწარმოო ძალებსა და წარმოებითი ურთიერთობებს შორის უნდა დამყარდეს სტაბილური შესაბამისობა. ეს ნიშნავს, ჯერ ერთი იმას, რომ, როგორც აღვნიშნეთ, მათ შორის ავტომატიზმი გამორიცხულია, მეორეც, ისეთი სტერეოტიპული მოსაზრების სიმცდარეს, რომლის მიხედვითაც სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობანი უსასრულო გასაქანს აძლევენ საწარმოო ძალებს და, შესაბამისად, იმ უკიდურესობის დაძლევის, რომლის თანახმადაც სოციალიზმის პირობებში არსებობს მუდმივად წინგამსწრები წარმოებითი ურთიერთობები.

მოვლენების თეორიული ანალიზის გარეშე ვერ ვიპოვეთ სამეურნეო ცხოვრების რეგულირებისათვის აუცილებელ პრაქტიკულ გადაწყვეტილებას, მით უმეტეს, რომ წინასწარ და დროულად რაიმე ღონისძიების მიღება პრაქტიკულად გამორიცხულია. ამიტომ აუცილებელია უფრო დაწვრილებით გავაჩვენოთ საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების, მათი ურთიერთდამოკიდებულებების არსი.

აღამიანს მოხმარების გარეშე ერთ დღესაც არ შეუძლია არსებობა. იმისდა მიხედვით აღამიანები უშუალოდ იკმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნილებებს, თუ არაპირდაპირი გზით, მარქსიზმი ასხვავებს პირად და საწარმოო მოხმარებას. პირადი და საწარმოო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით მატერიალური დოვლათის მოპოვების ისტორიულად განსაზღვრულ წესს წარმოების წესი ეწოდება. წარმოების წესი ორ მხარეს მოიცავს — აღამიანის ბუნებასთან დამოკიდებულებას, რაც საწარმოო ძალების

შინაარსს შეადგენს და აღამიანთა შორის ურთიერთობებს წარმოების პროცესში, ანუ წარმოებით ურთიერთობებს.

საწარმოო ძალების მთავარი რი ელემენტია აღამიანი. რა რაოდენობითაც უნდა იყოს ნივთობრივი ფაქტორები — წარმოების საშუალებანი, ისინი მკვდარი ნივთების გროვად დარჩებიან მანამ, სანამ მათ არ შეეხება აღამიანის ხელი, ანუ ცოცხალი შრომა. ამიტომ უწოდებდა ვ. ი. ლენინი მშრომელებს საზოგადოების მთავარ, ძირითად მწარმოებელურ ძალას. ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში არსებობს საწარმოო ძალების აღნიშნულ ორ ფაქტორს შორის პროპორციული და ცვის მოთხოვნა. მილიონი ტრაქტორი რომ გვყავდეს და ერთი ტრაქტორისტი, ეს იგივე საწარმოო ეფექტს მოგვცემს, რასაც მილიონი ტრაქტორისტი და ერთი ტრაქტორი, ან ერთი ტრაქტორისტი და ერთი ტრაქტორი. სამივე შემთხვევაში ერთი ტრაქტორი ფუნქციონირებს. აღამიანის სამუშაო ძალა, ანუ შრომის უზარი მით უფრო მაღალეფექტიანია, რაც უფრო მნიშვნელოვანია მისი გამოცდილება და საფუძვლიანია ცოდნა. სწორედ აქ გადის წარმოების პროცესში სუბიექტური ფაქტორის როლის ამაღლების შესაძლებლობის მაგისტრალი, რასაც დღეს ლიტერატურაში აღამიანის ფაქტორის როლის ზრდას ეძახიან.

წარმოების საშუალებათა ერთობლიობა გარკვეული ტექნიკურ-ტექნოლოგიური პირობების გათვალისწინებით წარმოადგენს საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიული კურსი, საჭიროა არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კარდინალური, რევოლუციური გარდაქმნა. საწარმოო ძალების ეს გარდაქმნა უნდა განხორციელდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მეშვეობით და თვისებრივად ახალ ტექნოლოგიურ საფუძველზე. მაქსიმალურ ეფექტს უნდა მივაღწიოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგებთან სოციალიზმის უპირატესობების შეერთების გზით.

საზოგადოებრივ ურთიერთობებს შორის მთავარი და განმსაზღვრელია წარმოებითი ურთიერთობები. მათი ერთობლიობა ქმნის საზოგადოების ბაზისს. წარმოებითი ურთიერთობები განსაზღვრავენ სა-

(გაზრდილება 89-18 83.)

ქუთაისის ბაგრატის ტაძარს, თავისი ისტორიული და მხატვრული ღირებულებებით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში. ეს ერთი იმ მთავარ ძეგლთაგანია, რომლებშიც სრული, ჩამოყალიბებული და დასრულებული გამოხატულება პპოვა განვითარებული ფეოდალური ხანის ჩვენი ეროვნული ხუროთმოძღვრების სტილმა.

ტაძარი მდებარეობს უქიმერიონის მთაზე, რომელიც თავს დაჰყურებს ქალაქს რიონის მარჯვენა ნაპირიდან. მისკენ მივყავართ ძალიან გრძელ, დაკლანკილ კიბეს, რომელიც ამწვანებულ ბაღებსა და ეზოებს შუა მიემართება. აქ წინათ ციტადელი და ძველი ქალაქი იყო. ოთხმოციანი წლების გათხრებმა ტაძრის გარშემო გამოაჩინა სხვადასხვა დროის მნიშვნელოვანი ნანგრევები, რომელთა შესწავლა ჯერ არ დამთავრებულია.

ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისაა. გავრცელებული სა-

ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი და სხუთა ყოველთა სახელმწიფოთაგანი“.

ამ ზემით ბაგრატს უნდოდა საქვეყნოდ გამოეჩინა, რომ საქართველოს მაშინდელ დედაქალაქში აგებულ საეპისკოპოსო ტაძარს ზოგადეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. ჩრდილოეთის სარკმელთან ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა: „ოდეს განიმტკიცა იატაკი, ქორონიკონი იყო 223“—ოდეს იატაკი დაიგო, ეს თარიღი იყო. ქრისტიანული წელთაღრიცხვით ეს 1003 წელს უდრის, რაც იმას ნიშნავს, რომ მშენებლობა უკვე X საუკუნის მიწურულში მაინც დაიწყო და XI საუკუნის პირველ ათეულ წლებში დამთავრდა (თარიღი — 223, აღნიშნულია არაბული ციფრებით. ეს საქართველოში შემონახული უძველესი არაბული ციფრებია). ტაძრის ორი კარიბჭე — სამხრეთისა და დასავლეთისა — აგრეთვე XI სა-

ბოდენ და წირვას ისმენდნენ, ეკლესიაში მყოფთაც ხედავდნენ, ამ უკანასკნელთათვის კი დაფარულნი იყვნენო.

1691 წელს ბაგრატის ტაძარი ააფეთქეს ახალციხიდან შემოსეულმა თურქებმა (ძველი ქრონიკიდან: „ყოვლად წმიდის ეკლესია შემუსრეს ახალციხე თათრებმა“). შენობას კარგი დღე არც XIX საუკუნეში დადგომია — მის ქვებს ეზიდებოდნენ საშენ მასალად დასავლეთის კარიბჭე დაანგრეეს, სამხრეთისა მცირე სამლოცველოდ აქციეს და დაამაზინჯეს. საბედნიეროდ, არსებობს მხატვარ ჩარნეცოვის სურათი ტაძრისა, რომელზედაც კარგად ჩანს დასავლეთის კარიბჭის სახე — დანგრევამდებოდათიანი წლების დასაწყისიდან წარმოებს ძეგლის რესტავრაცია (ვახტანგ ცინცაძის პროექტითა და ხელმძღვანელობით).

დღეს ტაძარს, ამდენი გადატანილი უბედურების შემდეგ, აღარც გუმბათი აქვს, აღარც კამარების დიდი ნაწილი. გუმბათქვეშა ბოძებიც წაქცეულა. ხოლო ტაძრის შიგნითაა დასავლეთის კარიბჭის მდიდრულად მოჩუქურთმებული დიდი სვეტისთავეები, ბოძებისა და კამარების ფრაგმენტები.

თავისი გვეგით ბაგრატის ტაძარი ე. წ. ტრიკონქის ტიპს მიეკუთვნება (ამავე ტიპისაა ოშკისა და ალავერდის ტაძრები). ეს წაგრძელებული მოხაზულობის შენობაა, რომლის მასაც სივრცეში ჯვრის სახეს ჰქმნიდა. გუმბათი ოთხ მძლავრ ბოძს ეყრდნობოდა. ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხრივ შენობას შვერილები აქვს, დასავლეთით ცალ (მარცხენა) მხარეს კოშკისებრი ნაგებობაა მიშენებული. ალბათ აქაც მეფის სამყოფელი იყო; საიდანაც შედიოდნენ პატრონიკეზე. გარდა ორი დიდი კარიბჭისა, სამხრეთ-დასავლეთით თა და ჩრდილო-დასავლეთით ტაძარს თაღოვანი გალერეები ჰქონდა. ეს კარიბჭე-გალერეები, ფსადთა შვერილები, დასავლეთის კოშკი ჰქმნიდა მოცულობათა მოძრავი, ცხოველხატულ სურათს. ფსადები დანაწევრებული იყო დეკორაციული თაღებით, რომელთა სისტემა უკვე X საუკუნეში შემუშავდა და X-XII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების აუცილებელ ატრიბუტად იქცა. ბაგრატის ტაძარში ამ თაღების მრავალფეროვანი, დინამიკური რიტმია, და ამასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საერთო შთაბეჭდილებისთვის.

მხატვრული ზემოქმედების ძალიან ბაგრატის ტაძარი ერთი უპირველესი ძეგლთაგანია მთელ ძველ ქართულ ხუროთ-

მოძღვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ ნანგრევებად არის ქცეული და არსებითი ნაწილები აკლია, იგი პირველი შენობისთანავე ამაღლებულია მისი ქმედებს. ეს არის შთაბეჭდილება დიდებულისა და, იმავე დროს, ელვანტური სიმუბუქისა: მრავალფეროვნებისა და სიციხველისა. რა თქმა უნდა, ხუროთმოძღვრის ხელში ერთი ყველაზე ძლიერი იარაღთაგანია შენობის პროპორციები, მათი იშვიათი, სიტყვით ძნელად გადმოსაცემი დახვეწილობა. ეს ნება როგორც მთლიანად შენობის მასებს, ისე დეკორაციულ თაღებს — მსუბუქად ატყორცნილთ, ეხება ხრეთისა და ჩრდილოეთის აფსიდების შეწყვილებულ სარკმლებს, მათ შორის დატოვებული ვიწრო შუაკედისებრი.

ასევე არსებითია უმძლავრეს ოსტატობა და არტისტიზმი მრავალფეროვან ჩუქურთმათა ყოველი პროფილისა და სხვა დეტალების შესრულებისა.

ჩუქურთმები იმის საშუალებასაც გვაძლევს, რომ დავინახოთ, როგორი ევოლუცია განიცადა ნახევარ საუკუნეზე ნაკლები ხნის განმავლობაში ქართულმა ხუროთმოძღვრულმა ორნამენტმა. საკუთრივ ტაძრის სამკაულები, შექმნილი X-XI საუკუნეთა მიჯნაზე, მსუბუქია, მათი კვეთა კი მცირე სიღრმისაა. ეს თითქოს „გრაფიკული“ ორნამენტაციაა. კარიბჭეთა ჩუქურთმები, სვეტისთავეებს რომ ამკობს, გამოირჩევა მაღალი მხატვრული დონით. მაგრამ განსხვავებულია: აქ კვეთა ღრმაა, „ხორციანი“, ძარღვიანი. იმასაც აქვს მნიშვნელობა, რომ ჩუქურთმა განუყოფელია მძლავრი პორელიეფებისაგან, რომლებიც ფრინველებსა და ფანტასტიკურ ცხოველებს გამოსახავს.

ბაგრატის ტაძარი, ღრთაგან და მტერთაგან შელახული, განსაკუთრებით რომანტიკულ განცდას ჰბადებს. იმავე დროს, იშვიათია ძეგლი, რომელსაც შეეძლოს ასეთი საზეიმო განწყობილების შექმნა. ისლა დავგრჩენია, ვეცადოთ და წარმოვიდგინოთ, რა უნდა ყოფილიყო, როცა ძეგლი მთლიანად „ვეფხზე იდგა“ კამარებითა და მაღალი გუმბათით დაგვირგვინებული მოზაიკით, ფრესკებითა და ფერადი იატაკით აელვარებული, ხატებითა და სხვა ნივთებით შემკული. შიგ შესულს უნდა ეგრძნო და, უქვევლია, გრძნობდა კიდევ ტაძრის მეფურ დიდებულებას, მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

როგორც ხელოვნების ყოველი დიდი ნაწარმოები, ბაგრატის ტაძარი ღღესაც, ამდენი საუკუნის შემდეგ, გვაღვივებს და სიამაყის გრძობით გვაესებს.

ვახტანგ ბერიძე,
ააკადემიკოსი.

რა ხელმა ალაშენა...

ბაგრატის

ტაძარი

ხელწოდება დაკავშირებულია მისი მაშენებელი მეფის ბაგრატ III-ის სახელთან (მეფობდა 978-1014 წლებში). ეს იყო გაერთიანებული (თუმცა არა მთლიანად) საქართველოს პირველი მეფე. მისი მეფობის დროსაა აგებული ქართული ხუროთმოძღვრების ბევრი ღირსესანიშნავი ძეგლი (ბედიის, ხცისის, ნიკორწმინდის, კაცხის ეკლესიები; დაწყებულ იქნა „სვეტიცხოვლის“ ახლანდელი ტაძრის მშენებლობა). „მატიანე ქართლისაი“ მოგვითხრობს, რომ ტაძრის კურთხევა დიდი ზემით აღინიშნა: „ამანვე (ბაგრატმა) აკურთხა ეკლესია ქუთათისა განგებითა დიდითა და მიუწვდომელითა. რამეთუ შემოკრიბნა მახლობელნი ყოველნი ხელმწიფენი და კათალიკოსნი, მღვდელმოდღუარნი და

უკუნის პირველ ნახევარს მიეკუთვნება, მაგრამ მაინც ცოტა უფრო გვიანდელია, ვიდრე საკუთრივ ტაძარი.

XVII საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებამდე იგი უგნებლად იდგა. შიგნით მისი კედლები მხატვრულობითა და მოზაიკით იყო შემკული (იმერეთში ჩამოსული რუსი ელჩების ტოლოჩანოვისა და იევლევის ცნობა 1650-52 წლებისა: მხატვრობა მეფეთა პორტრეტებსაც შეიცავდა), მათივე გადმოცემით, ტაძარი მდიდარი ყოფილა ძვირფასი ხატებით, ჯვრებით, საეკლესიო ნივთებითა და სამოსელით. ელჩები საგანგებოდ აღნიშნავდნენ: დღესასწაულების დროს მეფე-დედოფალი ამალითურთ დასავლეთის პატრონიკეზე, ე. ი. მეფე საართლის გალერეაში იმყოფე-




ეროვნული
ბიბლიოთეკა

▲ ბაგრატის ტაძარი. ▼





▶ თამარ მეფის გულსაკიდი. ქვარი, XII ს.



▶ „ახალგორის ვანიძე“. საფეთქლის საკიდი. ოქრო, IV ს. ძვ. წ.



▶ ოქროს საკიდი, ხაშვიდან, I-III სს.



▶ შუკა. III საუკუნე. აგრაფი.

ქროს საზანქური



▶ მელალონი. წალკანი, II ს.



ეროვნული
ბიზნისოცია

გვთავაზობს
რესპუბლიკური მოდელების სახლი

აილა

ელეგანტური ასაკისათვის





ინგლისის ქალაქ რეგბიში ჩასულ ტურისტებს უსათუოდ უწვევებენ ხოლმე სკოლის შენობის კვარცხლბეკზე გამოსახულ უზარმაზარ ოვალურ ბურთს, რომელზეც წერია: „1823 წლის 7 აპრილს სკოლის მოსწავლემ ვილიამ ვებ ელისმა დაარღვია ფუნბურთის თამაშის წესები, აიღო ბურთი ხელში, გაქანდა მტოქის კარისაკენ და დასაბამი მისცა ახალ თამაშს — რეგბის“.

რეგბი დღეს ხუთივე მატერიკის 150 ქვეყანაში გავრცელებულია. ოთხჯერ იყო იგი ზაფხულის ოლიმპური თამაშების პროგრამაში. ტარდება

„მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატად“ წოდებული „ხუთი ეროვნების“ თანის გათამაშება, აგრეთვე ფირას (რეგბის მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაცია) თანის გათამაშება, ანუ ევროპის ჩემპიონატი.

წელს ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში გაიმართება მსოფლიო თანის პირველი გათამაშება.

სპორტის ეს ვაჟაკური სახეობა განსაკუთრებით პოპულარულია დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, რუმინეთში, არგენტინაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და სხვაგან.

რეგბი

...და ეს დღევ დადგა. თბილისში, შეროზიას ქუჩაზე, გაიხსნა საბჭოთა კავშირში პირველი ქართველ რეგბისტთა კლუბი „შევარდენი“.

კლუბი, რომელიც დააპროექტეს ახალგაზრდა არქიტექტორებმა თამაზ დოგრაშვილმა და ბიძინა გეგიძემ, ხოლო მხატვრულად გააფორმა ნიჭიერმა მხატვარმა, რეგბის ვეტერანმა გიორგი ჯაფარიძემ, ატარებს უდროოდ დაღუპული პირველი სპორტის ოსტატის (რეგბისტის) დავით დავითაის სახელს.

ახლა გავიხსენოთ ის მთავარი, რაც ქართული რეგბის ოცდახუთწლიანმა ისტორიამ შემოგვინახა.

...თავდაპირველად ამ ოვალურ ბურთს ბევრი მათგანი ისე უყურებდა, როგორც სასწაულს. ზოგიერთი, მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებული რეგბის ისტორიაში, ამ თამაშს უკავშირებდა ქართულ ლელოს. უფროსების გადმოცემით იცოდნენ, რომ ომის შემდეგ, 1947 წელს, თბილისში გაიმართა პირველი საქალაქთაშორისო ტურნირი, აგრეთვე ისიც, რომ ფოთში ინგლისელ მეზღვაურებს რეგბი უთამაშიათ. მაშინ, სამოციანი წლების დასაწყისში, არ იცოდნენ მხოლოდ ის, რომ ქართული რეგბის შემდგომ ეპიზოდებს შექმნიდა მათი უაღრესად დიდი სიყვარული ამ თამაშისადმი, თავდადება და მიზანსწრაფვა.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მერვე ტომში ვკითხულობთ: „ჩვენს ქვეყანაში 50-იანი წლების ბოლოდან რეგბის განვითარება დაკავშირებულია ბორის ეგუპოვის, გივი მრელაშვილის, ანატოლი სო-

როკინის და სხვათა სახელებთან“.

1957 წელს, როცა მოსკოვში პირველად ჩატარდა მსოფლიო ახალგაზრდობის და სტუდენტთა ფესტივალი, მის პროგრამაში იყო სპორტული თამაშობანი. ამის შემდეგ დაიწყო რეგბის მეორე ცხოვრება საბჭოთა კავშირში. შექმნილი იყო ორი გუნდი, პირველის — ბუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის „მეტუ“-ს ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი გახდა ამჟამად ამ სასწავლებლის დოცენტი ანატოლი სოროკინი, მეორისა კი — მოსკოვის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის „მისი“-ს სტუდენტი, ახლა კი საბჭოთა კავშირის მშენებანკის მცხეთის განყოფილების მთავარი ინჟინერი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი გივი მრელაშვილი.

პირველი გუნდები, რომლებიც შეიქმნა თბილისში 1961 წელს, იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის — „სპი“ და დიმიტროვის სახელობის ქარხნის — „ისანი“. პირველის ორგანიზატორი გახდა გივი მრელაშვილი, ხოლო მეორისა — აწ განსვენებული უაო ასბიკიანი.

იმ წლებში „სპი“-ს გუნდში თამაშობდნენ რამაზ გოგლიძე, ორესტ დიმიტრიადი, ზაურ მგელაძე, რევაზ მესხი, თვით გივი მრელაშვილი, გიორგი ტონია, ნოდარ ყიფიანი და სხვ. რეგბის გუნდის შემადგენლობა, ხომ ყველაზე მრავალრიცხოვანია (15 სპორტსმენი). შემდგომ წლებში მათ რიგებს შეემატნენ მიხეილ კვინიხიძე, ვლადიმერ აკოფო-

ვი, ლევან გარდაფხაძე (კაპიტანი), ნუგზარ ენდელაძე, რომა ლვინიაშვილი, თამაზ შარაშენიძე, ვაჟა შუაკიძე, დიმიტრი ოსეთაიშვილი და გოგი გულაძე, რომელიც ამჟამად საკავშირო კატეგორიის მსაჯია. პოლიტექნიკელებს ოთარ დოლონაძე წვრთნიდა.

რეგბი სწრაფად იკრებდა გულშემატკივრებს. უკვე 1963 წელს შეიქმნა რეგბის სპორტული გუნდები უნივერსიტეტსა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. მათ რიგებს ამშვენებდნენ სპორტსმენები გიორგი ბურჯანაძე, რაჟდენ კორძაია, ცოტნე ნაკაშიძე, დავით ჩუბინიშვილი, მურაღო თოფურიძე, გიორგი წურწუშია, დავით დავითაია. ამ უკანასკნელმა გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის „ვვა“-ს გუნდის რიგებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულიც კი მოიპოვა.

გივი მრელაშვილისა და გიორგი გულაშვილის ნაამბობიდან:

1965 წელს შექმნილმა საქართველოს რეგბის ფედერაციამ, რომელსაც ბორის პაიჭაძე ჩაუდგა სათავეში, საკითხი დააყენა საბჭოთა კავშირის ოფიციალური პირველობის ჩატარების შესახებ. პირველი ჩემპიონატი გაიმართა 1966 წელს თბილისში. საბჭოთა კავშირის ექვსი უძლიერესი გუნდი იბრძოდა ჩემპიონის ტიტულისათვის. მათ შორის ორი ჩვენი დედაქალაქისა — „დინამო“ და „ლოკომოტივი“.

უაღრესად დრამატულად წარიმართა შეხვედრა საბჭოთა კავშირის პირველობაზე მოსკოვის „მეტუ“-ს და თბილისის „დინამოს“ შორის. ჩვენ იგი წვაგეთ მინიმალური ან-

გარიშით და მოვიპოვეთ ვერცხლის მედლები. ამ თამაშში კარგად ასპარეზობდა გენო ლაღუას, ნუგზარ ენდელაძის და მურად თოფურიძის „შესანიშნავი სამეული“ და მარჯვენა გარემარბის რომან ლვინიაშვილის და თამაზ შარაშენიძის ღუეტი.

ჩემპიონატზე დიდი თავდადებით თამაშობდა აგრეთვე „ლოკომოტივლთა“ თავდასხმა გიორგი ჯაფარიძის და თენგიზ რუხაძის შემადგენლობით, რომლებმაც შემდგომში საბჭოთა კავშირის უძლიერესი სპორტსმენების სახელები მოიპოვეს.

1967 წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის აღსანიშნავად ვარშავაში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი. საბჭოთა კავშირიდან ამ ასპარეზობაზე ჩვენი „დინამო“ მიიწვიეს. პოლონეთიდან მთავარი პრიზი ჩამოვიტანეთ. მაგრამ ყველაზე მეტად დაგვამახსოვრდა გამარჯვება ვარშავის, ფაქტობრივად პოლონეთის ნაკრებთან, რომელიც ამ დროს შედიოდა ევროპის უძლიერეს გუნდთა ხუთეულში. ამ გუნდის მწვრთნელი და მოთამაშე — იუზეფ სოკოლოვსკი უაღრესად გაკვირვებული იყო ჩვენი გუნდის ძლიერი თამაშით.

დღეს საქართველო უმაღლეს ლიგაში წარმოდგენილია სამი გუნდით — თბილისის „შევარდენი“ და „ლოკომოტივი“, ქუთაისის „მშენებელი“. მათთვის გზა გაკაფულია თავდადებულ და გულანთებულ პირველმკვალავთა მიერ.

ლეილა მღებრიშვილი,

ფართობი



უორს, წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთით, ახალ-აღმოჩენილ ტროპიკულ კუნძულზე მდებარეობს პატარა, დამოუკიდებელი სახელმწიფო — იპია. იპიაში ძირითადად იპიელები ცხოვრობენ. ძირითადად-მეთქი, იმიტომ მოგახსენებთ, რომ მოსახლეობის უკანასკნელი აღრიცხვის მიხედვით იპიელები სახელმწიფოში ორმოცდაჩვიდმეტ პროცენტს შეადგენენ. მოსახლეობის უკანასკნელისწინა აღრიცხვისას იპიელნი ოთხმოცდაათ პროცენტს „შეადგენდნენ“. რამდენს „შეადგენენ“ მოსახლეობის მომავალ აღრიცხვაში იპიელები, დანამდვილებით ვერ გეტყვით, რადგანაც ამ ბოლო დროს, შეიგნეს რა გამრავლების დაბალი ტემპის სივალაღე, გონზე მოსული იპიელები გამრავლების ტემპის დაჩქარების ქმედით ღონისძიებებს მიმართავენ. ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან.

იპიელები ძირითადად წარმოსადგეი, ცისფერთვალა და შავ-გვრემანი, თმბუჭუჭა ხალხია. ძირითადად-მეთქი იმიტომ მოგახსენებთ, რომ შიგა და შიგ დაბალნი, თაფლისფერთვალეზა, ქერა და თმასწორნიც გამოერევიან. მეტსაც გეტყვით: ბუნებით მომთმენ, ყველაფრის ამტან და ნიჭიერ იპიელთა შორის აქა-იქ სულსწრაფნი, ცეტნი და აშკარად გონებასუსტნიც გაიელვებენ. ასეთ შემთხვევაში ბუნებით დინჯი იპიელნი დიდხანს, ბეჯითად აკვირდებიან იპიელის ჩვეულებრივი ნორმიდან გადახრილ პიროვნებას და როცა, წლების შემდეგ, დარწმუნდებიან მის გონებრივ სიბეცეში, როგორ ფიქრობთ, სამედიცინო სამსახურს მიმართავენ? თქვენც არ მომიკვდეთ. სულით დავრდომილთა სა-ავადმყოფო იპიაში ტრადიციულად არ არსებობს. სულგრძელი იპიელნი თავიანთ გონებაბრმობილ თანამემამულეს შეუზღუდველ თავისუფლებას აძლევენ. შეუზღუდველ თავისუფლებას კი სუსტი გონება, მოგვხსენებათ, ვერ უძლებს და „შექანებულნი“ (როგორც აქ უწოდებენ) ბოლოსდაბოლოს ანეკდოტების გმირებად იქცევიან ხოლმე. იპიელთ, ვერ დავუჯარგავ, ჭორი და ანეკდოტი ძალიან უყვართ.

იპიაში გუბერნატორს სამი წლის ვადით ირჩევენ. არჩევნები უაღრესად მკაცრად და მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების ზუსტი დაცვით მიმდინარეობს. მოგვხსენებათ, თითოეულ ხმას გუბერნატორის ობიექტურად არჩევისთვის ვადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს. იპიელები გულდინჯი ხალხია. ბევრი ფიქრისა და კამათის შემდეგ ისინი გუბერნატორობის ერთადერთ კანდიდატს ასახელებენ. არჩევნების დამთავრებისა და ყუთების გახსნის შემდეგ ჩვეულებრივად ირკვევა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატს ხმას აძლევს ამომრჩეველთა ოთხმოცდაცხრამეტი მთელი და ოთხმოცდაცხრამეტი მეასედი პროცენტი. ერთი მეასედი პროცენტი ავადმყოფობის გამო თავს იკავებს.

იპიელები „შეჩვეული ჭირის“ ანდაზის მიმდევარნი გახლავან და ერთხელ არჩეულ გუბერნატორს, თუ მიქელ-გაბრიელმა არ უხმო, სამუდამოდ სტოვებენ თავის პოსტზე. არჩევის მეთავე წელს გუბერნატორს ბელადად აცხადებენ და პოეტები ლექსებს უძღვნიან, ხოლო არჩევის მეოცე წელს გენიოსის ხალათს უბოძებენ და იპიის სახელმწიფოს ყველა სიკეთეს მას — ერთადერთსა და შეუცვლელს მიაწერენ. საკუთარი და საზოგადოებრივი ტრანსპორტის კაბინებში, გზაჯვარედინებსა და სტადიონებზე მის სურათს ჰკიდებენ და ჩუმჩუმად კიდევ ლოცულობენ ქვეყნის ამლორძინებელ გუბერნატორზე. მერე, დიდი ხნის მერე, როცა მსოფლიოს მედიცინა ფარ-ხმალს დაჰყრის და ღრმად-მონხუცი გუბერნატორი განგების ნებით მიდის ამ ქვეყნიდან, იპიელნი (სხვა რალა დარჩენიათ) ახალ გუბერნატორს ირჩევენ.

ეს ნოველა ეძღვნება იპიის ერთ-ერთ სახელოვან გუბერნატორს, რომელიც ამ ოცდასამოდე წლის წინათ სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა ოთხმოცდაშვიდი წლის ასაკში. სრულიად მოულოდნელად-მეთქი იმიტომ მოგახსენებთ, რომ გუბერნატორს მწოლიარედ ერთი დღეც არ უავადმყოფია. რომ იტყვიან, იგი სახელმწიფოს საჭესთან გარდაიცვალა. ყოველ შემთხვევაში, ხმა ასე გავრცელდა. გაზეთებში გუბერნატორის გარდაცვალების მეოთხე დღეს ექიმთა ჯგუფის ხელმოწერით

სამედიცინო დასკვნა გამოქვეყნდა, მაგრამ დასკვნაში მიცვალბულის ავადმყოფობები იყო ჩამოთვლილი და რამდგომარეობაში ეწვია სიკვდილი გუბერნატორს, ამაზე პრესა გულდაგულ სდუმდა. საერთოდ, იპიაში, მოქალაქენი პანიკას და ზედმეტ ემოციებს რომ აარიდონ, გაზეთები გუბერნატორის ავადმყოფობას არ აცხადებენ. თუ გუბერნატორი ერთი თვის განმავლობაში გაქრება ტელევიზორის ეკრანიდან, მიმხვედრიანი იპიელი ასკვნის, რომ სახელმწიფოს თავი შეუძლოდა. გუბერნატორი ჰიპიუს მეცხრე (რომელსაც ეს ნოველა ეძღვნება), წინა დღით ჩვანჩურის პრინცის უღებზე გახლდათ, მეორე დღეს იპიის პრემიერ მინისტრი უნდა მიეღო და ხმა გავრცელდა: სწორედ იპიის პრემიერ მინისტრ ჰაიუს მიღების დროს გარდაიცვალა. თუ მართლა გარდაცვლილია, აგერ ვნახათ მეოთხე დღესო, ამბობდნენ ჭორის მიმართ ეჭვით განწყობილნი გამოცდილი იპიელნი, რადგანაც სწორედ ამ ჰიპიუს მეცხრეზე არაერთხელ გავრცელდა სავალალო ჭორი და სწორედ მეოთხე დღეს, მეჭორავეთა ჯინაზე, გუბერნატორი ისევ ჩანდა ტელევიზორის ეკრანებზე, ძალად მომიღმარე და წელში საეჭვოდ გამართული.

ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში გუბერნატორი ჰიპიუს მეცხრე საგრძნობლად მოტყდა და მოხუცდა. რვა ინტერვალთ დაბეჭდილ ნახევარგვერდიან მისალმებას ძლივს კითხულობდა, სიარული უჭირდა და ტელევიზორები უფრო ხშირად მდგომარეს უჩვენებდნენ. ზეზეულად თვლენა ერეოდა, დანაწევრებული მეტყველების აპარატი მოეშალა და ასოებს კი არა, ზოგჯერ მთელ სიტყვებსაც ყლაპავდა. ხელი უკანკალებდა, ორდენებს დროშებზე და დაჯილდოებულთა ვულჰკერდზე ადრე რომ თავისი ხელით ამავრებდა, ახლა უკან მდგარი მისი ჯანმრთელი მდივანი აკეთებდა ამ საქმეს... ასე რომ, იპიელები ხვდებოდნენ, გუბერნატორის სიცოცხლის აღსასრული მოახლოვებული იყო, მაგრამ კატასტროფა თუ ასე მოულოდნელად, იპიის ახალგაზრდა პრემიერ მინისტრის ჰაიუს მიღების დროს მოხდებოდა, ვითხრათ სიმართლე, არ ეგონათ.

მიუტევეთ იპიელებმა, რომ ამ ნოველის ცოდვილ ავტორს უცნაური სურვილი გაუჩნდა; დაეხატა გუბერნატორის სიცოცხლის უკანასკნელი საათი და ამით მეჭორავეთა ფანტაზიის უკიდევანო მასშტაბთათვის ზღვარი დაედო.

ოთხშაბათი დღე იყო, გუბერნატორს იმ დღით ფანჯარაში არ გაუხედავს, თორემ შენიშნავდა, რომ ტყვიისფერი ცა დამხობოდა ქალაქს თავზე. ტყვიის ფერი და ტყვიასავით მძიმე ცა, რომ ახედავდი, გეგონებოდა ღრუბლები თავს ვერ იმაგრებენ, ფთილებად წყდებიან და ძირს ეშვებიანო.

ალიონზე გაეღვიძა. მერე ვერ იქნა და ვერ დაიძინა. უძილობა ცუდ ხასიათზე აყენებდა. საძილე ტაბლეტებსო, არაერთხელ შესწივლა ექიმებს, დილის ხუთ საათზე უნდა მძილევდეთ, როცა მეღვიძებო. დაწოლისას თვითონაც მშვენივრად ვიძინებო. მაგრამ ექიმები ყურიდან ყურში უშვებდნენ გუბერნატორის წუწუნს. მედიცინის მსახურთ მოეხსენებოდათ, რომ ისედაც გამო-

თავანებულ გუბერნატორს საძილე წამლები კარგს არას დააყრიდნენ. მართალია, სახელმწიფოს თავი კარგა ხანია ქვეყნის მართვა-გამგებლობაში ბევრს არაფერს წყვეტდა, მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო, მაინც გუბერნატორი გახლდათ და ექიმებს დღეში ორი საათით მაინც სატელევიზიოდ, საჩვენებლად ფეხზე უნდა წამოეყენებინათ.

გუბერნატორს დილით, რვიდან ასე ათის ნახევრამდე უნათლებოდა გონება. ძილბურანში მყოფს მოგონებათა სკვირიდან წარსულის განსაკუთრებით შთამბეჭდავი დღეები ამოჰქონდა. იწვა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ხშირად ილიმებოდა კიდეც. განსაკუთრებული სიხადით სამოქალაქო ცხოვრების ის დღეები ახსენებოდა, როცა იგი, მენახირის შვილი, ქარხანა „დამკვრე-ლში“ მუშა-მოწაფედ მიიღეს, საერთო საცხოვრებელში რკინის საწოლი გამოუყვეს და საღამოობით საწოლზე ჩამოძვარა ძეხვს, შავ პურსა და ლუდს მადიანად შეექცეოდა. მერე ისევ ვადაუვლიდა გონებაზე ბურუსი. ერთხელ მთელი საათი წვალობდა, გაენსებებინა რა ერქვა მის პირველ მოადგილეს, მაგრამ ვერაფრით ვერ გაიხსენა. ფენსაცმელებში მარჯვენა-მარცხენა ბავშვობიდანვე ერეოდა და ეს ორი წელი ბავშვობის იმ ახირებულმა თვისებამ ისევ იჩინა თავი. ამიტომაც კარგა ხანია ფეხზე სწკრიელი პირისფარეში აცმევინ. ეს პირისფარეშები, ცოტა არ იყოს, ახირებული ხალხია. გუბერნატორმა ბოლო ორი თვის მანძილზე შვიდჯერ გამოაცვლევინა ისინი, მაგრამ არც ამ ახლების კმაყოფილი გახლდათ მაინცდამაინც. აბაზანიდან გამოსულ გუბერნატორს უტერამონოდ შეებრუნებდნენ, კბილის გამოხეხვა დაგაიწყებოდათ. მართლაც რომ ზღვიარი არა აქვს ზოგიერთი პირისფარეშის უტაქტობას. ვინ გეთიხავს შენ, გამოიხეხავს თუ არა კბილებს გუბერნატორი. გულმაღვიწყობის ამაზრუნეი სენი დღითი დღე იპყრობდა ერთ დროს მკვირცხლი გონების მქონე გუბერნატორის თავს. „იმას დამიძახე იმას... იმას... იმას...“ შესჩივლებდა თავის თანაშემწეს და სიყრმის მეგობრის სახელდავიწყებული, მშრალი თვალებით ჭერს ააჩერებოდა. იმ წუთში რომ გვეითხათ, ვერც თანაშემწის სახელი ვეტყვოდათ. ერთხელ თავისი გარდაცვლილი მეუღლის სახელი ვერ გაიხსენა და მწარედ იტირა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთხელ იყო. სხვა დროს თავისი თანამეცხედრის სახელი მშვენივრად ახსოვდა.

ელექტროსათს შეხედა, ცხრას აღარაფერი აკლდა. საცაა ალაპარაკდებოდა სელექტორი, ჯერ პირველი თანაშემწე მიესალმებოდა და მშვიდობის დილას უსურვებდა, მერე პირისფარეში შემოლაგდებოდნენ. როგორ უნდოდა დიდხანს ვაგრძელებულიყო საწოლში ნებების ტკბილი წუთები, დაეტოვებინათ თავის თავთან მარტო. თავისმომაბეზრებელი ყურადღებისა და მეურვეობისაგან გაეთავისუფლებინათ. ისიც იცოდა, რომ მთელი ღამე ტელეფონი იყო მისკენ მიპყრობილი და გვერდით ოთახში ექიმები თვალმოუხუტუვად დარაჯობდნენ მის ძილს. თუ სუნთქვა გაუხშირდებოდა, შუაღამისას თეთრხალათიანები ნემსით დაადგებოდნენ თავზე და დაჩხვლეტილ უკანალს ერთხელ კიდე აუწვავდნენ. როგორ სახლდა, რომ იცოდეთ, ეს ზედმეტად ფრთხილი, გაფაციცებულსახიანი, ძილწართმეული ექიმები.

როგორც მოგახსენეთ, არ ეძინა, მაგრამ თვალდახუტული იწვა, აქაოდა იქნებ მძინარე ვეგონო და ცოტა ხანს მაინც არ შემაწუხონო.

იწვა და ფიქრობდა: — მეტი დასავგრა შეიძლება ადამიანის? მეტი აბუხად ავდება? გუბერნატორი მქვია ახლა მეც და ხალხს ჰგონია, ვაზანზარებ ქვეყნიერებას. აბა, ერთი ჩემს დუნდულებს დახედონ. კაცი რომ შენს გემოზე ვერ გაიზმარები, ცხოვრება ანაირი ცხოვრება? კაცი შენს თავს არ უნდა ეკუთვნოდეს: ასე გაუთავებელ თვალთვალში ვარ ოცდარვა წელიწადია. აღარ უნდა დამთავრდეს? ვერ უნდა მივალწიო იმნარი მდგომარეობას, როცა მინდა ავდგე და როცა მინდა დავკდე? რამდენ ხანსაც გამეხარდება, ვიძინო და როცა გამეხარდება, ვიფხიზლო? შეგადგებენ საათობით იმ ბაროკამერაში და გიბერავენ სულს. კაციშვილი დამლაპარაკებელი არ გყავს სიხსლოვეს. არ მინდა, ბატონო. არც მაგნაირი უანგბადი მინდა და არც ძალათ გამხნელება, დამლაპარაკებელი კია, იცოცხლე, კედლებიც გაგეკემენ ხმას, მაგრამ ისე აღარავინ ველაპარაკება, შენს სულს რომ უნდა, რაღაცნაირი ცივი, შეშინებული, მორიდებული გესაუბრება ყველა. რამდენი ხანია, გულგახსნილი კაცის ჩივილ-ხითხითი არ მომისმენია.

იყო ეს ყველაფერი საჭირო? ამისთვის მოვიკალი თავი ამ ოცდარვა წლის წინათ? შეიძლება არც მეფიქრა გუბერნატორობაზე, იპიუს მერვეს რომ ცოტა ჰქუა მაინც ჰქონოდა. ჩემამდელი გუბერნატორი, დასაბმელი გიყი იყო ცხოვრებული. კინალამ ამოატრიალა იპია. კინალამ დავგვსა შავ პურზე და წყალზე. ეს, თუ მივეშვით, დალუპავს ქვეყანას-მეთქი. და დავიწყე ფიქრი გუბერნატორობაზე, თორემ თავიდან არც პრეტენზია მქონია

ამისა და ვერც საგუბერნატორო ჰქუას ვატყობდი, ღმერთო შეგცოდე, ჩემს თავს. ახლა, აქედან რომ შევხედოთ, ადვილად მოხანს, მაგრამ თქვენ გგონიათ, ადვილი იყო ეს ყველაფერი? გორი ჩამოსაგდება გუბერნატორი. დიდხანს ვეჭვობდები, როგორ დამეწყო. ის პირველი სამი კაცია საქმე. ვისაც ვეჭვობდა უნდა გენდო, ვთქვამთ, არ გენდნენ, სად მიდიხარ მაშინ? უკანდახევა აღარ შეიძლება, სიკვდილ-სიციოცხლზე უნდა გახვიდე. ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი, მაგრამ ასე მეგონა, ჩემს მეტი ვერავინ გაუძღვება, ვერავინ გაამაგრებს ამ დაქანებულ ქვეყანას-მეთქი. მაღლობა ღმერთს, ყველაფერი რომ მშვიდობით დამთავრდა და დასასვენებლად წასულ გუბერნატორს ცხვირწინ ავაცალე ტახტი. ცოტა არ იყოს, სინდისმა ქენჯნა დამიწყო, მაგრამ თვითონაც ამ ხერხით არ წავლიო იპიუს მეშვიდე ვიკოვკინი? ორმოცდათექვსმეტი წლის იყო, პენსიაზე რომ გაეცალეთ, ხანდახმულობის გამო, ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებით განთავისუფლდა მოკავებული თანამდებობიდანო, დაეწერეთ ვაზეთებში. წესად გვაქვს: მთავრობის კაცის განთავისუფლების სწორი მიზეზი არ ვამცნოთ ხალხს, თორემ ორმოცდათექვსმეტი წლის კაცი რა ხანდახმულია მაინცდამაინც? ხანდახმული, კაცმა რომ თქვას, მე ვარ ახლა. მაგრამ ჩემი ხანდახმულობა სხვა არის. მე და ჩემი მეჯლისის წევრები იმ ბედნიერ, უიშვიათეს გამონაკლისებს წარმოვადგენთ, როცა ადამიანი სოლიდურ ასაკში იხარჩუნებს განსაკუთრებულ აქტივობას და ქვეყნის მართვა-გამგებობის უნარს. ჩვენი სამედიცინო პრესა, ამ ბოლო დროს, სიბერის პრობლემებზე ან საერთოდ არაფერს წერს, ან წერს ისე, დელიკატურად, როგორც ჩვენს საქმეს მოუხდება. ამას წინათ ერთ პროვინციულ სამედიცინო ყურნალში ვილაც ახალგამომცხვარ დოცენტს ჩაუწერია: ოთხმოცს რომ ვადაშორდება ადამიანი, აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას ძველებურად ვერ გასწევსო. არა მარტო იმ დოცენტს აეკრძალა ბეჭდვა სამუდამოდ და ჩამოერთვა მოკავებული სამეცნიერო ხარისხი, ყურნალიც გაეაუქმეთ საერთოდ, ვითომ არც ყოფილა. არ უნდა იცოდეს დოცენტმა კაცმა რას წერ და როდის წერ?

ისე, ჩვენში რომ დარჩეს, ოთხმოცდაშვიდი წელი ცოტა როდია. მიჭირს იპიუს გაძლოლა, განა არ მიჭირს, მაგრამ სად წავიდე? ჯერ ერთი — მეჯლისში ჩემზე უმცროსი და ჩემზე ჯანმრთელი არავინაა. მე თვითონ ვიზრუნე თავის დროზე ამაზე. ჯანმრთელ და ახალგაზრდა კაცს, ვინ იცის, რა ფიქრები მოუვა იმ ჯანსაღ გონებაში. ისე შეეკარით მეჯლისის კარები, რომ ბუნიც ვერ შემოფრინდება. ნიჭიერი და ენერგიული ახალგაზრდები გვყავს, როგორ არა გვყავს, მაგრამ ჯერ კეთილ ინებონ და მოითმინონ. მათი დროც მოვა, მიჭირს, როგორ არ მიჭირს. ჯერ ეს გაუთავებელი მიღებები და შეხვედრები, ფეხზე დგომა, ამ ორდენ-მედლების ჩამორიგება. ჯერ მარტო ჩემი ჯილდოების ტარება მამწყვიტა წელში. ვინ ეხვეწებოდათ, ამდენი ორდენი და მედალი. რომ ჩამოქვდა, წელში ვიხრები ჩემი პიჯაკის სიმძიმისაგან. რომ გაეკიდოვებენ, იმ წუთში ვიხარია კაცს, მაგრამ რომ წარმოიდგენ, კოსტუმის კიდეც უფრო დამძიმებას, ცუდ გუნებაზე დგები. საქმეში ჩაუხედავი. იფიქრებს თვითონ არიგებს ამ ჯილდოებს და თვითონვე იკიდოვებს თავს, ეს მამაცხოვრებულიო. არ არის ასე. ვთხოვენ, შეგეხვეწებიან და უარს ვერ ეტყვი. ახლა რომ ვუფიქრებდი, თანამედროვე ზღაპრების წიგნი რომ გამოაქვეყნეს ჩემი ავტორობით, იმაზეც უარი უნდა მეთქვა. შეატყო ხალხმა, რომ იმ ზღაპრების დამწერი მე არ ვიყავი. რა პატივისცემა ახლა ეს, კაცმა რომ თქვას? ისე ლამაზად და კარგად წერა მე რომ არ შემიძლია, არ იცის ვითომ მკითხველმა? რატომ უნდა შემეძლოს ყველაფერი მე? მწერალი იმისია, რომ წერა უნდა იცოდეს, სამაგიეროდ მე პოლიტიკური მოღვაწე ვარ და მეტი შორსმჭვრეტელობა მაქვს, მოვლენებში ორმად ჩაწვდომის და ანალიზის უნარი, ურთულეს საკითხებში სწრაფი ორიენტირება შემიძლია ისე, ზეპირად. შეუძლია ეს მწერალს? არ შეუძლია. ჰოდა, მე ჩემი ღირსებებიც რომ მყოფნის, რაღად მინდოდა მეზღაპრის დიდებაც? ვინ მკითხა რამე, მომიტანეს და დამიდევს წინ მშვენივრად გამოცემული „ჩემი წიგნი“. არა, არა, ნამეტანი ვიცი თოგჯერ.

თუ ჩემი პატივისცემა გინდა, შე კაი კაცო, ერთი ორი საათი მეტხანს მამყოფე ჩემთვის, ლოგინში. არ მინდა მეტი არაფერი, ესაა ჩემი პატივისცემა. თუ სადმე სამართალია, უნდა ვადავდგე აწი და სხვას დაუთმო გუბერნატორის საქმე, მაგრამ, ვთქვი მისი არ იყო, ვის დაუთმო და სად წავიდე? გაიგებს ვინმე სწორად? თავისი სურვილით ვადავდგო კი არ იტყვიან, ვადააყენესო. ახალმა მოსულმა თავისი ხალხი უნდა მოიყვანოს, ეს ჩემი ბებრები პენსიაზე უნდა გამოცილოს და მინიშნებებით და ქარაგმებით ჩემი კრიტიკა უნდა დაიწყოს, ასეა ლამის დაკანონებული. ყველამ ასე არ გავაკეთეთ? მერე? რა მოყვება ამას? ჯავრისგან გული გაგისკდება და შენ გგონია იმ პატივიდებებით დაგასაფლა-

გებენ. რა დამსახურებაც მივიღოვის იპიის წინაშე? შენ არ მომიკვდე: პატარა, მშრალ ნეკროლოგს ვადმოგივლებენ და იპიის გალავნის კედელში თუ დადგეს შენი ურნა, დიდ პატივად უნდა მიიღოს. კრემაცია და კედელი მინდა მე? ერთ მიყრუებულ ქუჩას და პატარა გემს დაარქმევენ შენს სახელს და ამით დამთავრდება ყველაფერი. ამისთვის მოვიკალი თავი? ამას შევალე ჩემი ჯანი და ვინება? ამიტომ არ მინდა ჯერ წასვლა, თორემ დამსახურებულ დასვენებას რა სჯობია. შვილთაშვილები ისე დაიზარდნენ და დაგენერალდნენ, რომ ბავშვობაში მუხლზე არ დამისვამს არც ერთი და ხეირიანად არც მოვფერებივარ.

ვინც გუბერნატორობას და ჩემს დღეში ყოფნას ნატრობს, ჭკუათმყოფელი არ არის, ამას მე გეუბნები. უბედური კაცი ვარ მე. ბედნიერი ვინ არის, იცო? ვისაც შეუძლია, როცა უნდა, მაშინ გაიაროს სოფლის შუკაში, ხმელი ბალახის სურნელით დატკბეს, ყაყაოები გაიაროს თმაში, წყალზე გაღებულ მორზე ჩამოჯდეს; ფეხები წყალში ადგაფუნოს და რაც მოესურვება, ის ილიღინოს. ბედნიერი ვინ არის, იცო? ხალხით გაჭედულ პროსპექტზე ნელა რომ მოაბიჯებს, უცნობ, ლამაზ გოგონებს რომ უღიმის და ნაყინს მიირთმევს. თორემ ჩემი დღე რა სანატრელია. ძალით მივისაჯე გუბერნატორობა, ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი ლამის სამი ათეული წელია“.

ფიქრი სელექტორის წკრიალმა შეაწყვეტინა. საბანი თავზე წაიფარა და გაირინდა.

— დილა მშვიდობისა, ბატონო გუბერნატორო, — ნაცნობი ხმა იყო.

არ გაეპასუხა. ხუთიოდე წუთში ისევ აწკრიალდა აპარატი და კვლავ მშვიდობის დილა უსურვეს. არც ამჯერად გაიღო ხმა, აქაოლა მძინავსო.

მაღე ფრაკში გამოწყობილი, დიპლომატიურად თმაგადავარცხნილი, ხელსაქალაღიანი ელევანტური თანაშემწე შემოვიდა, საბანი თავზე უცერემონიოდ გადახადა, „ნუ კულუტობ, ვიცი, არ გძინავსო“. სიყვარულით დატუქსა, სასთუმალთან სავარძელი მოაჩოჩა, ბუნებრივი ტყავის საქალაღე გაშალა და დილის ინფორმაციის კითხვას შეუდგა. გუბერნატორს ჩასთვლიდა, ისევ ძილ-ბურანმა წაართვა თავი. სულ ასე ემართებოდა, როცა რაიმეს უკითხავდნენ. ყანყარაობზე თანაშემწის გამაფხიზლებელ-მომფერებელი ხელის შეხება რომ იგრძნო, თვალი გაახილა.

— შენ ეს მითხარი, — გუბერნატორმა მარჯვენა თავქვეშ ამოიღო და ჭერს ააშტერდა.

— გისმენ. როცა უნდოდა ეკითხა, დავიწყდა, მაგრამ რაკი თანაშემწე უსმენდა, რალაც ხომ უნდა ეკითხა:

— დახვედრა და ვაცილება ბევრი გვაქვს დღეს? ჭირივით სძულდა აეროპორტში მისვლა. დახვედრა-გაცილება მისაგან ილაჯი ჰქონდა გაწყვეტილი. ყველას ხომ ვერ გაანდობდა, რომ საპატიო ყარაულის ჩამოვლა მის წვენგამშრალ მუხლებს აღარ შეეძლოთ.

— დღეს ერთი მიღება გვაქვს მარტო.
— ვისი?
— იპიის პრემიერ-მინისტრის, დავაიწყდა, გუშინ რომ ჩამოვიდა?

გუბერნატორი გაჩუმდა. გუშინდელი დღე ბუნდოვნად ახსოვდა.

— კეთილი და პატიოსანი. მიღებაზე ის თუ იქნება... ის... ის...

— ყველანი იქნებიან, — დაამშვიდა თანაშემწემ, წამოდგა, ტყავის საქალაღე ამოიღო, დიპლომატიურად დავარცხნილი თმა თავის ჰაერში აკვრით გაისწორა და გავიდა.

საუხმის შემდეგ გუბერნატორმა თავი შეუძლოდ იგრძნო. ექიმები შეშფოთდნენ. ბაროკამერაში მოთავსების დრო აღარ იყო. სასწრაფოდ წამოაწვინეს და ორი ნემსი ლამის ერთდროულად დაჭრეს.

თორმეტ საათზე მიღება დაიწყო.

ჯერ ჰიპიუს მეცხრე შემოიყვანეს თანაშემწეებმა და მიღების დარბაზში გრძელ მაგიდასთან მიაყენეს. გუბერნატორს მეჭლის მსკოვანი წვერები შემოჰყენენ და შორიასლო დამწკრივდნენ. წუთის შემდეგ კარი გაიღო და ლონიერი ნაბიჯით წამოვიდა იპიის ახალგაზრდა, სახეგაბადრული პრემიერ-მინისტრი ჰაიე.

ჰაიე გზადაგზა თეთრ კბილებს აელვებდა და მზით გარუჯულ სახეზე ნეტარება ეხატა. უკან რვაიმდე კაცისაგან შემდგარი ამაღლა მოსდევდა.

გუბერნატორმა სტუმრის შესახვედრად ერთი ნაბიჯი წადგა წინ და კვლავ მაგიდას ჩამოეყრდნო. ასე იყო დარიგებული. თორემ ორ ნაბიჯსაც მშვენივრად გადადგამდა.

იპიის პრემიერ-მინისტრმა მარჯვენა რომ გაუწოდა, გუბერნატორმა ხელი როდი ჩამოართვა, გაიჭირვა, თავისი უღონო მკლავები ზეასწია, მხრებზე დააღო ჰაიეს, გულში ჩაიკრა და

კოცნა დაუწყო. კარგა ხანს ჰკოცნიდა ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ლოყაზე.

როცა თანაშემწემ მკლავში მოკიდა ხელი და სტუმრის-გამოიარა, პრემიერს ხელი დაუქნია. გრძელ მაგიდას, რომელსაც თუ არა, გუბერნატორმა ცხვირსახოცი ამოიღო და ცხვირს მისი იმშრალა. ამ ბოლო დროს მიღებისას გული ხშირად უჩუყდებოდა და ხვევნა-კოცნის შემდეგ თვალები ცრემლით ევსებოდა.

მოლაპარაკება კარგა ხანს გაგრძელდა. გუბერნატორი თავს უქეიფოდ გრძობდა და საუბარში არ ჩარეულა. ჰიპიუს მეცხრე სტუმართ შესტკეროდა და ფიქრით სხვაგან იყო. ვინ იცის, იქნებ ამ წუთში მსოფლიო პრობლემებზე მეტად ის აინტერესებდა, მტკივნეული იქნებოდა თუ არა ორი ნემსი, მიღების შემდეგ რომ გაუკეთებდნენ. იპიის პრემიერ-მინისტრთან მოლაპარაკებას მეჭლისის სხვა, ჯერ კიდევ მეტყველების უნარის მქონე, წვერები წარმართავდნენ.

ჰიპიუს მეცხრე იჯდა და ნელ-ნელა სიბრაზე ერეოდა. ეჩვენებოდა, რომ მოლაპარაკების დროს იპიის სახელმწიფოს თავი თავისი მკვირცხლი თვალებით და მოჭიკჭიკე ენით, ლონიერი კისრითა და მომხიბლავი ღიმილით აშკარად თვალთმაქცობდა, რალაცას ატყუებდა გამოცდილ, მაგრამ გულუბრყვილო მასპინძელს. რაც დრო გადიოდა, მით უფრო უძლიერდებოდა ეს აზრი გუბერნატორს. „ამჟააა, რომ თაღლითია, გვატყუებს“, ფიქრობდა იგი, მაგრამ კონკრეტულად რა პუნქტებში თვალთმაქცობდა სტუმარი, ვერ გეტყობდა, რადგანაც მოსაუბრეებს არ უსმენდა და რომც მოესმინა, ღმერთო შეგცოდნე, მის დაღლილ, დაქვეითებულ გონებას, იქნებ ბევრი ვერაფერი გამოეტანა დიპლომატთა სპეციფიური, რევერანსებითა და ყალბი ღიმილით საგნე საუბრიდან.

მიღების დასასრულს მოხდა გაუგონარი და გაუთვალისწინებელი რამ: როცა ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ცერემონიალი დაიწყო, გუბერნატორმა უცნაურად გადაიხარხარა, ხელშეკრულება, რომელიც ის-ის იყო წინ დაუდეს, ყდიდან ამოგლიჯა, შუაზე გახია და მოისროლა, წამოდგა, ყუნცულით შემოუარა გრძელ მაგიდას, სტუმართან ძლივს მიბაჟუნდა, დაიხარა და სამი თითის კომბინაცია ზედ ცხვირთან მიუტანა იპიის პრემიერ-მინისტრს, ბატონ ჰაიეს.

დარბაზი წამით გაირინდა. ტელეკამერები, მიუხედავად იმი-სა, რომ იპიაში პირდაპირ სატელევიზიო გადაცემები კარგა ხანია მოდაში აღარ იყო და არც ამ მიღების ტრანსლაცია ხდებოდა პირდაპირი ხაზით, ასოთხმოცი გრადუსით შებრუნდნენ ამ, დიპლომატიურად უაღრესად უხერხული, სცენისაგან.

მერე თითქოს შეჩერებული კადრი ამოძრავდა, ჰიპიუს მეცხრე წელში გაიმართა და ჩვეული ყუნცულით გასასვლელისკენ წავიდა. მაღალ კარებთან შეჩერდა, მობრუნდა, ოთხი აკანკალებული თითი ჩაიღო პირში და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, დაუსტვინა.

სტვენა ნელ-ნელა სუსტდებოდა. სანამ თანაშემწეები ხელს შეაშველებდნენ, ჰიპიუს მეცხრე სხვის დაუხმარებლად გამოიღო პირიდან თითები, შეტრიალდა და ჩაიკეცა.

დარბაზში მეყვსეულად განდნენ თეთრხალათიანი ექიმები, მაგრამ ხელოვნურ სუნთქვას, ნემსებს, ნიშადურის სპირტს და ყურების სრესვას შედეგი არ მოჰყოლია. გუბერნატორი მკვდარი იყო.

* * *

მეოთხე დღეს გაზეთებმა ქვეყანას მოჰფინეს გუბერნატორის გარდაცვალების ჭორად უკვე გავრცელებული ამბავი. ნეკროლოგთან ერთად სამედიცინო დასკვნაც დაიბეჭდა. ექიმები ფრთხილი ხალხია, ჩვენ რამე შარში არ გავებათო, დასკვნაში ყველაფერი ზუსტად ჩაეწერათ. ცხრა ექიმ-აკადემიკოსის ხელმოწერით გამოქვეყნებული დასკვნა მკითხველს აუწყებდა, რომ გუბერნატორი უკანასკნელი ოცდაექვსი წლის განმავლობაში დაავადებული იყო ჰიპერტონიითა და ათეროსკლეროზით, გადატანილი ჰქონდა შვიდი (მათ შორის ოთხი მიკრო) მიოკარდის ინფარქტი, ტვინის მარჯვენა პომოსფერო აღარ ფუნქციონირებდა, ხოლო მარცხენაში მეხსიერების ძაფები ატროფირებული იყო, ზურგის ტვინის პერსპექტიული გამოშრობა პერმანენტულად ვითარდებოდა, ხოლო კისრის მალეები მთლიანად გადაკვარებული განხლდათ. სამეტყველო აპარატის მოშლას მოვლენათა შორის ლოგიკური კავშირის დამყარების უნარიც თან გაჰყოლოდა, ნაღვლის ბუშტი კენჭოვანი იყო და საშარდე მილს თურმე გამტარუნარიანობა კარგა ხნის დაკარგული ჰქონდა.

...ან აქამდე როგორ იდგა ფეხზეო“, ამოიხრებდნენ იპი-ელნი, როცა გუბერნატორის სამედიცინო ექსპერტის ამ ეჭვი-უტანელ დასკვნას გაეცნობოდნენ. გაზეთს დაკეცავდნენ, უბეში შეინახავდნენ და შუბლმეჭმუხვილინი მიეშურებოდნენ თავიანთ იპიურ საქმეებზე.

იმარჯვა მიწის სიყვარულმა

— დელიკო, სიმონ ბაბუას ხომ არ ჩაუვლია მელაურისაკენ? — ეზოდან ერთად გამოცვივდნენ ზურაბი და ზალიკო.

— აღარ ვიცი, რა ვქნა. ასე უთენია, როგორ იღვიძებენ ეს ბავშვები! — შემოვკვივლა ახალგაზრდა დედამ.

— ჩემებიც მაგრე მოუთმენლად ელიან ბაბუა სიმონის გამოჩენას, — დავამშვიდე ლილი.

და განა მარტო ჩვენები? ასე არიან მთელი კუთხის ბავშვები. ამ დროს ისინი ბაბუა სიმონისგან მოფერებას, ლოყაწითელა ვაშლს, ქარვისფერ მსხალს, ყურძენს ან კანფეტს ელიან მარტო, მაგრამ რა იციან ბავშვებმა, რომ სიმონ ბაბუა ამით მათ დილით ადრე ადგომას აჩვენებს. თვითონაც ასე აჩვენებდნენ ერთ დროს თავისი წინაპრები.

შრომისმოყვარე ოჯახში დაიბადა და გაიზარდა სიმონ ჭიხორია — ბატონი სიმონი, როგორც ეძახის სიყვარულით დიდი და პატარა. მისი ბავშვობის დროინდელი ოცნება ექიმობა იყო, თუმცა ასე დეფიციტურად არ ითვლებოდა მაშინ ეს სპეციალობა. მაშამ — პეტრე ჭიხორიამ გაუწია დიდზე დიდი წინააღმდეგობა: მიწის სიყვარული აღარ ექნებოდა. პეტრე ჭიხორია კი ის კაცია, ვისაც მწერალმა რევაზ ჯაფარიძემ ჩვენ მიერ აღებული ინტერვიუში „საარაყო შრომისმოყვარეობით ცნობილი კაცი“ უწოდდა.

იმარჯვა მიწის სიყვარულმა და სიმონმა მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ აჭარაში, ქედის რაიონში, დაიწყო მუშაობა უფროს მევენახე-აგრონომად.

დიდი სამაპულო ომის დაწყებისთანავე წითელი არმიის რიგებშია. მრავალი ჭრილობით, მაგრამ ჯილდოებით შერდ-დამშვენებული, ოჯახში ინვალიდი დაბრუნდა და კვლავ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაება. მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე: რაიონიდან გამგედ, სოფლის მეურნეობისა და დამზადების სამმართველოს უფროსად, მანქანა-ტრაქტორების სადგურის დირექტორად, საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად, სოფლის

მეურნეობის სამმართველოს უფროსად.

ორი ათეული წლის მანძილზე იყო რაიონული საბჭოს ყველა მოწვევის დეპუტატი. ათი წლის განმავლობაში პარტიის საჩხერის რაიონის ბიუროს წევრი, ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა ბიუროზე საკითხების განხილვაში. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით და ცხრა მედლით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის წოდება.

1966 წელს, დაბადების საწინააღმდეგო დაკავშირებით, ამავდარ აღამიანს იუბილე გადაუხადეს. მშრომელ კაცს თავის ნაღვაწს რომ დაუფასებ, კეთილ სიტყვას არ დაამადლი, სიყვარულს რომ აგრძნობინებ, ხომ უფრო მეტი აზრი აქვს ცხოვრებასაც.

მალე რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიაზე გადავიდა და იგი მშობლიურ სოფელ ბაჯითში გადავიდა მუდმივ საცხოვრებლად.

ჩვენი ნარკვევის გმირი რვა ათეულ წელს მიუახლოვდა და ნებისმიერ ახალგაზრდას შეშურდება მისი უღვევი ენერჯია, მუხლჩაუხრელი მუშაობა ოჯახში თუ მეზობელთან, საკოლმეურნეო მინდვრებში თუ პირად საკარმიდამო ნაკვეთში. მისი ეზო-კარი ხომ მართლა ყველაზე კარგი და სანიმუშო მთელ სოფელში.

ამ მუყაითმა კაცმა შარშანწინ საკარმიდამო მეურნეობიდან სამი ტონა ყურძენი და სამას კილოგრამამდე ხორცი მიჰყიდა სახელმწიფოს. ხოლო საკოლმეურნეო ნაკვეთზე საკექტარო მოსავლიანობა სამოც კენტნერამდე გაზარდა.

შვილებიც სანაქებო გამოუვიდა ბატონ სიმონს. უფროსი ვაჟი თემური სპეციალობით იწყინებია და ამჟამად კოლმეურნეობით კუბის სოციალისტურ რესპუბლიკაში იმყოფება სამუშაოდ, ქალიშვილი თინა პედაგოგია, ხოლო უმცროსი ვაჟი პეტრე ჭიათურაში მუშაობს მშენებელ ინჟინრად.

არც დამწერსა და არც წამკითხველს არ მოეწყინება ალბათ სიმონ ჭიხორიაზე საუბარი. ეს ხომ ის კაცია, რომელსაც, როგორც სოფლის მეურნეობის დარგის ერთ-ერთ კარგ

ხელმძღვანელს, დევიზად ჰქონდა მიჩნეული — კოლმეურნე გლეხს ეკონომიკური პირობები უნდა გაუუმჯობესდესო. ის რა ხელმძღვანელია, რომელიც ამაზე არ ფიქრობსო — ეს სიმონის სიტყვებია.

ლამაზია მადლობზე მერცხლის ბუდესავით შეფარებული სიმონ ჭიხორიას მშობლიური სოფელი ბაჯითი. საჩხერიდან სამიოდე კილომეტრზე, ხოლო ზღვის დონიდან 640 მეტრზე მდებარეობს და მთელ რაიონს თავმომწონედ გადაჰყურებს. აქაური ზვარი არაჩვეულებრივ ღვინოს იძლევა, ხორბალი — ნოყიერსა და სურნელოვან პურს, მაგრამ მიგრაციამ თავისი კლანჭი ამ სოფელსაც გაჰკრა. მომრავლდნენ მიტოვებული ეზოები, ბოქლომდადებული სახლები და ნასახლარები.

ამის მიზეზი ძირითადად ისაა, რამაც ჩვენი რესპუბლიკის მთის ბევრი სოფელი დააცარიელა — უგზობობა და უწყობლობა.

წყალი არც ადრე ჰქონდა საკმარისი ამ სოფელს და არც ახლა აქვს. მითუმეტეს, ომმა ჩვენი სამშობლოს ღრმა ზურგიც დაზიანა. შინ დარჩენილ ქალებსა და მოხუცებს შეშისთვის შორს წასვლა რომ აღარ შეეძლოთ, ტყეები გაჩეხეს და, აბა, წყაროებს რა დაემართებოდა. ბოლოს ჰები გაჭრეს, მაგრამ ხელთ 20-25 მეტრიანი მშრალი ორობები დარჩათ.

შემდეგ ცოტა უფრო მოხერხებულებმა სახედრები იყიდეს, რამდენიმე კილომეტრიდან ეზიდებოდნენ წყალს: შირაქელები არა ვართ, მაგრამ ჩვენს დღეში ჩავარდნილების გამოცდილებას თუ დავნერგავთ, ცოტა მაინც გვეშველებოდა. ასე ცხოვრობდა, ნახევრად მწყურვალ სოფელი.

მაგრამ გამოჩნდა ერთი-ორი კაცი, გამოეხმაურნენ მათ სხვებიც: ჩვენც კაცნი ვართ, ქული გვხურავს, მუხლი გვიჭრის და ძალაც გვერჩისო. სოფლიდან მოშორებით უქმად იღვრებოდა წყაროს წყალი. მოიმარაგეს წყალგამყვანი მიწები, აიღეს ბარი, თოხი, წერაქვი და შეეკიდნენ საქმეს. შედეგმაც არ დააყოვნა, ერთი თვის შემდეგ ჭიხორიების. ბანძელაძეების, ტყემალაძეების უბანში ჩნდნენ დაიწყო წყალმა. გაკეთდა ის, რაზეც ოცნებაც კი არ შეეძლოთ მათ წინაპრებს.

წყალს დაწმენდა ვიღამ აცალა, ყველას სურდა, პირველი ჰქონდა ჩავსველებინა ყელი.

უნდა გენახათ, რა ზეიმი იყო სოფელში. ულოცავდნენ ერთმანეთს, ულოცავდნენ ამ საქმის ინიციატორებს ქიშვარდ, ოთარ და სიმონ ჭიხორიებს. სიმონმა ხომ თავისი ეზოს მონაკვეთიც დაუთმო სოფელელებს წყალსამარაგო აუზის გასაკეთებლად.

ახლა სამანქანო გზის გაკეთებისთვის ზრუნავენ ბაჯითელი მოუხვეწარი აღამიანები, ზრუნავს ოთხმოცი წლის სიმონ ჭიხორიაც, რადგან იცის, ეს გზა ბევრს დააბრუნებს უკან, ქალაქიდან სოფელში.

როცა ვუყურებთ ბატონი სიმონის დაკოყრილ, დაშაშრულ ხელებს, ნამდვილად გვჩვენება, რომ იგი მარტო ახლა კი არა, ადრეც პირად მაგალითს აძლევდა ყველას.

ამ მოუხვეწარ კაცს ერთი წუთითაც ვერ სახავთ უქმად. იმ დღესაც ნატალაყრე ჭიშის ვაზს დასტრიალებდა თავს. ამდენს რომ შრომობთ, ჯანმრთელობას რატომ არ უფრთხილდებით-მეთქი, მორიდებით შევეკითხე.


— შრომა არ არის სიცოცხლისთვის საშიში, ბაბუა. საშიში ატომური და ნეიტრონული ბომბებია. მე დნებარის ბრძოლების მონაწილე ვარ. ახლაც ხშირად მახსენებენ თავს ძველი ნატყვიარები. ჭრილობები კი შეხორცდა, მაგრამ გული სმოურჩენელ ვიარას რა ვუყო, ბაბუ! რამდენი ახალგაზრდის სიცოცხლე ჩაქრა ჩემ თვალწინ! ჰოდა, ახლა აგერ ისევ ბომბებით გვიპირებენ შეშინებას, ვის უნდა ომი! არავის, თუ კაცია და პატიოსან ლუკმას ჰამს, ბავშვებს ომი და ნგრევა კი არა, შრომა და ერთობის სიყვარული ვასწავლოთ, — ესა თქვა და კეთილად გამიღიმა ბაბუა სიმონმა.

მართალია, მშრომელ და პატიოსან კაცს არასოდეს გაექცევა თვალი სხვისი ნაჭირსახულებისაკენ, მშვიდობისთვის კი ხმალმემართული იბრძოლებს.

— ჰოდა, შევაჩვიოთ ჩვენი შვილები შრომას, ჩავუნერგოთ სიკეთე, მეგობრობა, სიყვარული, ვასწავლოთ კაცური კაცობა და ერთობის გატანა. ამით მათ უღრუბლო ზეცას და ბედნიერ მომავლს ვაუზმზადებთ.

ამ რწმენით ცხოვრობს და კვლავაც იღვწის საქვეყნო საქმისათვის ოთხმოცი წლის სიმონ ჭიხორია — კაცი, რომელიც ყველას უყვარს.

ბაბო ხვედელიძე



ოველ სადამოს, ადგილობრივი დროით 22 საათზე, ტაიმს სკვერის მომიჯნავე 43-ე ვიწრო ქუჩა უზარმაზარი სატვირთო მანქანებით ივსება, რომლებსაც დიდი ასოებით აწერია — „ნიუ-იორკ ტაიმსი“. გარკვეული პროცედურის შემდეგ, ყველა თავისი მარშრუტით მიდის...

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ 1851 წლის 18 თებერვლიდან გამოდის. 1905 წლიდან მისი სარედაქციო-საგამომცემლო შენობა და სტამბა მოთავსებულია ქალაქის ცენტრში, იმ მოედლის ახლოს, რომელიც ამ გაზეთის სახელს ატარებს. 1913 წლიდან მოყოლებული იგი ერთსა და იმავე შენობაში მდებარობს, რომელიც სპეციალურად იქნა შესყიდული გამომცემლობისათვის. ყოველდღიური ტირაჟის ერთი მესამედი, საკვირაო გამოცემები და დამატებები — „ნიუ-იორკ ტაიმს მეგვინი“ და „ნიუ-იორკ ტაიმს ბუკ რევიუ“ იბეჭდება ნიუ-იორკის მეზობლად მდებარე ნიუ-ჯერსის შტატში.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“, აშშ-ის გაზეთებს შორის ერთ-ერთი ყველაზე უხუცესი, მოწინავე და რესპექტაბელური ბურჟუაზიული პერიოდიკაა, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს, თავიდან აიცილოს სენსაციური მოვლენების გაშუ-

ქება. ამ გაზეთის თანამშრომლად გახდომა თითოეული ამერიკელი ჟურნალისტის ოცნებაა. ერთი მხრივ ეს საბრესტიჟო საქმეა, ხოლო მეორე მხრივ მათი თანამშრომლებისათვის ღიაა ყველა კარი, რომელიც პრესის სხვა წარმომადგენლებისათვის დახშულია. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ფურცლებზე მოღვაწეობენ ცნობილი და აღიარებული ამერიკელი ჟურნალისტები, პოლიტიკური და სამხედრო მიმომხილველები. გაზეთის 47 ყოფილი და ამჟამინდელი თანამშრომელი ჟურნალისტის დარგში პულტიცერის პრემიის ლაურეატია.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ უბრალო გაზეთი როდია; ეს პუბლიკაციათა მთელი თავყრილობაა; აღნიშნავენ სარეკლამო ბროშურებში გამომცემლები. ეს არა მარტო საინფორმაციო სვეტებია, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნიან აშშ-ის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე, არამედ სარკვევითი კულტურული ცხოვრებისა. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ თავის ფურცლებზე აშუქებს საფინანსო-სავალუტო ყოველდღიურ და ყოველკვირეულ რეპორტაჟებს, კრიტიკულ შენიშვნებსა და საქმიან წრეებში შექმნილ ვითარებას. გარდა ეროვნული და საერთაშორისო ახალი ამბებისა „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აქვეყნებს ყოველკვირეულ და ყოველდღი-

ურ თემატიკურ სექციას: „საქალაქო რეპორტაჟი“, „საქმიანი დღე“, „მეცნიერება“, „მსოფლიო კვირის განმავლობაში“ და ა. შ. დღეს თავისი ტირაჟით (901 ათასი ეგზემპლარი.) „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აშშ-ის გაზეთებს შორის მესამე ადგილი უკავია „უოლ-სტრიტ ჯორნალისა“ და „ნიუ-იორკ დეილი ნიუზის“ შემდეგ. გაზეთის საკვირაო გამოცემა 1,5 მილიონ ეგზემპლარს აღწევს. გაზეთის ყოველდღიური ნომრის მოცულობა 74, ხოლო საკვირაოსი 66 გვერდს შეადგენს. გაზეთის გამომცემმა ყოველდღიურად 4 ათასი თანამშრომელი მუშაობს.


გარდა ნიუ-იორკის შტაბბინისა, გაზეთს აქვს 21 განყოფილება აშშ-ში და 35-ზე მეტი კორესპონდენტი მსოფლიოს 22 ქვეყანაში. ყველაზე დიდი განყოფილება ვაშინგტონში მდებარეობს, სადაც 35 თანამშრომელია დასაქმებული. საერთოდ კი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ინფორმაციის შეგროვებადამუშავებას 930 პირი ემსახურება. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სარგებლობს აგრეთვე მსოფლიოს

ცხრა სააგენტოს ცნობებით, მათ შორისაა — „ასოშიეტედ პრესი“, „იუნაიტედ პრეს ინტერნეიშლი“, „რეიტერსი“, „ფრანს პრესი“ და „საქდესი“.

შკითხველთა სწრაფი დაკმაყოფილების მიზნით, 1980 წლის აგვისტოდან გაზეთს ერთდროულად ბეჭდავენ, როგორც ნიუ-იორკში, ასევე ჩიკაგოში. იცვლება მხოლოდ ის სვეტი, რომელიც ქალაქის ქრონიკას და რეკლამას ეხება.

როგორც აშშ-ის დანარჩენი ბურჟუაზიული გაზეთები, „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ფინანსური კეთილდღეობის საფუძველს რეკლამა წარმოადგენს. გაზეთის საცალო ფასი ნიუ-იორკში 25 ცენტია, ხოლო საკვირაო გამოცემებისა 1 დოლარი. ქალაქგარეთ ფასი უფრო მაღალია და მატულობს გამოცემის ადგილიდან დაშორებისა და ადგილზე მიტანის შესაძლებლობების მიხედვით.

თავისი პოლიტიკური დინებით „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ლიბერალური მიმართულების ბურჟუაზიულ გაზეთად ითვლება, რომელიც დემოკრატიულ პარტიის უჭერს მხარს. იგი მკვეთ-



ზოგადობის განვითარების ეტაპებს და წარმოდგენენ ისტორიის მატერიალისტური გაგების ცენტრალურ პუნქტს. ისინი ისტორიულ-ბუნებრივი აუცილებლობით ცვლიან ერთმანეთს.

წარმოებით ურთიერთობებსა და საწარმოო ძალებს შორის დასაბუთებულ კანონის ხასიათი აქვს. წარმოების წესის ცვლილება გამოწვეულია თავდაპირველად საწარმოო ძალების, ხოლო შემდეგ კი წარმოებითი ურთიერთობების ცვლილებით. კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ყველა მომდევნო ფორმაცია საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს წინა ფორმაციასთან შედარებით უფრო განვითარებულ წარმოების საშუალებებსა და კვალიფიციურ სამუშაო ძალას. წინა ფორმაციასთან შე-

დარებით მომდევნო ფორმაციის პროგრესულობის განმაზოგადებელი მაჩვენებელი კი შრომის მწარმოებლურობის დონეა.

საწარმოო ძალები განვითარების გარკვეულ ეტაპზე წინააღმდეგობაში მოდიან წარმოებით ურთიერთობებთან. მათი შესაბამისობაში მოყვანა ხდება ახალი წარმოების წესის რევოლუციური დამყარების გზით. ერთი წარმოების წესის შიგნით საწარმოო ძალებისადმი წარმოებითი ურთიერთობების შესაბამისობა მყარდება ევოლუციური გზით. ევოლუციური პროცესი ძირითადად რაოდენობრივ ცვლილებებთან არის დაკავშირებული, ხოლო რევოლუციური პროცესი თვისებრივ ცვლილებას — ერთი ტიპის წარმოებითი ურთიერთობების გაქრობასა და მეორის დამყარებას გულისხმობს.

სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობების საფუძველია სოციალისტური საკუთრება, რომელსაც მდიდარი შინაარსი აქვს. წარმოებით ურთიერთობათა რეალური კომპლექსის მართვა შესაძლებელია სოციალისტური საკუთრების რეალიზაციის გზით.


საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების


ერთიანობაზე მსჯელობისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ამ ერთიანობის წინააღმდეგობრივი ხასიათი. ერთიანობის თითოეული მხარე, როგორც საკუთარი არსებობის აუცილებელ პირობას, თავის საწინააღმდეგოს არსებობას გულისხმობს და იმავე მხრიდან წინააღმდეგობას აწყობს საკუთარ განვითარებაში. ეს არის მოცემული კონკრეტული წარმოების წესის ძირითადი წინააღმდეგობა. რამდენადაც საწარმოო ძალები გარკვეულ ეკონომიკურ ფუნქციებს ასრულებენ, მომხდარი ცვლილებები აუცილებლად აისახება წარმოებით ურთიერთობებში. წარმოების წესის ძირითადი წინააღმდეგობა უშუალოდაა წარმოდგენილი წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში. წინააღმდეგობრივია ურთიერთობა წარმოებასა და მოხმარებას შორის. სოციალისტურმა საზოგადოებამ თავისი განვითარების პროცესში უნდა უზრუნველყოს მოხმარების სტრუქტურისადმი წარმოების სტრუქტურის სრული შესაბამისობა.

საწარმოო ძალები გავლენას ახდენენ წარმოებით ურთიერთობათა არსებით განსაზღვრულობებზე. წარმოებით ურთი-

ერთობათა კონკრეტული ფორმები მხოლოდ საწარმოო ძალებით არ არის განსაზღვრული, ამიტომ იგი შეფარდებითი დამოკიდებულებით ხასიათდება და შესაძლებელია მისი სრულყოფა. აქ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს სუბიექტური ჩარევა და თავისუფლება ეკონომიკური განვითარების ვარიანტების არჩევაში, მეურნეობრიობის კონკრეტული ფორმების გამოყენებაში და სხვ. სწორედ ეს იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ განვანორციელოთ საკვ. XXVII ყრილობის მიერ დასახული „რევოლუციური გარდაქმნების“ სტრატეგიული გეზი, რათა უზრუნველყოფთ გადასვლა „უმაღლესი ორგანიზაციისა და ეფექტიანობის ეკონომიკაზე, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება ყოველმხრივ განვითარებული საწარმოო ძალები, მომწოდებელი სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობები, გამართული სამეურნეო მექანიზმი“.

მიხეილ ჯიჯუბი,
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი;
ელგუჯა მამკაბიშვილი,
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.





დეილი ნიუზი“, „სერბინელ ნიუზი“, „ანა მარია აილენდერი“ და „გოლდენ გეიტ იგლი“, ჩრდილოეთ კაროლინის შტატში იბეჭდება „ჰენდერსანვილ ტაიმს ნიუზი“, „ლესინგტონ დიპეტჩი“ და „უილმინგტონ სტარ ნიუზი“. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ განკარგულებაშია ჟურნალები — „ფემილი სეველ“ (საქციალურად ქალებისათვის), სპორტული „გალფ და-იჯერსტი“ და „ტენისი“. ინგლისში გამოდის „გალფ უორლდი“, ავსტრალიაში „ბეტერ ბოუმზ ენდ გარდენს“ და „ოსტრელიან ფემილი სეველი“. სატელევიზიო სადგურები მოქმედებენ ტენესის შტატში—მემფისში, ჰანტსვილში (ალაბამა შტატი) და ფორტ სმიტში (არკანზასის შტატი). ნიუ-იორკში მდებარე რადიოსადგური მუშაობს საშუალო და ულტრაბოკალ ტალღებზე. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ფლობს აგრეთვე ორ გამომცემლობას „არნო პრესსა“ და „ტაიმს ბუქს“, მიკროფილმების კომერციულ უწყებას, აუდიოვიზუალურ სასწავლო დახმარების კომპანიას, ტექსტუალური სწავლების დახმარების კომპანიას, საინფორმაციო ბანკს, საინფორმაციო სამსახურს და კომპიუტერს, რომელიც მოიცავს „ნიუ-იორკ ტაიმსის“ 2 მილიონზე მეტ სტატიას.

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ საინფორმაციო სამსახური ავრცელებს „ვაშინგტონ სტარს“ ნიუ-იორკში, ლონდონის „ტაიმსის“ სტატიებს. მსოფლიოს 55 ქვეყანაში მას 500 ათასზე მეტი ხელისმომწერი ჰყავს. ყოველდღიურად 69 სხვადასხვა გაზეთში გამოსაქვეყნებლად იგზავნება „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ფოტოსურათები.

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ კომპანია „უიტნი კომიუნიკეიშენსსა“ და კომპანია „ვაშინგტონ პოსტთან“ ერთად, პარიზსა და ჰონგკონგში სცემს გაზეთ „ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბუნს“ 130 ათასი ტირაჟით, რომელიც მსოფლიოს 143 ქვეყანაში ვრცელდება.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ მუდმივად მზარდი კონცერნია, რომელმაც 1980 წელს, ზოგიერთი გაზეთის გარდა, კიდევ შეისყიდა დამატებით სატელევიზიო სადგური ალაბამას შტატში, მწყობრში ჩააყენა ქალაქის კომპინატი მენის შტატში, ხელი მოაწერა კონტრაქტს, რომლის თანახმადაც, ნიუ-იორკის შტატის სამხრეთ ნაწილში უფლება მოიპოვა საკაბელო ტელევიზიაზე, რომელიც 1982 წლიდან 350 ათას სახლს ემსახურება. პარალელურად „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კომპანიის მექანიზმი სრული სვლით მუშაობს...

მალხაზ რაბიანი

რად განსხვავდება ნიუ-იორკში მისი ყველაზე დიდი კონკურენტის „ნიუ-იორკ დეილი ნიუზისაგან“, რომელსაც უფრო მასობრივი აუდიტორია ჰყავს. თავისი პარამეტრებით, კერძოდ კი, სარედაქციო სტატიებით, ეს უკანასკნელი შეიძლება მივაკუთვნოთ ე. წ. „ყვითელ“ პრესას. ამასთანავე „ნიუ-იორკ ტაიმსის“ „ლიბერალიზმი“ ზოგჯერ შედარებითი ხასიათისაა, ზოგ შემთხვევაში კი საერთოდ ქრება. ასე მაგალითად, გაზეთი აშკარად და დაუფარავად უჭერს მხარს ისრაელულ სიონისტებს, ეკავა ანტისამბუკური პოზიცია ავღანეთისა და პოლონეთის მოვლენებთან დაკავშირებით. რეიგანის საარჩევნო კამპანიის პერიოდში გაზეთი მკვეთრად აკრიტიკებდა მის აგრესიულ და სახიფათო საგარეო პოლიტიკის პროგრამას, მაგრამ თეთრ სახლში მისი მისვლისთანავე მკვეთრად შეამცირა და ზომიერი გახადა ეს კრიტიკა. ხელისუფლების სათავეში რესპუბლიკელების მოსვლის შემდეგ, „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ ერთობ დაკარგა თავისი „ლიბერალიზმი“.

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ გავლენაზე, შესაძლოა, მკითხველს თვალწინ წარმოუდგეს მხოლოდ საკუთრივ გაზეთი. სინამდვილეში „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კომპანია წარმოადგენს მსხვილ და მრავალგანშტოებულ საგაზეთო-საგამომცემლო კონგლომერატს, სადაც გადაიმწყვეტი ხმა მაინც თვით ამ გაზეთს ეკუთვნის. გარდა ამისა, „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კომპანია ფლობს 18 ყოველდღიურ და ყოველკვირეულ პროვინციულ გაზეთს, რომლის საერთო ტირაჟია 282500 ეგზემპლარი; მის განკარგულებაშია ექვსი ჟურნალი, სამი სატელევიზიო სადგური, ერთი რადიოსადგური. პროვინციულ გაზეთებს შორის ყველაზე მრავალტირაჟიანია ფლორიდის შტატში გამოშვებული „ლეილენდ ლედჯერი“, ამავე შტატში გამოდის გაზეთები — „ეივონ პარკ სანი“, „ფერნაინდა ბიჩ ნიუ ლიდერი“, „გეინესვილ სანი“, „ლიესიტი რიპორტი“, „ლისბურმ კომერსილი“, „მარკო აილენდიჯანი“, „ოპალა სტარ ბენჩერი“, „ზევირპილ ნიუზი“, „პალატა

სიანსლუთი პანორამა

თამბაქოს მოწევა და გიჟნისი

ყოველმა თავგამეტებულმა მწვეველმა იცის, რომ სიგარეტის წლიურ რაოდენობას საკმაოდ დიდი თანხა მიაქვს. თუმცა თამბაქოს მოწევა, როგორც ეს კარგა ხნის მანძილზე მიაჩნდათ, თითოეული ადამიანის კერძო საქმეა, მაგრამ აღნიშნულ თეზისს მსუქანი კითხვის ნიშანი დაუსვა ამერიკელმა ბიზნესმენმა უორენ მაფერსონმა. მხოლოდ მისთვის ცნობილი ციფრები გამოანგარიშების შედეგად მან 1977 წლიდან უკვე გადაჭრით თქვა უარი ქალაქ სითლში მოქმედ მისეულ ფირმა „რადარ ელექტრიკში“ თამბაქოს მწვეველთა სამუშაოდ მიღებაზე. და თანაც, რომელიმე უჩუმრა მწვეველს როგორმე რომ არ შეეღწია საწარმოში, ყველა სათავსონაგებობაში დაიდგა თამბაქოს კვამლის ელექტრონული ინდიკატორები.

რამდენიმე ხნის შემდეგ მომსახურე პერსონალის რიცხვი 90-დან 85-მდე დავიდა, რადგანაც შემცირდა ავადმყოფობის გამო გაცდენილი დღეების საერთო რაოდენობა (არაშეველნი, როგორც ვიცით, სიგარეტის მოყვარულებზე გაცილებით იშვიათად ავადდებიან ხოლმე). მაფერსონი უკვე ბევრად მცირე საღებავეო შესატანს აძლევდა თანამშრომლებს,

შემცირდა შენობის დალაგება-დაწმენის ხარჯებიც. ხოლო ყოფილ მოსაწევ ოთახში მოაწყვეს სათადარიგო ნაწილების საწყობი, რითაც დაიზოგა ძვირფასი საწარმოო ფართობი. მაფერსონი კი განაგრძობდა გამოთვლებს და, ბოლოს და ბოლოს, ასეთ დასკვნას მიაღდა: თუკი რომელიმე ფირმა არ მიიღებს სამუშაოდ თამბაქოს მწვეველთა, იგი შეძლებს მიიღოს ხელფასის ფონდის 10 პროცენტის, ავადმყოფობისა და ხანძრის საღებავეო გადასახადის 30 პროცენტის, ავეჯის ამორტიზაციის 50 პროცენტის, შენობის დასალაგებელი ხარჯების 50 და შრომითი უუნარობის დროს დახმარების გაწევის 75 პროცენტის ეკონომია.

უჩვენებს „კოკა-კოლას“ კინოსტუდია

ეს რომელი „კოკა-კოლა“ არისო, იკითხავთ. იქნებ ამბულა შეუცვლია უაღკოპოლო სასმელების მწარმოებელ სახელგანთქმულ კომპანიას? სრულიადაც არა. ბიზნესი ბიზნესია და ასეთად დარჩება კიდევ ბოლომდე. უბრალოდ კომპანიამ გადაწყვიტა, შეისყიდოს ცნობილი კინოსტუდია „კოლამბია ფიქჩერზ ინდასტრიზ“. ბუნებრივია, რომ ამ კინოსტუდიის და,

აგრეთვე, მთელი რიგი ტელეცენტრების, გრამფირმებისა და მაგნიტოფონის კასეტების მწარმოებელი ქარხნების ჩამულაპავი კომპანია „კოკა-კოლა“ კიდევ უფრო გაიფართოებს საკუთარი პროდუქციის მოცულობას — ტყუილად როდი ამბობენ, ვინც ფულს იხდის, მუსიკაც იმან შეუყვითოსო.

იკაზაშუ, მომღერლის პარაკვლავი

„კაშაშუებს უცნობი ვარსკვლავი...“ — ალექსანდრა პახმუტოვას და ნიკოლოზ დობრონრაგოვის გახმაურებული სიმღერიდან ამოღებული ეს სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა ამ სიმღერის ცნობილი პოლზონელი შემსრულებლისთვის — ანა გერმანისთვის. იანვრის მიწურულს პლანეტათა საერთაშორისო ცენტრმა თავის რეესტრში შეიტანა №2519 ასტეროიდი. საბჭოთა ასტრონომ ტ. სპირნოვას მიერ აღმოჩენილი მცირე პლანეტა მზის გარშემო ტრიალებს თითქმის ნახევარმილიარდი კილომეტრის მანძილზე მარსისა და იუპიტერის ორბიტებს შორის. ოცი კილომეტრის რადიუსის მქონე ასტეროიდზე წელიწადის ხანგრძლივობა ხუთნახევარჯერ მეტია, ვიდრე დედამიწაზე. ახალმოჩენილ პლანეტას ცნობილი მომღერალი ქალის ხსოვნის პატივსაცემად მიეკუთვნა „ანა გერმანის“ სახელი.

„...ხშირად წერილი იწყება ხოლმე ტრაგარეტული ფრაზებით, ამა და ამ ხელოვანს ბავშვობიდანვე ეტყობოდა, მომღერალი ან მსახიობი რომ გამოვიდოდაო. მაგრამ აქ ყოველთვის ყურნალისტი არ არის დამნაშავე. ფაქტი, როგორც იტყვიან, ჭიუტია, და ხშირად თავისი გააქვს. ასეა ახლაც. ვერც ჩვენ ავცილით შეუვალობას...“

ეს სიტყვები ეკუთვნის ჩვენს კოლეგას და ლალი ხელოვნების ტრფიალს, აწ განსვენებულ ნიან ღიასამიძეს, გამოქვეყნდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ და მიმართულია პოპულარული საესტრადო ხელოვნის, ეთერ ჭელიძის მუსიკალური პორტრეტის გადმოსაცემად... ვგონებ ჩვენი თანამოკალმე „შეუვალობაში“ აქ გულისხმობდა ჰანგის კეთილშობილებას, რომლის სიწრფელეშიც ეჭვი არც ერთ მსმენელს არ შეჰპარვია, რადგან იგი — ვალობა აღფრთოვანებული სულისა, გამონატული ჭეშმარიტად ბულბულის ენით, ისევე ატკობდა და დღესაც ატკობს სულიერთა სმენას, როგორც თვით მალალი ადამიანური ბუნება ამოღებულ, შთავგონებული საზოგადოების სულსა და მისწრაფებებს. ჭეშმარიტად შეუვალია ყალბი ბგერისთვის, ფერისთვის, შტრიხისთვის სამყარო ნამდვილი სიმღერისა. და მსურს, ორიოდ სიტყვა ვუძღვნა ამ სიმღერას.

რა შობს და ასაზრდოებს მას? გიტარები. ეკიდაო კედელზე. მამა უკვე ფრონტზე იყო წასული. ბოლოს ბერლინიდან დაბრუნდა მალალი სამხედრო წოდებითა და ჯილდოებით მკერდ-მხარ დამშვენებული... ძველებური ჩუქურთმისანი მაგიდა, და მის უკრაში, როგორც გრძნეული სულის ვანსაფარში გოგონას მიერ უეცრად აღმოჩენილი ფურცელი პოეტური შთავგონებისა: „...ვენაცვალე მაგ შენს თვალებს!“

ეპეეი!... რა დიდებული თვისება ჰქონია გიტარას, ითხოვს ჩამოღებას, ტრფობისაკენ ილტვის! და უნდა წარმოიდგინოთ 1946 წლის ვახაფხული, მე-12 ქალთა სკოლის აერიალური გარემო, სისხლითაც და მოწოდებითაც თბილისელები, და ის აღტაცებული პერიოდი, როდესაც ღვაწლმოსილ თინა ჟორდანიას სახლში ერთხანს მომღერლად ვალობდნენ ცაბუ დეიდა — ნანი ბრეგვაძის დედა, ჩიტოლია ჩხეიძე, ჩვენი ნარკვევის მგალობელი გოგონას დედა — მარია. და შემდეგ, ერთბაშად აულერდნენ დუეტები ეთერ-ნათელა ჭელიძისა და ცისანა-მარიკა საყვარელიძის. იფეთქა სიმღერის ნორჩმა სიყვარულმა ჯერ ოჯახებში, შემდეგ ამ ოჯახებიდან ხალხში გავრცელდა და ახშიანდა რეზო თაბუკაშვილის სპექტაკლში „რას იტყვის ხალხი“ გოგი გელოვანისა და ზურაბ ლეყავას შესრულებით.

უნდა წარმოიდგინოთ, თუ როგორ მოუხმო ალექო მაჭავარიანმა თეთრბაბთიან ცქირალა მეოთხეკლასელს და უთხრა:

— მოდი, ჩემო გოგონა, გენაცვალე!... ეს როგორი კარგი სიმღერა დაგიწერია. საავტორო უფლებასაც მოგცემო!

და გაჩნდა პირველი ჰონორარი — 50 მანეთი (ახლანდელი 5 მან.). განა ფული ყოფილა მთავარი?!... მხოლოდ გზნება სიმღერისა და საუკუნოდ „ვენაცვალე მაგ შენს თვალებს“ — ულამაზესი და უნატიფესი ჰანგი — თბილისური.

რა მნიშვნელობა აქვს წლებს შთავგონებული ქალისთვის, რომელიც მუდამ



ყმაწვილური გატაცებით ასაზრდოებს საკუთარ მოწოდებას — სიცოცხლის ტრფობაში დაუმცხრალ წყურვილს მომღერლისა და შემოქმედისა.

მიმაჩნია, რომ ჩვენს დღევანდელ საუბარში არ უნდა შევეხოთ ჟანრებსა და თემებს, რადგან შესაძლოა, დაამძიმოს ყოველივე ჩვენი სტრიქონი მაშინ, როდესაც ჭეშმარიტი მუსიკალური ფრაზა არიოდეს დამძიმებულა სინამდვილეში.

ინებეთ მხოლოდ რამდენიმე სახელწოდება ჰანგებისა: „ბულბულის ენით ჭიჭიკებ“, „რა ვინილე შენი სახე მღელვარე“, „ო, როგორ მიყვარს წვიმის წვეთები“, „შემოდგომის ნოქტიურნი“, „მზის საგალობელი“, „ქართლის მიწავ“, „შენ დაგიტოვე“, „თევზები“, „ლურჯი აპრილი“, „მჯეროდა“, „ადმართი“...

აჰ, მელოდიური თავდავიწყების ტალკვისის მიმცემი რამდენიმე პოეტური სტრიქონიც:

ხეს ფოთლები დასცივდა,
სიყვარული გაცივდა,
შემოდგომა გვიანობს
მოსთქვამს ფორტეპიანო.

ანდა
ქართულო მიწაო,
ზღვაო და მდინარე,
თამარის ცრემლივით წმინდა,
სინათლეც თვალისა, დედაო ქართლისა...
მი შენი სიცოცხლე მინდა.

მე მინდა, ულამაზესი მუსიკალური თაიგულებით გარემოსილმა ქალმა თვითონ გვიანობს თავდავიწყების ბაღნარზე, რომელსაც კლასიკოს მოაზროვნეთა ამქარი ხელოვნების უკვდავების წყაროს უწოდებდნენ.

— ჰმ!... სიცოცხლეში ნამღერი პირველი სიმღერა? — „სულიკო“. ძალიან მიყვარდა. ჩემი შვიდსიმიანი გიტარით და „სულიკოთი“ საზღვარგარეთულ გასტროლებზე არაფერი წამიგია. სულში მიდუღს „მხოლოდ შენს ერთს“, რომელიც რამაზ ჩხიკვაძესთან ერთად შევასრულე სიკო დოლიძის ფილმში და დედაჩემის მიერ საოცარი გრძნობით შესრულებული „ისევ შენ და ისევ შენ“; ვალმერთებ ჩაპლინის მისი უნატიფესი ჯაზური ვარიაციების გამო... რვა წლისამ მისი გავლენით დავწერე „თევზები“, რომელიც ათეული წლების შემდეგ ბერლინის სიმფონიურმა ორკესტრმა დაუკრა, ხოლო 1966 წელს პირველად ნანი ბრეგვაძემ იმღერა მედიკო გონგლიაშვილის აკომპანემენტით.

— უმძიმესი პერიოდი ჩემს ცხოვრებაში? — როდესაც დედა გარდამეცვალა. რას ვინატრებდი? — ნეტავ ჩემი ყოფილიყო რეზო ლალიძის „ცა-ფირუზ ხმე-

ხელოვნების ენით

ლეთ-ზურმუხტო“. მთელი ერის ძახილია და იმიტომ!... არასდროს დამავიწყდება საოცარი მომღერლის დიდმ ლოგუსს მოღვაწეობა „რეროში“, და იხოლა — ჩემი სული და გული... რამდენი დამე ერთად გავგეთენებია გიტარის სევდიან სიმშვენიერეში!

ხელოვნების შეუვალობის უპირველესი ნიშანი ისა ყოფილა, თეთრად რომ გაგათენებინებს. ახლა წარმოვდგინოთ ეთერ ჭელიძის სიმღერად ქცეული რამდენიმე ასეული აღმაფრენა მსმენელთან და ბუნებასთან ურთიერთკავშირში, მისეული ვირტუოზული საშემსრულებლო მაღლი საყვარელ გიტარასთან და ფორტეპიანოს ჯადოსნურ კლავიატურასთან; თვალწინ დავიყენოთ ის მუსიკალური მოღვაწენი და პოეტნი, მასთან ერთად რომ ქმნიდნენ ეთერ ჭელიძისეულ მუსიკალურ დღესასწაულებს: — ირაკლი უჩახეიშვილი და ოთარ მეღვინეთუხუცესი, მამია ხატელიშვილის გუნდი და „ცისფერი ტრიო“, ვანტანგ გოგოლაშვილი და დოდო გვიშანი, ირაკლი აბაშიძე და ნოდარ დუმბაძე, ჯაზური ანსამბლები და ვეება სიმფონიური ორკესტრები, რადიო-ტელევიზია, გამოსვლები ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის მრავალი ქალაქის ესტრადაზე, და ისევ თბილისი, ჩვენი სათაყვანო დედაქალაქი, სადაც გიტარები მუდამ იმიტომ ეკიდნენ კედელზე, ერთ მშვენიერ დღეს თავისი დიდებული და განუყოფილებელი თვისება რომ გამოემჟღავნებინათ — ტრფობისაკენ, თრთოლვისაკენ, ყრუოლისაკენ ლტოლვა და ჩამოსვლა, ჩამობრძანება ამ კურთხეულ კედლებიდან, მსგავსად გარინდული მუსიკალური ფრესკების გაცოცხლებისა, რომელთაც ხალხი გულწრფელად აღიტაცებს და შეისისხლბორცებს.

ჩვენი კოლეგის წელანდელი ნათქვამისა (ოენაჟი პერიფრაზირებით) არ იყოს, ნიჭი ჭეშმარიტად ჭიუტია და მუდამ თავისი გააქვს.

ასეა ახლაც!

ვასილ მჭედლიშვილი

პარტია

ლათინური — პარტია ქართულ თანასწორობას ნიშნავს. იგი კონფლიქტის გარეშის ან რაიმე საკითხის გადაწყვეტის დროს თანასწორი წარმომადგენლობის პრინციპის დაცვას გულისხმობს, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის ფულის ერთეულების ოქროში გამოხატვის თანაფარდობას.


სამხედრო-სტრატეგიული პარტიის თვალსაზრისით, სსრ კავშირის თავდაცვის საკმარისად მიაჩნია შედარებითი წონასწორობა. რაც შეეხება აშშ-ს, მის მმართველ წრეებს, ისინი ცდილობენ შეცვალონ ძალთა თანაფარდობა, ესე იგი პარტია თავიანთ სასარგებლოდ და მიადწიონ აშშ-ის, ნატოს სამხედრო უპირატესობას სსრ კავშირსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაზე.

გამალებული შეიარაღების მაღალ ტემპებს, იარაღის სისტემათა სრულყოფას შეუძლია გამოიწვიოს სამხედრო-სტრატეგიული პარტიის დარღვევა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუშლის სტრატეგიულ სტაბილიზაციას და მშვიდობის შენარჩუნებას. სკკ XXVII ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ თანამედროვე მსოფლიო-მეტად პატარა და სუსტი ვახდა ომებისა და ძალისმიერი პოლიტიკისათვის, ხოლო, არა მარტო თვით ბირთვული ომი, არამედ ამისათვის მზადებაც კი, ესე იგი გამალებული შეიარაღება, სამხედრო უპირატესობისადმი სწრაფვა, ობიექტურად ვერავის ვერ მოუტანს პოლიტიკურ მოგებას.

მორატორიუმი

ლათინური — დამაყოვნებელი, ვადის გადაწყვეტი. საშინაო ან საგარეო ვალდებულებათა შესრულების ვადის გადაწევა, მთავრობის მიერ რაიმე საგანგებო მდგომარეობის გაგრძელება (მაგალითად ომის, კრიზისის, სტიქიური უბედურების გამო). იგი სხვადასხვა სახისა და შეიძლება იყოს საყოველთაო ან ნაწილობრივი.

მორატორიუმის განსაკუთრებული სახეობა მორატორიუმი ბირთვულ იარაღზე, რომელიც არაერთხელ წამოაყენა სსრ კავშირმა ბირთვულ შეიარაღებაზე რაიმე საბოლოო შეთანხმების მიღებამდე გამალებული შეიარაღების აღსაკვეცად.



არჩილ ახმეტელი.

კარგია. დაღლილი რომ მოდიხარ საბლში და ნელ-ნელა მიიზღახნები შენი ლოგინისკენ მთელი დღის ნაჯაფარი. რბილ სავარძელში ჩაეშვები და აღარაფერზე ფიქრობ.

შენ ბედნიერი ხარ. მაგრამ შენ უშვებ იმ შეცდომას, რომლისაც ყოველთვის გემინდა — ნამდვილ კბილებს ამკარად აჩენს.

შენი კარის იქით ეს შეცდომა საბედისწერო აღმოჩნდებოდა.

აქ კი, როგორც ინებებ, ყველაფერი დასაშვებია. შეგიძლია ისეთი რამეც ჩაიდინო. შემდეგ ხალხი შენგან რომ იბრუნებს პირს და აგზნებული თვალებით იჭორავენს ყოველ კუთხეში:

— არ ეკადრება...

აქ ყველაფერი სხვანაირადაა მოწყობილი. მარტო შენ ხარ საკუთარი თავის წინაშე და შენი თბილი, ძველი სავარძელი. შეგიძლია დღის განმავლობაში დაგუბებული წყენა და ბრაზი შენს ბებერ მეგობარზე ამოიყარო. ის არაფერს იტყვის, დამიჯერე, ისევე ჩუმი და შენი მოყვარული დარჩება — შენი მყუდრო, რბილი სავარძელი.

ეს დღე კი გავითრევი და ყველაფერს, ამ წამამდე ქმნილს და აღნუსხულს, დამცინავი თვალებით უყურებ არაა ცუდი. შენი თავისა რომ გჯერა და რაღაცის კიდევ. შენს მყუდროებას უხილავი ძალა იც-

ავს. ამიტომ თენდება ყოველი დილა და ყოველ ასეთ დილას სიბნელე, საღამო და სავარძელში თვლივა მოსდევს. ჭერჭერობით ჩასმული ხარ შენს მყუდრო ჩარჩოში და დიმილით იხდი ტანსაცმელს, მტკერი რომ აუყოია. ტუჩებს ერთმანეთს წლაპა-წლუპობი ამორება და ცხელი ჩაის ჭიქას ცივი ხელით ეფათურები.

გარეთ ძალი წკმუის — ჭუჭყიანი, შესაბრალისი.

შენ ფიქრში ძალიან ბუნდოვნად გახსენდება: სველი, დაკეცილი ქოლგა, რამდენიმე წვეთი, საყელოში ჩაცურებული, სარკესავით კრიალა გუბებზე სადარბაზოში. ჭუჭყიანი ფეხსაცმელი, შავი ობობა და მისი გრძელი, მოციმციმე ფეხები, ჩამოსართმევად გამოწვდილი ხელი, გაუსალაშინებელი მოაჯირი, აი, კიდევ რამდენიმე საფეხური. ერთ-ერთს იცი, უნდა გადაცდე — თვალნაცემია, ფეხს მოიტეხავ. ჩამტკერული, გაშავებული ნათურა. შინისკენ მიძვალ გზას რომ გინათებს. ნაგვის ყუთიდან ამოვარდნილი მანდარინის გაყვირებული ქერქი, შავი აბურძგნული ძაღლი...

ხოლო ძაღლი! ახლა ვხედავ, საბოლოოდ გაგახსენდა. არა, შენი ბრალი სულ არ არის ეს. სადარბაზოში წევს შავი ძაღლი. ხაოიანი, წითელი ენით ნატყენ თათს ილოკავს და შენ გიყურებს თვალებში. რა

ალტერნატივა

ლათინური — მონაცვლეობა. ორი ერთმანეთის საპირისპირო შესაძლებლობიდან ერთ-ერთის არჩევის აუცილებლობა; მესამე შესაძლებლობის არარსებობა.

სუპერინტიტი

გერმანული, ფრანგული, — უზენაესი ხელისუფლება, სახელმწიფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა როგორც საშინაო საქმეებში, ასევე საგარეო პოლიტიკურ მოღვაწეობაში. სუვერენიტეტი საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს.

სუვერენიტეტი სახელმწიფოს საერთაშორისო სარბიელზე მოქმედების შეუზღუდავ თავისუფლებას არ ანიჭებს. ყოველმა სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს საერთაშორისო სამართლის მიერ დაწესებულ სხვა სახელმწიფოების უფლებებს.

ინფრასტრუქტურა

ლათინური — დაბლა, ქვეშ და ნაგებობა, განლაგება. მეურნეობის დარგების კომპლექსი (გზატაკცილები, არხები, წყალსაცავები, ხილები, აეროდრომები, რკინიგზები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და ა. შ.), რომელიც სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ემსახურება.

ეკონომიკური მეცნიერება ინფრასტრუქტურას ორ ჯგუფად — საწარმოო და არასაწარმოო (სოციალურ) ჯგუფებად ყოფს. საწარმოო ჯგუფს ეკუთვნის ის დარგები, რომლებიც უშუალოდ მატერიალურ წარმოებას ემსახურება (რკინიგზები და გზატაკცილები, არხები, წყალსაცავები, ხილები და სხვ.), ხოლო სოციალურ ჯგუფს — დარგები, რომლებიც არაა უშუალოდ დაკავშირებული მატერიალურ წარმოებასთან (კადრების მომზადება, ჯანმრთელობის დაცვა, მეცნიერება და სხვ.).

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ მნიშვნელოვნად გააძლიერა წარმოების ტემპების ზრდისა და მისი ეფექტიანობის დამოკიდებულება ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია პრობორციების დაცვა ინფრასტრუქტურის და ძირითადი სამრეწველო დარგების განვითარებაში. ჩვენს დღევანდელ პირობებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას.

ეთერ რაჭვიაშვილი.

უნდა შენგან ამ უაზრო. შავ არსებას, შენ არ გესმის.

ის თავისთვის წევს ფეხის საწმენდ ჩვარზე და თათს ილოკავს. მერე შენ რა, თუ ვინმე სადარბაზოში წევს და თანაც პირდაპირ თვალებში გიყურებს. ეს ხომ საერთოდ, მიღებული არ არის: როდის იყო, უცხო უცხოს თვალს უსწორებდა? წესით გვერდზე უნდა გაიხედოს და ლოკვა — თავის საქმე. წყნარად გააგრძელოს.

ის კი გიყურებს და გიყურებს. მსხვილი, არაბუნებრივი ცრემლი ერთი თვალისა დადმოდის და შავ დრუნჩს ნელა უსველებს ანდა, რა ესაქმება შენთან ამ უცხო არსებას, ასე აბურძგნულსა და ცრემლიანს. შენ შეგიძლია მხოლოდ დაინტერესდე და შორიდან უყურო.

ის წევს და თავისი თვალებით შენს თვალებს ისევ-ისევ მწარედ ეხება. რა თქმა უნდა, შეგიძლია მიხვიდე და ორიოდ ტბილი სიტყვით მიეფერო.

მაგრამ შენ ამას არ იზამ. ისე, კაცმა რომ თქვას, ყველაფერი შეიძლება მოხდეს: ისიც ხომ ცოდოა, ცოცხალი არსებაა და იმიტომ. შეგიძლია შეჩერდე, რბილ თავზე ხელი გადაუსვა. მას ეს ძალიან ესიამოვნება. სახლში ერთად აღით. შენ სავარძელში ჩაეშვები, ის კი, დაღლილი, ფეხებს გავიტობს. რძეს დააღვეინებ, შეძვე კმაყოფილი და მოსიყვარულე ზურგზე გადავარდება.

...და დაშვებობაც მოვა. ის დღეები მოგავიწყდება, როცა მისხიარი ერთგული მეგობრებით ავსებული იყო შენი დაბალქერიანი სახლი...


— მალე მოიტანთ ჩაის?

გარეთ სადარბაზოში კი ძაღლი წკმუის, პატარა, აბურძგნული შავი ძაღლი. წევს და ხაოიანი, წითელი ენით თათს ილოკავს.

თარგუმულად:

7. ფერწერის ტექნიკა.

8. ძეგლის სახელწოდება.




11. „შენ... საით ამჩნევ სინანულს:
გულს... მალე სულ სხვას გაუღებ...
ვუყვარდი? ხელი რაღა მკრა?
ქალს.. ეშმაკიც ვერ გაუგებს“
(ავტორი)

12. თბილისელი კალათბურთელი.

13.



14. პერიოდული სხლომა.



16. ზღაპრული გრძნეული ქალი.

19.

20. (ავტორი).



კოსკორლი შეაღინა
ციალა ამაშუკელა.



გარეკანის პირველ გვერდზე: კაკტუსები; ფოტო ვიქტორ
ჭეირანელისა. მეოთხე გვერდზე: რუსთაველის თეატრი. ფოტო
თარხან არჩვაძისა.

გადაეცა წარმოებას 16.02.87. ხელმოწერილია დასაბუქდად 27.03.87. უფ 04894. ქალაქის ზომა 70x1081/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50 000. შეკვეთა 485. ფასი 85 კაპ.


880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კ. ც. კ. გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008. Тбилиси 8. по. Руставели, 42.


რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის —
99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69,
განყოფილებათა გამგეების 93-28-42,
99-01-39, რედაქციის სამდივნოსი —
99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

25. ძეგლის სახელწოდება.



28.



31.



32. (ავტორი).




33. სხვადასხვა კლასის სამხედრო
ხომალდების დიდი შენაერთი.

34.



1. „ერთ-ერთი სხეული — წი-
თელკაბიანი — ლიტერატურაზე მე-
ლაპარაკება“ (სტილისტიკური ხე-
რხი).


2. ავტორი.



3. ნ. დუმბაძის ნაწარმოების პე-
რსონაჟი.

4. შთათა სისტემა სამხრეთ ციმ-
ბირში.

5.



22. ქალაქი სამხრეთ ინდოეთში.
23. საერთაშორისო მუშათა მოძ-
რაობის მოღვაწე ქალი.
26. ჩანაფიქრი.

29.

6. ხმელთაშუაზღვის კუნძული.
9. მდინარე თბილისში.
10. სიგარტის საწოში ერთეული
მეტრული სისტემის შემოღებამდე.
15. ბგერათა მოკლედ, წყვეტილად
შესრულება.
17. საქონელზე დაკრული ბეჭედი
ან ნიშანი.
18. ალ. ყაზბეგის ნაწარმოები.
20. კლასიკური აღმოსავლური
პოეზიის საღეჭო ფორმა.

21.




30. მეგრული სიმღერა.

მე-8 ნომარში გამომავალ კონსპორდის პასუხები

თარაზულად: 3. მაცვალი; 6. სარაევო; 7. „ამირანი“; 9. ანატომია; 13. ლიმ-
პსოლი; 14. რკინა; 16. როტმისტრი; 17. ათონი; 19. ბუკეფალა; 23. ბირთვისი;
27. ანტანტა; 28. ლინოტიპი; 29. რასტრელი; 30. ოშორა; 31. ოტავა; 32. სიო;
33. ბრა; 34. ხარაძე; 35. სპიდოლა; 36. ოჯისი.

შპეულად: 1. დათვი; 2. ალაში; 4. არიმანი; 5. ვატმანი; 8. ონკოლი; 10.
ტანანა; 11. აბანოზი; 12. ლამარკი; 13. სიკეთე; 15. კოშევი; 18. ნაცვალი;
20. ამფიბია; 21. სინანტროპი; 22. არისტოტელე; 24. რუბენსი; 25. მაიონეზი;
26. მარათონი.



ეროვნული
სიბუღიბითა



060356 76056